„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ქართული სიტყვა

№12 (276)

ფასი 1 ლარი

25 – 31 მარტი 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

გამოდის ოთხშაბათობით

ქართველი მეფეების ავღანური ლაშქრობები

რატომაა „აი-სა-ფი“-ს მისიაში მონაწილეობა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი

>>> მე-13 გვ.

„ვიცი, რაც მომელის. მზად ვარ, წამებასაც გავუძლო...“

>>> მე-14 გვ.

ვინ არის „ტეკილა“, რა დამსახურებისთვის დანიშნეს თბილისის პროკურორის მოადგილედ და რატომ გაანადგურეს „ნაციონალებმა“ ქართული ფსიქიატრია

უსუფაშვილს შეთქმულებაში ამხელენ

>>> მე-8-9 გვ.

„სწორედ ამ ახლოგლობამ დაღუპა „ნაცმოძრაობა“ და „ქართულ ოცნებასაც“ ახლოგლობა ღუპავს! გინახავთ, რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურში ვინმე ნათესაური პრინციპით მიეყვანათ და დაესვათ? ხალხო, ასეთი რაღაცეები საბჭოთა სისტემაში არ ხდებოდა და სად ვართ?! მაშინ ვიდრე ახალგაზრდა ადამიანს სამსახურში, მით უმეტეს, სპეცსამსახურში მიიღებდნენ, ორი წელი სწავლობდნენ, დღეს კი, თანამდებობაზე მხოლოდ იმ ნიშნით ნიშნავენ, რომ ახლობელი და ერთგულია.“

უცხოელი ექსპერტები 7 ნოემბრის საქმეზე ბურჯანაძის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებენ? – რა სკანდალური მასალებით დაინტერესდა „ოცნების“ გავლენიანი ჩინოვნიკი

SOS!

ყავა „JACOBS“-ში რადიოაქტიური ნივთიერებები აღმოაჩინეს

„ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე შოკისმომგვრელ მონაცემებს ასაჯაროებს

>>> მე-11 გვ.

>>> მე-8-9 გვ.

მერაბ ბლადაძე: „ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი ყელში ამოგვივა და განაჩენს გამოვუტანთ!“

საქართველოდან დანახული ჰეიდარ ალიევი

>>> მე-12-13 გვ.

ნავთობსადენ ბაქო-სუფსის უცნობი პერიპეტიები

№ 12 (276)
25-31 მარტი 2015
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვა, ქართულო სიტყვავ!“

რეგიონი

„ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი ყელში ამოგვივა და განაჩენს გამოვუტანთ!“

აჭარაში მოვლენები დრამატულად ვითარდება. მართალია, ხელისუფლება არ აღიარებს, მაგრამ სხვადასხვა წყაროები მოწმობენ, რომ ბათუმის თავზე „ნაციონალების“ დროშა ფრიალებს. არსებობს ვერსია, რომ შავიზღვისპირეთში ყოფილ ხელისუფლებას ყველაზე მძლავრი დასაყრდენი აქვს, თუმცა აჭარელი უფლებადამცველი მერაბ ბლადაძე, რომელიც ფართო საზოგადოებამ 2012 წლის შემოდგომაზე, ე.წ. ციხის კადრების პერიპეტიების დროს გაიცნო, ამბობს, რომ „ნაცების“ აჭარულ დასაყრდენზე გავრცელებული ხმა გადაჭარბებულია, თუმცა ბლადაძე „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას ადასტურებს, რომ თუკი ცენტრალური ხელისუფლება ქმედით ნაბიჯებს არ გადადგამს, აჭარლები შესაძლოა, ქუჩაში გამოვიდნენ. „ამას რევოლუციას ჟურნალისტები არქმევთ, თორემ სინამდვილეში, ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ. დემოკრატიულ სახელმწიფოში კი, აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს“, აცხადებს მერაბ ბლადაძე.

— მერაბ, რამდენიმე დღის წინ განაცხადეთ, აჭარაში შესაძლოა, რევოლუცია მოხდესო. შეგიძლიათ, ეს თემა გაშალოთ?

— აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მთლიანი შემადგენლობის და, განსაკუთრებით, უმრავლესობის არასახელმწიფოებრივმა ხედვამ იქამდე მიგვიყვანა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უმაღლეს საბჭოში უმრავლესობით მობრუნდა. მურმან დუმბაძის ერთპიროვნულად დაკომპლექტებულმა უმაღლესმა საბჭომ ხალხის მონაპოვარი — „ქართული ოცნების“ გამარჯვება ფეხქვეშ გათელა. მურმანის ყოფილი თუ მოქმედი „ხელის ბიჭებისა“ და „ხელის გოგოების“ პატივმოყვარეობის ყურება იმდენად ამაზრზენი საყურებელია, რომ მოსახლეობას პარტიის კი არა, სიტყვა „ოცნების“ გაგონებაც აღარ უნდა!

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უუნარობის, უსაქმურობის, დოყლაპიობის სინონიმია. იმის მაგივრად, რომ აჭარაში არსებული პრობლემები გადაწყვიტონ, ან რამე ინიციატივით გამოვიდნენ, 2 წელია, მხოლოდ იმას ვუყურებთ, სად ვისი ნათესავი დასაქმდა და სახლს ვინ სად აშენებს. არანაირი სახელმწიფოებრივი აზროვნება! — მთლიანად კლანებს შორის დაპირისპირებაზე არიან გადართულნი და ეს მაშინ, როცა აჭარაში სოციალური ფონი განსაკუთრებით მძიმეა — მოსახლეობის უმრავლესობა შიმშილის ზღვარზეა

ყოველივე ზემოხსენებულისა თუ სხვა ობიექტური მიზეზების გამო, მე და თამაზ ბაკურიძემ „ობიექტივის“ ეთერით პრემიერ-მინისტრის სახელზე განცხადება-მიმართვა გავაკეთეთ და მოვუწოდეთ, რომ დროულად ჩაერიოს და ყველაფერი ის, რაც აჭარის უმაღლეს საბჭოში ხდება აღკვეთოს.

ყველაფერ ამას ზოგი „დემოკრატიულ პროცესს“ არქმევს, ზოგი — „კრიზისს“, მაგრამ მე თუ მკითხავთ, ეს, უბრალოდ, მარაზმია და მეტი არაფერი! ადგილობრივ მოსახლეობას ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი ყელში ამოუვა და მათ განაჩენს გამოვუტანთ!

— „განაჩენის გამოტანაში“ რას გულისხმობთ?

— გარეთ გამოვიტანთ! ამის რესურსი, მადლობა ღმერთს, არსებობს.

— ესე იგი, ადასტურებთ, რომ რევოლუციისთვის ემზადებით?

— ამ მოწოდებას რევოლუციას ჟურნალისტები არქმევთ... რა ვუყოთ, დაარქვით...

— ამბობენ, რომ „ნაცებს“ აჭარაში სერიოზული დასაყრდენი აქვთ. მართლაც, ასეა?

— არ დაიჯერო! მაგათ სერიოზული დასაყრდენი არ აქვთ, შეიძლება აქა-იქ გულგატეხილმა გლეხკაცმა ჩაილაპარაკოს, ამათ „ნაცები“ ჯობდნენო, მაგრამ მერწმუნეთ, ამის მეტი არაფერია...

21 მარტსაც, „ნაცების“ აქციაზე უმეტესობა 100 ლარის ხათრით წავიდა. ამ ხალხს არც ვამტყუნებ — ძალიან უჭირს და თითო თეთრსაც მნიშვნელობა აქვს!..

— მერაბ, „ციხის კადრების“ ერთ-ერთ ავტორად ითვლებით. ყოველ შემთხვევაში, ფართო საზოგადოებამ მაშინ გაგიცნოთ. ლოგიკით, „ოცნების“ გუნდში უნდა იყოთ, თუმცა ხელისუფლებას ოპოზიციაში უდგახართ. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ თანამდებობა არ მოგცეს და გაბრაზდით?!

— დიახ, „ციხის კადრების“ ერთ-ერთი ავტორი გახლავართ და 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე, ჩემს თანამებრძოლებთან ერთად, გარდატეხა მოვახდინე. ამ გარდატეხამ კი, „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება მოუტანა.

მიუხედავად იმისა, დღეს ძალიან ბევრი „ვაიანალიტიკოსი“ ცდილობს, ისე წარმოაჩინოს, რომ „ციხის კადრებმა“ არჩევნებზე თითქოს მხოლოდ უმნიშვნელო კვალი დატოვა, ასე არაა. ისტორია, მით უმეტეს, უახლესი ისტორია სხვაა და ვერავინ გააყალბებს, ვერც შეცვლის. ისტორია ყველას და ყველაფერს, საბოლოოდ, თავის ადგილზე სვამს...

ივანიშვილის გავლენას და ავტორიტეტს ერთი წუთითაც არ ვაკნინებ, მაგრამ ბედუკაძის გადმობირება ჩემმა მეგობრებმა შეძლეს და აკობიასაც „კარანტინის დაშლის“ კადრების გადაღება მათ გააბედინეს. სწორედ ამ კადრებმა დაუსვა „ნაცების“ მმართველობას საბოლოო წერტილი...

18 სექტემბრამდე ინტენსიურად ვმუშაობდით ევროპარლამენტის დეპუტატებსა და სხვა ევროსტრუქტურის წარმომადგენლებთან. ყველა მაღალჩინოსანს ფირების ინდივიდუალურ ჩვენებებს ვუწყობდით და ამას მხოლოდ ერთი მიზნისთვის ვაკეთებდით: საქართველოში სისხლის ღვრა უნდა აგვეცილებინა, რაც მოვახერხეთ...

ისე, რადიკალურად განწყობილებს არ ვემხრობი და უფრო კონსტრუქციულად განწყობილ ოპოზიციას განვეკუთვნები: მთავრობის კეთილი საქმეები მახარებს, სისუსტე მწყინს... აჭარაში მიმდინარე პროცესებში ვმონაწილეობ არა, როგორც ჩინოვნიკი, არამედ, როგორც უფლებადამცველი, როგორც თავის კუთხეზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი და მინდა, რომ ხალხი კარგად ცხოვრობდეს, სამუშაო და ელემენტარული პირობები ჰქონდეს. რამდენად საჭირო ვარ ხელისუფლებისთვის, ეს ჩემი კი არა, თავად ხელისუფლების პრობლემაა...

უფლებადამცველის სამუშაო იოლი არაა, გაბედულებას მოითხოვს და შეცდომის დაშვების უფლებაც არ მაქვს... ხელისუფლებას აჭარაში მიმდინარე პროცესებზე ჯერ კიდევ 2 წლის წინ, ვაფრთხილებდი და ვამბობდი, რომ არ შეიძლება, ერთმა კაცმა, მურმან დუმბაძემ დააკომპლექტოს აჭარის მთელი მთავრობა და საკანონმდებლო ორგანო. ნეპოტიზმზეც ვაფრთხილებდი და, აჰა, შედეგი, თუმცა ეს იმასთან შედარებით, რაც გველოდება, როგორც იტყვიან, ჟურნალია.

არავისთვის დასამალი არაა, რომ ხელისუფლებისათვის საკადრო პოლიტიკა „აქილევსის ქუსლია“. საქართველოში უამრავი პროფესიონალი კადრია, რომელსაც ქვეყნისათვის სიკეთის მოტანა შეუძლია, მაგრამ ისინი ხელისუფლებას იმ მიზეზით არ სჭირდება, რომ ხელისუფლებაში მოკალათებულ ზოგიერთ კრეტინს პროფესიონალებს „ერთგული გოშიები“ ურჩევნია! ასეთი მიდგომით ვერასოდეს ვერც ეკონომიკას ავაყვავებთ და ვერც — დემოკრატიას!

კარგი მენეჯერი მაშინ ხარ, როცა შენს ქვევით მდგომს თავის გამოჩენის საშუალებას აძლევ, — მთელი დასავლეთი ამ პრინციპზეა აგებული. ჩვენც თითქოს დასავლეთისკენ მივდივართ, მაგრამ სინამდვილეში, იმ გზით, რითაც მიდის ხელისუფლება, საბო-

„საქართველოში უამრავი პროფესიონალი კადრია, რომელსაც ქვეყნისათვის სიკეთის მოტანა შეუძლია, მაგრამ ისინი ხელისუფლებას იმ მიზეზით არ სჭირდება, რომ ხელისუფლებაში მოკალათებულ ზოგიერთ კრეტინს პროფესიონალებს „ერთგული გოშიები“ ურჩევნია! ასეთი მიდგომით ვერასოდეს ვერც ეკონომიკას ავაყვავებთ და ვერც — დემოკრატიას!“

„სადაა კანონი კერძო იპოთეკარების შესახებ, რომელსაც იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი დაგვპირდა? რატომაა, რომ იპოთეკით დაზარალებულთა გამოსახლებები ვანო მერაბიშვილის 2007 წელს მიღებული, ავადსახსენებელი 747-ე აღსრულების კანონით რეგულირდება? რატომ არ სთხოვს ხელისუფლება იმ პარლამენტარებს პასუხს, რომელთა ოჯახის წევრებიც მევახშეობით არიან დაკავებული და ხალხს სისხლს უშრობენ?

ბევრი შეკითხვა და პრობლემაა, მით უმეტეს, ამბობენ, რომ 1 აპრილიდან გამოსახლებები ისევ დაიწყება. ჩვენც, ალბათ, ისევ ქუჩების გადაკეტვები მოგვიწევს...“

გაგრძელება მე-3 გვ.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

რეგიონი

მე-2 გვერდიდან

ლოოდ, თავს ციხეში ამოყოფს და არა – ევროპაში!

...მე და ჩემმა მეგობრებმა შვილების სიცოცხლე სასწორზე დავდეთ, როცა „ციხის კადრებზე“ ვმუშაობდით. ყოველ დღე, სახლიდან რომ გავდიოდით, სიკვდილს ველოდით... ფული რომ გვდომებოდა, „ციხის კადრებს“ სააკაშვილს მივყიდდით და მილიონერები ვიქნებოდით, არ გადაგვიხდიდა თუ რა?!

ასეთი გზა რომ გამოვიარეთ, ამიტომაც ვარ ხელისუფლების მიმართ მომთხოვნი.

ჩემი ყველაზე დიდი დივიდენდი ხალხის სიყვარულია: საოცარი გრძნობაა, როცა ქუჩაში გაჩერებენ და მადლობას გიხდიან... სწორედ ამ სიყვარულმა გამაბედინა, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოვემზადო – ჩემი კუთხის შვილებმა იციან, რომ მათ პარლამენტის ტრიბუნიდან უფრო დავეხმარები და ამაში არც ცდებიან...

– მერაბ, რა ამის პახუხია და, იპოთეკარების კუთხით აჭარაში რამე სიახლე არის?

– სამწუხაროდ, ისევ დაპირებები და ტყუილი, არავითარი სიახლე და ვიდრე არჩევნები არ მოახლოვდება, არც არაფერს გააკეთებენ! ამიტომ, მთავარია, იპოთეკით დაზარალებულებმა არჩევნებამდე თავი როგორმე გაიტანონ...

აჭარის მთავრობის წევრები აცხადებენ, რომ იპოთეკით დაზარალებულებს თითქოს დაეხმარნენ.... კი ბატონო, დაეხმარნენ, მაგრამ ისეთებს, რომელთა უმეტესობასაც დახმარება არ ეკუთვნოდა.

– ანუ?

– სესხი მათ მისცეს, ვისაც სასტუმროები აქვთ და სესხის დაფარვაც შეუძლიათ.

უფრო კარგად რომ ავხსნა, იპოთეკით დაზარალებულთა საკითხის შესწავლა ინდივიდუალურად უნდა მომხდარიყო და დახმარება, პირველ რიგში, ისეთ პირებზე უნდა გაცემულიყო, ვინც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალდნენ, ან ვინც იძულებული იყო, შვილის, ან ოჯახის სხვა წევრის ავადმყოფობის გამო, სახლი დაეგირავებინა, ან კიდევ, იმ პირებზე, ვისაც სააკაშვილის რეჟიმმა შვილის, ან ოჯახის სხვა პირების პატიმრობის გამო, სახლები გირაოში ჩაადებინა...

ვიმეორებ: იპოთეკით დაზარალებული თითოეული ოჯახის ინდივიდუალურად შესწავლა უნდა მომხდარიყო, მაგრამ...

რა ქნას ბათუმელმა ლალი ზაქარეიშვილმა, რომელმაც სახლი იპოთეკით იმისთვის დატვირთა, რომ შვილი სიკვდილისგან ეხსნა? – იპოთეკის პირობების გაცნობის თავი ჰქონდა? იპოთეკარმა გამწარებულ დედას კაბალური პირობები შეაჩეჩა. ქალბატონმა ლალიმ შვილი ვერ გადაარჩინა, ახლა კი, ქუჩაში გამოგდება ემუქრება!..

სადაა კანონი კერძო იპოთეკარების შესახებ, რომელსაც იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი დაგვპირდა? რატომაა, რომ იპოთეკით დაზარალებულთა გამოსახლებები ვანო მერაბიშვილის 2007 წელს მიღებული, ავადსახსენებელი 747-ე აღსრულების კანონით რეგულირდება? რატომ არ სთხოვს ხელისუფლება იმ პარლამენტარებს პასუხს, რომელთა ოჯახის წევრებიც მევახშეობით არიან დაკავებული და ხალხს სისხლს უშრობენ?

ბევრი შეკითხვა და პრობლემაა, მით უმეტეს, ამბობენ, რომ 1 აპრილიდან გამოსახლებები ისევ დაიწყება. ჩვენც, ალბათ, ისევ ქუჩების გადაკეტვები მოგვიწევს...

– მერაბ, აფხაზებთან გარკვეული ურთიერთობა გაქვთ – თქვენი მეუღლე აფხაზია. რა განწყობაა სოხუმში?

– ასეთ ფაქიზ თემაზე საუბარი ძალიან რთულია და მხოლოდ ერთს ვიტყვი: ადამიანთა ურთიერთობები არასდროს გაწყდება, მეზობლები, მეგობრები, ნათესავები ისევე აგრძელებენ ურთიერთობას, როგორიც ადრე ჰქონდათ, არც ომმა, არც – პოლიტიკამ და არც უდიდესმა მწუხარებამ ვერ შეძლო ურთიერთობების დამსხვრევა, ეროვნებათშორისი ქორწინებები კვლავ არსებობს და იარსებებს... ადამიანთა ურთიერთობები მუდმივია...

ესაუბრა ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

სტოპკადრი

როგორია მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა

მთავრობამ უცხოელებზე საქართველოს ვიზების გაცემის პროცედურებისა და ზოგადად, სავიზო რეგულაციების გამარტივების გადაწყვეტილება მიიღო.

მთელ რიგ ახალ საკანონმდებლო ნორმებში, რომელიც ამ მიმართულებით პარლამენტის მიერ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის ფარგლებში იქნა მიღებული და 2014 წლის 1-ელი სექტემბრიდან ამოქმედდა, ცვლილებები შედის.

შესაბამისი კანონპროექტი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს ავტორობით და მთავრობის ინიციატივით, პარლამენტს განსახილველად უკვე წარედგინა.

პროექტის ფარგლებში ერთ-ერთი სიახლეა, რომ საქართველოს ვიზის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოების ჩამონათვალი იზრდება და დგინდება შესაძლებლობა, ვიზის გაცემაზე გადაწყვეტილება უშუალოდ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღოს. შესაბამისად, სადღეისოდ საქართველოს ვიზის გამცემ ორგანოებს – საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას და საკონსულო დაწესებულებას, ხოლო საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ვიზის გაცემისას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ორგანოს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ემატება.

გარდა ამისა, საქართველოს ვიზის გამცემ ორგანოებთან დაკავშირებით პარლამენტში წარდგენილი პროექტი ითვალისწინებს ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც, იმ უცხოელებისათვის, რომელთა მოქალაქეობის ქვეყანაშიც საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება არ აქვს, შესაძლებელია საქართველოს ვიზის გაცემა ან საქართველოს ვიზის გაცემისათვის საჭირო ცალკეული მოქმედებების განხორციელება იმ მესამე სახელმწიფოს მიენდოს, რომელიც მისაღები იქნება ადგილსამყოფელი სახელმწიფოსთვის. აღნიშნულ შემთხვევაში საქართველოს ვიზის გაცემის ან მისი გაცემისათვის საჭირო ცალკეული მოქმედების განხორციელების პირობები შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით განისაზღვრება.

ამასთან, საქართველოს ვიზის გამარტივებულად გაცემის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ელექტრონული ვიზების გაცემის უფლებამოსილება ენიჭება. კანონპროექტით დგინდება, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია საზღვარგარეთ მყოფ უცხოელზე ელექტრონული ვიზა გასცეს, თუ ელექტრონული ვიზის მისაღებად საჭირო სავიზო განაცხადის წარდგენა სამინისტროს სპეციალური ვებგვერდის – „ელექტრონული ვიზის პორტალის“ მეშვეობით მოხდება.

„აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების დატვირთულობის შემცირებას, საქართველოს ვიზების ხელმისაწვდომობას, ასევე გაამარტივებს საქართველოს ვიზების მოპოვების პროცედურას“, – აღნიშნულია კანონპროექტს თანდართულ განმარტებით ბარათში.

კონკრეტული შემთხვევები, თუ რა კატეგორიის ვიზის გაცემა იქნება შესაძლებელი „ელექტრონული ვიზის პორტალის“ მეშვეობით წარდგენილი სავიზო განაცხადის საფუძველზე, მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება.

კანონპროექტით იცვლება საქართველოს ვიზის განმარტება და დგინდება, რომ საქართველოს ვიზა არის ნებართვა და არა აღნიშვნა სამგზავრო დოკუმენტში, რომელიც უცხოელს საქართველოში შემოსვლის, ყოფნის ან ტრანზიტით გავლის უფლებას აძლევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს აღნიშნული უცხოელის საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლები ან უცხოელის საქართველოში ყოფნის ვადის შეწყვეტის ფაქტი. საქართველოს ვიზის განმარტებაში კონკრეტდება ისიც, რომ საქართველოს ვიზა შეიძლება გაიცეს სამგზავრო დოკუმენტში ვიზის ბლანკის დატანის გზით, ან ელექტრონული ფორმით (ელექტრონული ვიზა).

კანონპროექტით ახლებურად განიმარტება „მოწვევის“ ცნებაც. კანონის მოქმედი რედაქციის თანახმად, მოწვევაზე უფლებამოსილ პირებად ითვლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქე, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირი, საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი. პარლამენტში წარდგენილი პროექტით კი, მოწვევის ცნება უფრო ფართოდ განისაზღვრება და მოიცავს წერილობითი შუამდგომლობის შემცველ ნებისმიერ ოფიციალურ დოკუმენტს, რომლითაც უცხოელის საქართველოში ჩამოსვლის მიზანი დასტურდება.

კანონპროექტის განხილვა საქართველოს პარლამენტში ჯერ არ დაწყებულა.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

სტოპკადრი

სავიზო რეგულაციები მარტივდება

მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა, რომლის პარლამენტში ინიცირებას „ნაციონალური მოძრაობა“ გეგმავს, საკმაოდ რთულ და რამდენიმე ეტაპიან პროცედურასთანაა დაკავშირებული.

პარლამენტი უფლებამოსილია, მთავრობას უნდობლობა გამოუცხადოს, თუმცა საქართველოს კონსტიტუციაში პროცედურათა იმდენად რთული თანმიმდევრობაა გაწერილი, რომ მთლიანობაში უნდობლობის გამოცხადებას და ახალი მთავრობის დამტკიცებას შესაძლოა 90-ზე მეტი დღე დასჭირდეს. ამასთან, საჭირო ხდება ხმების რამდენჯერმე მაღალი ქვორუმით მობილიზება.

საქართველოს კონსტიტუციის გათვალისწინებით, მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადება, რომელსაც უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის პროცედურას უწოდებენ, შემდეგნაირად ხდება: მთავრობის უნდობლობის საკითხის აღძვრისთვის პარლამენტს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორმა მეხუთედმა (60 დეპუტატი) უნდა მიმართოს. უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრასთან დაკავშირებით კენჭისყრა იმართება არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 25 დღისა. უნდობლობის საკითხი აღძრულად ჩაითვლება, თუ მას პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი – 75 დეპუტატი დაუჭერს მხარს (ცოტა ხნის წინ პარლამენტის წევრის გარდაცვალების გამო, პარლამენტის სიითი შემადგენლობა 149 დეპუტატით არის განსაზღვრული). გადაწყვეტილების ჩავარდნის შემთხვევაში, პარლამენტის იმავე წევრთა მიერ საკითხის ხელახლა ინიცირება მომდევნო ექვს თვეში დაუშვებელია. ამისთვის ახალი 60 დეპუტატი იქნება საჭირო, რომელთაგან არც ერთი არ შეიძლება იმ 60 დეპუტატს შორის იყოს, რომელმაც ბოლო ექვსი თვის განმავლობაში უნდობლობის საკითხის აღძვრა მოითხოვა.

უნდობლობის საკითხის აღძვრიდან 20-25 დღეში, პარლამენტი კენჭს უყრის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მეხუთედის (60 დეპუტატი) მიერ დასახელებულ პრემიერ-მინისტრის კანდიდატის პრეზიდენტისთვის წარდგენას. თუკი პარლამენტართა ორი, მინიმუმ 60-კაციანი ჯგუფის მიერ დასახელდა პრემიერ-მინისტრის სხვადასხვა კანდიდატურა, კენჭი ორივე მათგანს ეყრება. პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა წარედგინება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი (75 დეპუტატი). პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარუდგენლობა უნდობლობის გამოცხადების პროცედურის შეწყვეტას ნიშნავს.

პრეზიდენტს უფლება აქვს, ხუთი დღის ვადაში დაეთანხმოს ან უარი თქვას პრემიერ-მინისტრობის კანდიდატზე. თუკი პრეზიდენტი პარლამენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურას წამოაყენებს, მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადება კონსტიტუციით დადგენილი წესითა და პროცედურით ხდება – პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი შვიდი დღის ვადაში პარლამენტს მთავრობის შემადგენლობასა და სამთავრობო პროგრამას წარუდგენს, ხოლო პარლამენტი ასევე, შვიდი დღის განმავლობაში 75 ხმით ამტკიცებს მას. თუკი პრეზიდენტი პარლამენტის მიერ წამოყენებულ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას ვეტოს დაადებს, პარლამენტს სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედით (90 დეპუტატი) ვეტოს დაძლევა შეუძლია, რაც არანაკლებ 15 და არაუმეტეს 20 დღეში უნდა მოხდეს. ვეტოს დაძლევის შემთხვევაში, პრეზიდენტი ვალდებულია მაქსიმუმ სამ დღეში პარლამენტს მისთვის წარდგენილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა წარუდგინოს. მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცება უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის წესით ხდება, რაც ახალი მთავრობის დამტკიცებასთან ერთად ძველი შემადგენლობისთვის ავტომატურად უნდობლობის გამოცხადებას ნიშნავს. ახალ პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტი ორი დღის ვადაში ნიშნავს, ხოლო პრემიერ-მინისტრი ასევე ორი დღის ვადაში – მთავრობის სხვა წევრებს. თუ პრეზიდენტი აღნიშნულ ვადაში არ გამოსცემს სამართლებრივ აქტს პრემიერ-მინისტრის დანიშვნის თაობაზე, პრემიერ-მინისტრი დანიშნულად ჩაითვლება. პარლამენტის მიერ მთავრობის ახალი შემადგენლობისთვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პრეზიდენტი უფლებამოსილია 3 დღის ვადაში დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები.

მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების ეს პროცედურა 2010 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად მოქმედებს.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

№ 12 (276)
25- 31 მარტი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სტოპკადრი

აშშ-ს ნარკოანგარიშში საქართველოზეცაა ლაპარაკი

მიმდინარე წლის 19 მარტს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო სტრატეგიის 2015 წლის ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც ასევე, მოხვდა ანგარიში საქართველოში 2014 წლის განმავლობაში ნარკოტიკულ დანაშაულთან და ზოგადად ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

აღნიშნული ანგარიშები ყოველწლიურად ქვეყნდება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მოცემულ ანგარიშში პოზიტიურად იქნა შეფასებული აღნიშნული კუთხით საქართველოში განხორციელებული ღონისძიებები. კერძოდ, ანგარიშში განსაკუთრებით აღინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2014 წლის ივლისის თვეში 2.7 ტონა თხევადი ჰეროინის ამოღების ფაქტი, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით სახმელეთო გზით გადატანილი ჰეროინის ამოღების სავარაუდოდ ყველაზე დიდ ოდენობას წარმოადგენს. ანგარიშში ასევე ხაზგასმულია აშშ-სა და საქართველოს შორის 2014 წლის განმავლობაში განხორციელებული თანამშრომლობის მნიშვნელობა და ამერიკის დახმარება ქართული მხარისთვის ტრეინინგების და სასწავლო ვიზიტების ორგანიზების, ასევე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში უწყებათაშორისი ანტინარკოტიკული კინოლოგიური დანაყოფის შექმნის კუთხით.

ანგარიშში ასევე, პოზიტიურად აღინიშნა საქართველოს მიერ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიისა და მისი 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის მიღების ფაქტი. ანგარიშში ნათქვამია, რომ სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია ნარკოდამოკიდებულებისა და მისგან გამოწვეული ზიანის შემცირებაზე, საქართველოში ამ კუთხით არსებულ ვითარებაზე მონიტორინგის, კოორდინაციის და საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესებაზე.

გარდა ამისა, ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოში 2014 წლის განმავლობაში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებმაც დაარეგულირა ნარკოტიკების უკანონოდ მოხმარებასა და ნარკოტიკული საშუალებების იმპორტირებასთან დაკავშირებული საკითხები. ანგარიშში ნათქვამია, რომ 2014 წლის მაისის ცვლილებების შედეგად 2013 წელთან შედარებით 90 პროცენტით შემცირდა კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ფაქტები და რომ ამ მიმართულებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩაატარა მნიშვნელოვანი ანტი-ნარკოტიკული კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების თავიდან აცილების მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. აქვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნარკოტიკულ დანაშაულთან და ზოგადად ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა რჩება ქვეყნისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებად და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს ეფექტური ღონისძიებების გატარებას ამ კუთხით.

„ჯი-ეიჩ-ენ“-ი

საფრანგეთში ავიაკატასტროფა მოხდა

„ეარბას“ 320 ტიპის სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც ბარსელონა-დიუსელდორფის რეისს ასრულებდა, ზემო პროვანსის ალპებში ჩამოვარდა.

ინციდენტისას თვითმფრინავში 148 ადამიანი იმყოფებოდა. სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

„ჯი-ეიჩ-ენ“-ი

„კანონიერი ქურდი“ დააკავეს

სამართალდამცავებმა ე.წ. კანონიერი ქურდი დააკავეს. შსს-ს ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისის საერთშორისო აეროპორტში 1978 წელს დაბადებული ლევან მარღია კანონიერი ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული აღიარებს ქურდულ სამყაროს და გარკვეული პერიოდიდან მისი წესების დაცვით ცხოვრობს. გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის მეორე ნაწილით)“, — ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„ინტერპრესნიუსი“

„სოკარზე“ მომხდარი თავდასხმა გახსნილია

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-8 განყოფილების თანამშრომლებმა, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ბრალდებით ერთი პირი დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი 1993 წელს დაბადებული ზურაბ უ. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

მათივე ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 23 მარტს, გურამიშვილის გამზირზე მდებარე „სოკარის“ გაზგასამართ სადგურში ურთიერთშელაპარაკებისას ცივი იარაღით ფეხის არეში დაჭრა ოპერატორი - 1991 წელს დაბადებული ზურაბ ა. მენეჯერი — 1983 წელს დაბადებული ჯაფარ ა. და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად დამაკმაყოფილებელია.

სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში გურამიშვილის გამზირზე

დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი - დანა ნივთმტკიცებად ამოღებულია.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 118-ე მუხლით).

„ინტერპრესნიუსი“

„ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში 400-მდე ბავშვი გაერთიანდა

ადამიანის უფლებათა დაცვის სირიული ორგანიზაცია, რომელიც ბრიტანეთშია ბაზირებული, საგანგაშო ინფორმაციას ავრცელებს: ისლამისტთა რიგებში 400-მდე ბავშვი გაერთიანდა.

ე.წ. ხალიფატის მოსწავლეები საბრძოლო მომზადებას ჯიჰადისტთა ბაზებზე გადიან.

გავრცელებული ინფორმაციით, ისლამისტები ბავშვებს სკოლაში სიარულის უფლებას არ აძლევენ და მათ ადამიანების სიკვდილით დასჯაში მონაწილეობის მიღებას აიძულებენ.

„ჯი-ეიჩ-ენ“-ი

სარფის საბაჟოზე ჩემოდანში გოგონა იპოვეს

საქართველოს მოქალაქე, 22 წლის გოგონა სარფის საბაჟოზე ჩემოდნით გადაჰყავდათ, — ამ ინფორმაციას თურქული მედიასაშუალება ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, გოგონა ჩემოდნით ქართველ მამაკაც მგზავრს გადაჰყავდა. ჩემოდანი თურქმა მებაჟეებმა საეჭვოდ მიიჩნიეს და პატრონს მისი გახსნა მოსთხოვეს.

ინტერნეტში საბაჟოზე გადაღებული ვიდეო მასალაც ვრცელდება.

„რუსთავი 2“



ქალი

ცუდია, როცა შენ ხარ მტრის
ხელში,
რა ახლო გზაა, თურმე,
ზამთრამდე,
ქალებს რა უნდათ, ნეტა, ციხეში?
ქალი ქვეყანას უნდა მართავდეს!
თუ ვინმეს ეთქმის, ალბათ, მეც
მეთქმის,
მიტომაც ვამბობ სიტყვას
გულიანს,
ამქვეყანაზე ვითარცა ღმერთი,
ქალიც ხომ ნაღდი სიყვარულია!
დედავ, გაუძელ ამ ქვეყნის
რისხვას,
შენ ბოროტებას მხნედ
გამოსცლიხარ,
ქართვლის დედაო,
დედაო, ღვთისა, —
შენ დედამიწის დედაბოძი ხარ!

ჯანსუღ ჩარკვიანი

არაბები რუსულ კოსმოდრომს ყიდულობენ

რუსული მცურავი კოსმოდრომის, „მორსკოი სტარტის“ შესყიდვით არაბეთის გაერთიანებული ემირატებია დაინტერესებული. ამის შესახებ სააგენტო „იტარ-ტასი“ იტყობინება.

კოსმოდრომიდან მანამდე უკრაინული „ზენიტის“ ტიპის რაკეტების გაშვება ხორციელდებოდა. მცურავი კოსმოდრომი 1995 წელს აშენდა და ამჟამად მისი აქციების 95 პროცენტის მფლობელი სარაკეტო-კოსმოსური კორპორაცია „ენერგიაა“.

გაერთიანებულმა ემირატებმა საკუთარი კოსმოსური სააგენტო 2 წლის წინ შექმნა და 2021 წლისთვის მარსზე საკუთარი აპარატის გაშვებას აპირებს.

„ჯი-ეიჩ-ენ“-ი

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

25 - 31 მარტი 2015 | № 12 (276)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

პოეზია

აკაკი წერეთელი

თორნიკე ერისთავი

ისტორიული პოემა

კარი მესამე

I

„თავგასულია სკლიაროს
მთავარი ბარდაველიო:
ბერძნების სისხლით შეჰღება
ურჯულომ მთა და ველიო!
ორად გააპო სამეფო,
აოხრებს ნახევარსაო;
სპარსელები და სომხები
შემოჰხვევიან გარსაო!
გრიგოლ და ვახტანგ თანა ჰყავს,
ორი ძმა თარონელიო,
მათ მიუციათ მომხრებად
მოჯანყისათვის ხელიო.
მოქის თავადიც აქ არის,
აფრანიკ, სომეხთ გმირიო,
და საღალატოდ შეუკრავთ
სუყველას ერთად პირიო.
გაულეწიათ ბერძნები,
იჩაგვრის ძველი ლომიო,
მაგრამ ჩვენ უნდა ვუჩვენოთ
აწ-ღა სხვაგვარი ომიო!
შორის ქვეყნით ვართ მოსული
რჯულისთვის მეომარიო;
ხელში გვიჭირავს ფარ-ხმალი,
წინ გვიძღვის ქრისტეს ჯვარიო.
ჩვენ ვართ თორმეტი-ათასი,
თითოს შეგვხვდება ათიო,
მაგრამ რა გვიჭირს? ადრევაც
გვინახავს შებმა მათიო!
ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი!..
მობრძანდეს ბარდაველიო
და ამოიგოს მან ჩვენგან
იმისი სისხლი ძველიო!
სიკვდილი ან გამარჯვება!..
ვინც თავი დაიშუროსო;
დედა შეირთოს მან ცოლად,
ლეჩაქი დაიხუროსო!..“

ტახტს ასველებდა დედოფლისაგან
ჩამონათხევი ცრემლისა ღვარი.
სამაგიეროდ ქართლს ჰპირდებიან
ზემოქვეყნების დამონებასა;
მხოლოდ ამისთვის მე დავეთანხმე
იმათ სურვილს და იმათ ნებასა.
ეხლა კი ისევ უნდა გავბრუნდე,
ამას მოითხოვს ჩემი ღირსება,
თუმც ვერ დავფარავ, რომ სოფლის
ზრახვით ეს ჩემი გული ისევ ივსება.
და, რასაც ერთხმად ჩემგან მოითხოვს
დღეს სამსახურსა ქართველთა ერი,
იმას ხომ სხვებიც აასრულებენ?
რა საჭიროა იმისთვის ბერი?
განა, ცოტა ჰყავს მეფეს სარდლები?
ერთს იმათთაგანს მიანდოს ჯარი
და მეც, თუ ჰნებავს, თან ვიახლები,
მაგრამ მექნება მე ხელში ჯვარი
და ხატი ყოვლადწმინდა დედისა,
როგორც მოძღვარსა და არა სარდალს;
სხვებმა იბრძოლონ და გამარჯვებას
მე შევთხოვ ცრემლით მხოლოდ
ძალთაძალს
— „კეთილი!“ ბრძანა კათალიკოსმა:
„რაც ადრევე სთქვი, იმ აზრზევე ხარ!
მაშ, ვით უმცროსმა, უფროსის ნება
რომ შეასრულო, ამაზეც მზა ხარ?
ვით კათალიკოსს, შენი ბრძანების,
შენც კარგად იცი, ხელთა მაქვს ნება;
მაგრამ მე მაინც მსურს შეგაგონო,
რომ შემცდარია შენი გონება:
ნუთუ შენ, მართლა, რამე გგონია
ცარიელ სიტყვით ღვთისა დიდება?
განა ღვაწლია ხორციელისგან
ამა სოფლისა კრძალვა-რიდება?
და ეს ქვეყანა შვენებით სავსე,
შემოქმედების გამომხატველი,
ნუთუ მიტომ გაქვს მონიჭებული,
რომ ჩვენის ნებით ავიღოთ ხელი?
ვინცა იწუნებს თავმოყვარებით
ამ მიუწვდომელ დიდსა ქმნილებას
და უარსა ჰყოფს კანონიერსა
ბუნების ყოვლგვარ მოთხოვნილებას,
ის უარსა ჰყოფს თვით შემოქმედსა!
საბრალო არის ის და შემცდარი,
რადგან არ იცის, თუ ქვეყნიერად
რად მოგვევლინა ჩვენ მაცხოვარი!“
— „ვითა რეგვენი, ღირსი არა ვარ,
ბატონო, თქვენთან გაბაასების,
მაგრამ რა ვქნა, რომ მეც საპასუხოდ
ცოდვილი გული ურჩად მევსების?
და კიდევ გკადრებთ: ლოცვა კარია
ცოდვილისათვის სინანულისა
და მარტოობა სადმე უდაბნოდ —
გასპეტაკება მადლით სულისა!
ამა სიმართლეს უარს ვერა ჰყოფს,
ვინც ქრისტიანად ნათელღებულა;
ამის მაგალითს ქრისტე მით გვაძლევს,
რომ ორმოცი დღე მან იმარხულა“.
— „არა, მამაო! მაგგვარი ახსნა
საცალმოგვოა და შემაცდენი;
მაგითი შუქი დაიჩრდილება,
ჭეშმარიტების გადმონაფენი,
ვიცით, რომ ქრისტემ უდაბნოდ დაჰყო
ის ორმოცი დღე ლოცვა-მარხვითა,
მაგრამ ის იმ დროს იმა ლოცვითა
ქვეყნად საერო საქმეს ჰზრახვიდა.
და როდის დარჩა მეუდაბნოედ,
განა ამ სოფელს ის უარჰყოფდა?
თუ დადიოდა დაბად და სოფლად,
ხალხის ჭირს და ლხინს შუა იყოფდა?..
თვითონ არ დაჰგმო ფარისევლების
გზაჯვარედინზე ლოცვა საქვეყნო
და ნაცვლად მოგვცა მოკლედ სათქმელი
საყოველდღეო „მამაო ჩვენო?“
ასე არ ბრძანა: „თვინიერ საქმის,
სიტყვითი ლოცვა, უწყით, მკვდარ არსო?
და მრავალისა მეტყველებითა
ვერვინ გაიღებს სამოთხის კარსო?“
საქმეა, მხოლოდ საქმე საჭირო,
გულიცა წმინდად დაბადებული
და ქვეყნიურის კეთილ ზრახვებით
სული სიწრფელით გაახლებული!
ეს არის მხოლოდ ქრისტეს მოძღვრება,
საქრისტიანო ეს არის ვალი!
და ვინც ამატებს ამაზე სხვებსაც
დაბნეული აქვს მას გზა და კვალი!“
— „ეგ ყველა კარგი, მაგრამ ამ სოფლად
შესრულებული ვისაც აქვს ვალი
და, რომ გააგრძოს კიდევ რამ, მისთვის
არ დარჩენია ღონე და ძალი?!
ნუთუ არა სჯობს უქმადმყოფობას,
გადგეს უდაბნოდ მმარხველ-მლოცველად
და არ გაუხდეს სხვებს ამა სოფლად
ურგებ ტვირთად და ხელის შემშლელად?
განა ეს ჩემი უარისყოფა
კერპობა არის და უმეცრება?
მეც კარგად მესმის, რომ ქვეყნიურის
შრომით ეძლევა სულს ნეტარება!
ადრევაც მითქვამს და ეხლაც ვამბობ,
რომ მე თვითონ ვგრძნობ ჩემს
უძლურებას!
დღეს, შედარებით, ბევრი მჯობია!
სახალხოდ ვამბობ ამ აღსარებას.“
— „არა! „ხმა ღვთისა — ხმა ერისაო“.
ხომ კარგად იცი ეს შენც, მამაო,
დღეს ერი გირჩევს ერთხმად წინამძღვრად
და უარის თქმა არის ამაო!
როდესაც ასე დარწმუნებული
არის რამეზე ერთპირად ერი,
მაშინ ის არის გულით და სულით
ამაღლებული გმირი-ძლიერი.
დღეს ქართველები შენის სარდლობით
ჰფიქრობენ მტერზე გამარჯვებასა
და უნდა მივყვეთ ჩვენც იმათ სურვილს
და მოხიბლულსა მათსა ნებასა!
ჩემი სიტყვები რომ იგულისხმო,
ხალხის ღაღადსაც დაუგდე ყური!
ნუთუ გამოხსნა ქრისტიანობის
არ იყოს ისევ ღვთის სამსახური?
გასავრცელებლად ქრისტიანობის
საკმაო არის, დიახაც, ჯვარი,
მაგრამ მის მტრების მოსაგერებლად
ხშირად გვჭირდება ხმალი და ფარი!
როგორც გვირგვინსა მისი ქმნილების
მისთვის გვნიშნავდა განგება ქვეყნად,
რომ მივემსხვერპლოთ, თავი შევსწიროთ
მისსა დიდებას საკურთხად და ძღვნად.
და ეს ძღვენია კეთილი საქმე,
ქრისტიანობის სვეტიცხოველი,
და შენც, თორნიკე, ამის სახელით
ისევე ფარ-ხმალს მოჰკიდე ხელი!..
შეიბ მახვილი და გარეგნობით,
დროს შესაწონად, იცვალე ფერი
და გამოიხსენ განსაცდელისგან
ქრისტეს მმოსავი ბერძენთა ერი!“
სთქვა მღვდელთმთავარმა და გადასახა
მადლმინიჭებით მოხუცსა ჯვარი
და მეორე დღეს თორნიკ-სარდალმა
კიდეც შეჰყარა საომრად ჯარი.

II

მცირე აზიას, ჰალისის პირად,
ერთი ხანია ბანაკად მდგარი,
ასე იმღერის გუნდად და გუნდად
შეუპოვარი ქართველთა ჯარი.
მათი გუგუნი, მათი კიჟინი
ზე ეფინება ირგვლივ მთა და ბარს,
და ესე ყველა ეკლად და ისრად
გულში ესობა სკლიაროსის ჯარს.
კბილებს ილესავს ბრაზმორეული,
არც დღე, არც ღამე აღარ აქვს ძილი,
მაგრამ რას იზამს? მარჯვე დროს ეძებს
მათ შესაბმელად სკლიაროს ფრთხილი.
ქართველი ჯარის ვაგლახად შებმას
გამოცდილება სარდალს აფიქრებს
და ველარ ჰბედავს თვითონ იერიშს,
დახვდომა უნდა ამაგრებს საფრებს.
უნდა, რომ ჯარი მან მიიტყუოს
იმ სიმაგრეში და იქ ებრძოლოს:
თუ არ ამ ხერხით, ისე სხვაგვარად,
ის არ მოელის კეთილსა ბოლოს;
და საკენწლავად გუნდად და გუნდად
წასატყუებლად აგზავნის ჯარებს,
და განზრახულად თვითონვე აღებს
მტრის შესასვლელად ბანაკის კარებს.
მაგრამ თორნიკე გამოცდილია:
არ მოტყუვდება ამგვარი მახით,
მათვე უპირობს გამოტყუებას
სხვაგვარი ხერხით და სულ სხვა სახით.
იქ ქართველებთან ლაშქრადვე იყო
დასავლეთელი ბერძნების ჯარი
და, რომ თორნიკეს ემონებოდენ,
მათ მოსდიოდათ ამაზე ჯავრი
ასე ამბობდენ მათი სარდლები:
„მართლაც, რომ ღმერთი ჩვენ გვიწყრებაო:
მთავარსარდლობა ქართველს უჭირავს,
ეს არის ბერძნის დამცირებაო!“
ეს სცნო თორნიკემ, ჯერ გაიღიმა,
რაღაც სხვა ფიქრმა მას გაუელვა,
მერე შეჭმუხნა რისხვით წარბები,
აინთო სახე, მთლად აიღელვა
და სთქვა: „მოვსულვართ შორის ქვეყნიდან
მოსახმარებლად კეთილად, ძმურად
და ესენი კი პასუხს გვაძლევენ
ბატონობითა და მედიდურად?!
დიდი ხანია, რაც ჩემ ბრძანებას
აღარ უგდებენ ბერძნები ყურსა
და არად ჰხდიან, თქვენც ჰხედავთ, ძმებო,
ჩვენს ერთგულებას და სამსახურსა!
მაშ, თუ ასეა, აღარ გვაქვს ბრალი,
გულთამხილავო, შენ ჰხედავ, ღმერთო,
რომ უმიზეზოდ შემომწყრალ ხალხთან
აღარა გვაქვს რა აწ ჩვენ საერთო!“
სთქვა და უბრძანა ჯარს ამხედრება,
საქართველოსკენ უკან გაბრუნდა;
ამით ბერძნები მარტო დაჰყარა
და მიაყარა მათ ქვა და გუნდა
ეს ამბავი რომ შეიტყვეს მტრებმა,
დააგდეს მყისვე მათი სიმაგრე,
გამოვიდენ და ყოველის მხრითა
ბერძნების ჯარი შემოჰკრეს გარე;
მისვლის უმალვე ასტეხეს ბრძოლა,
რადგან საგულეს ჰქონდათ მათ გული
მით, რომ ბერძნები ქართველებისგან
დარჩენილიყვნენ მიტოვებული.
რაღა გზა ჰქონდათ? მაშინ ბერძნებმაც
ფარ-ხმალს მოჰკიდეს საომრად ხელი,
თუმცა-კი გრძნობდენ, რომ გამარჯვება
იმათთვის იყო მეტად რამ ძნელი;
აღარ უნდოდათ შერცხვენილიყვნენ:
თავი შესწირეს, ჰბრძოდენ გმირულად,
სანამ ურიცხვმა და უთვალავმა
მტერმა არ სძლია ისინი სრულად.
დამარცხდენ, თუმც კი ხელცარიელი
არ დარჩენიან არც ისინი მტრებს:
რიცხვი არა აქვს სპარსელებისა
და თან სომხების დაჭრილებს და
მკვდრებს!
მაგრამ სკლიაროს ამ გამარჯვებას
რადგანაცა სთვლის უკანასკნელად
და ვერვის ჰხედავს აწ მის სურვილის
მოწინააღმდეგ-ხელისშემშლელად,
დღესასწაულობს: გრძნობამორეულს
უდროოდ ათრობს მეტი სიამე
და ლხინს ეძლევა გულდამშვიდებით
გაუსხლეტელად ის მთელი ღამე.
ის-კი არ იცის, რომ იქვე, სერზე,
სდგას თორნიკ მისგან დავიწყებული;
დაჰმზერს მტრის ბანაკს და სარდლებიცა
იქვე ჰყავს გარეშემოხვეული.
სხვადასხვა რჩევას აძლევს სარდლებსა,
მათ-მათ შესაფერს თვითოეულად,
და სახვალიოდ ჯარებს ამზადებს
მტრის შესაბმელად, ჯერ-კი ფარულად.
— „ახლა ხომ ჰხედავთ, თუ რას ნიშნავდა
ბერძნებთან შუღლი და მოშორება?
თუ არ ამ ხერხით, სხვებრ არ შეგვეძლო
სომხის სარდლების ჩვენ მოღორება.
არ დააგდებდენ საფრებს და ბრძოლას
არ დაგვიწყებდენ ველზე გაშლილად;
და, თუ პირიქით მივვარდებოდით,
დაგვამარცხებდენ მაშინ ადვილად.
მაგრამ, მადლობა ყოვლის შემძლებელს!
ასრულდა ჩემი განზრახულები:
ვგონებ, რომ ველარ გაგვიმაგრდენ ხვალ
ამ გაშლილ ველზე დაღალულები!"
თუმც შეგვიძლიან თავზე დავესხათ
ახლაც; ეს ჩვენთვის სულ ადვილია,
მაგრამ რადგანაც არ მოელიან,
ეს ღალატსა ჰგავს და სირცხვილია.
გვიჯობს მივადგეთ გამოცხადებით
ისე, როგორც რომ ვაჟკაცთ წესია,
და უკუღმართად ნუ მოვმკით იმას,
რაც ძველებს წალმა დაუთესია!“
ასე ამბობდა მოხუცებული,
აწყობდა რაზმებს, ჯარს აფრთხილებდა;
სარდლებს სხვადასხვა მხრით აგზავნიდა
და ჯარსაც თვითონ უნაწილებდა.
— „შენგან დავიწყებ ჯერ, ჯავშანიძე:
ომის ველზე ხარ დაბერებული,
გამოცდილი ხარ და, რა თქმა უნდა,
ზომას დაიჭერს ეგ შენი გული.
შენებრ ჭაღარა ათასი კაცი
ამოირჩიე, შეკრიბე ჯარი,
მათ წინ წაუძღე და საიდუმლოდ
მიდი, აიღე მტრების საფარი!
და, როდესაც აქ ომი ატყდება,
თქვენ არ გექნებათ მონაწილობა:
უჩინრად უნდა იმალებოდეთ
არვინ გაბედოს მასზე ცილობა!
რაც უნდა მოხდეს აქ, თქვენ მაინც იქ
ჩუმად იყავით არვინ აჩქარდეს,
რომ სურვილისგან გატაცებულის
ერთი ისარიც არ გადმოვარდეს.
მხოლოდ, როდესაც უკუქცეული
ისევ მოსძებნის საფარს მტრის ჯარი,
მოულოდნელად მაშინ იქ დახვდით
და გრგვინვით მეხად დაეცით ზარი!
შენვე გაგზავნე ჩუმად კაცები
ჰალისის პირად; თუ მოახერხონ,
რაც ხიდებია, სუყველა ერთად
ქვეშიდან ისეთ გვარად დახერხონ,
რომ ზედ შემდგარი ლაშქრის სიმძიმე
მომეტებული ვერ აიტანონ,
ჩასტყდენ ჰალისის მდინარე წყალში
და მტრისა ჯარიც თან ჩაიტანონ!
— აწ, ორბელიძევ, შენ უნდა გითხრა,
მოწინავე ხარ რადგან სარდალი
და სუყოველთვის შენგან ატყდება
ომისა ცეცხლი და ბრძოლის ალი
ოთხიათას კაცს, სულ ახალგაზრდებს,
თავგამეტებულს, წინ წაუძეხი;
გრიგალ-ქარივით ჩამოუქროლე
და შენებურად დაეცი მეხი!
მემარჯვენე სარდლად გამრეკელია,
მემარცხნედ — ლომკაც სავარსამიძე,
თითოს სამ-სამი ათასი კაცი
ახლავთ, არიან ომის სიმტკიცე.
და დანარჩენი ათასი კაცი
აქვე დარჩება ჩემთანა მხლებლად;
ჯოჯიკი არის მათი უფროსი,
გაჭირვების დროს მისაშველებლად.
როდესაც ატყდეს პირველად ომი
და გაიმართოს ისრითა ბრძოლა,
გაიფანტენით, თორემ ძნელია
შეჯგუფებულად მტრებზედ მიწოლა.
და შემდეგში კი, ხელჩართულ ომში,
შეერთებულად უნდა იბრძოლოთ.
მხოლოდ გუნდ-გუნდად დაჰყავით ჯარი,
რომ ერთმანეთსა გამოუნაცვლოთ.
ძველი საფრისა და მდინარისკენ
ნუ დაუდგებით, გზები დაუგდეთ
და სხვაგან კი მათ ყოველი კუთხით
უნდა დაუხვდეთ და გაუმაგრდეთ!
მეტს არას გეტყვით!.. რა საჭიროა
მომეტებული სიტყვა და რჩევა?
აქ შეგეწიოსთ წმინდა გიორგი
და მაღლით ღმერთმა მოგცეთ კურთხევა!“
ეს სთქვა თორნიკემ და გაისტუმრა
სარდლები ჯარის მოსამზადებლად
და თვითონ-კი იქ დარჩა სულ მარტოდ
მლოცველად ღვთისა და მადიდებლად.

№ 12 (276)
25-31 მარტი 2015
ლიტერატურული საქართველო
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!"

პროზა

კაცები

რეზო ინანიშვილი



გოგია ხევს გამოღმა ცხოვრობს, ბახა — ხევს გაღმა. პირიქითაც შეიძლება ითქვას, ხევს გამოღმა ბახა ცხოვრობს, ხევს გაღმა — გოგია, ეს იმაზეა დამოკიდებული, ვის მხარეზე დავდგებით, ბახაანთი თუ გოგიაანთი, მაგრამ რაკი ჩვენ არც ბახაანთ მხარეზე ვართ დამდგომნი და არც — გოგიაანთი, მოდით, ასე განვსაზღვროთ: წიგნის ფურცლის მარცხენა მხარეზე გოგია ცხოვრობს, მარჯვენა მხარეზე კი, — ბახა. ორივენი პირველ კლასში დადიან, ერთ მერხზე სხედან, ერთნაირ დიდ წითელ ჩანთებს დაათრევენ და — თავიდათავი ეს არის — ერთმანეთი ძმებივით უყვართ. იმათი მამებიც მეგობრები არიან, იმათი დედებიც. თურმე, ნუ იტყვით, იმათაც ერთად უსწავლიათ და ერთ მერხზედაც კი მსხდარან: მამები — ერთად, დედები კიდევ — ერთად.

ერთხელ, ბახას დედამ ქალაქში წასვლა გადაწყვიტა. გოგიას დედამ თქვა: — ბახას დედა ქალაქში მიდის, მოდი, ბარემ, მეც წავალ და რაღაც-რაღაცები რომ გვაქვს საყიდელი, ვიყიდიო. ჩაიცვეს სულ ძვირფასები და ლამაზები — კაბა იყო, წინდა იყო, ფეხსაცმელი იყო, — დაივარცხნეს და კოხტად დაიყენეს თმა, დაიხურეს თივთიკის თეთრი, ფუმფულა ქუდები, ტუჩებიც შეიღებეს ოდნავ, ჩასხდნენ ავტობუსში და წავიდნენ. დარჩნენ ავტობუსის გაჩერებასთან გოგია და ბახა მარტონი, გადრუნჩულები, დაკოხილები. ზოზინით გამობრუნდნენ, სულ გზისკენ რჩებოდათ თვალი. ერთხანს, ერთად ითამაშეს, მერე, საღამომ რომ მოატანა, თავთავიანთ სახლებში წავიდნენ, ჩამოსხდნენ კიბეებზე და დაუწყეს მამებს ლოდინი. აი, მამებიც გამოჩნდნენ. მხარზე გრძელტარა, პრიალა ბარები გაედოთ, კოლმეურნეობის ვენახიდან ბრუნდებოდნენ. ბარები სახლის დერეფანში, კედელზე მიაყუდეს.

— წავიდა დედაშენი? — იკითხა გოგიას მამამ.

— ჰო, წავიდა, — მიუგო გოგიამ.

— რა არი, წავიდა დედაშენი ქალაქში? — იკითხა ბახას მამამაც.

— წავიდა, მაშ, რა! — მიუგო ბახამ.

გოგიას მამამ შეშა დაჭრა, ღუმელი გაახურა და ოთახში გაიარ-გამოიარა. ბახას მამამაც გაახურა ღუმელი და იმანაც გაიარა-გამოიარა. მერე ფანჯრებთან მიდგნენ. გარეთ ნისლი და წვრილი წვიმა წამოსულიყო.

— რა გავაკეთოთ, ჰა? — თქვა გოგიას მამამ.

— რა ვიცი, — მიუგო გოგიამ.

— ასე ვიყოთ ახლა ჩვენა? — დაიჩივლა ბახას მამამ.

— აბა, რა ვქნათ! — მხრები აიჩეჩა ბახამ.

— წადი, ბახას მამას დაუძახე, მამამ, ჩვენსა გადმოდი-თქო, — უთხრა გოგიას მამამისმა.

— ბახაც წამოვიდეს?

— წამოვიდეს, მაშ!

სწორედ ამ დროს ბახასაც ასე ეუბნებოდა მამამისი:

— წადი, გოგიას მამას უთხარი, ახლავე ჩვენსა გადმოდი-თქო.

— გოგიაც წამოვიდეს?

— წამოვიდეს, აბა, შინ რა უნდა გააკეთოს!

წამოხტა სიხარულით ბახა. ჩამოირბინა თავ-პირის მტვრევით კიბე გოგიამ. რის წვიმა, რის ნისლი! სულ სირბილით მიდიან და, აი, ზედ შუა გზაზე, ხევში, — ეს რაღა ხევია, წვრილი კენჭებით მოფენილი სწორი რიყეა და მეტი არაფერი, — ზედ შუა გზაზე, ამ რიყეზე შეხვდნენ ერთმანეთს.

— ი! — გაუკვირდა გოგიას.

— ე! — პირი დააღო ბახამ.

— სად მიხვალ? — იკითხა გოგიამ.

— შენ სადღა მიხვალ?

— მე თქვენთან, მამაჩემმა, მამაშენი ჩვენსა გადმოვიდესო, ბახაც წამოიყვანოსო.

— მეც თქვენთან მოვდიოდი, მამაჩემმაცა, მამაშენი ჩვენსა გადმოვიდესო, გოგიაცაო.

გაეცინათ, ასე ერთნაირად რომ ჰქონდათ დანაბარები და თავ-თავიანთი სახლებისაკენ გაბრუნდნენ.

— ხომ ეტყვი მამაშენს? — დაუძახა გოგიამ.

— ვეტყვი, — თავი დაუქნია ბახამ. — შენა?

— მეც ვეტყვი.

მამებს ძალიან გაუკვირდათ, ასე მალე რომ დაბრუნდნენ.

— არ იყავი, ბიჭო? — იკითხა გოგიას მამამ.

— ბახა შემხვდა გზაზე, — გაეღიმა გოგიას.

— მერე?

უთხრა გოგიამ, რაც დაებარებინა ბახასთვის მამამისს, ბახამაც ასევე — რაც დაებარებინა გოგიასთვის მამამისს.

— თფუიო! — წამოიძახა გოგიას მამამ, — მე ხომ გითხარი, ის გადმოვიდეს-მეთქი. წადი ახლავე და ეგრე უთხარი, შენ გადმოდი-თქო, გესმის?!

— თფუიო! — ბრაზობდა ბახას მამაც, — მე ხომ გითხარი, ბიჭო, ის გადმოვიდეს-მეთქი. წადი და უთხარი, შენ გადმოდი-თქო.

— გოგიაც წამოიყვანოს, არა?

— ჰო, ჰო, გოგიაც წამოიყვანოს.

ჩამოირბინეს კიბეები გოგიამ და ბახამ. მოდიან, სულ მორბიან და ისევ შუა გზაზე შეხვდნენ ერთმანეთს.

— ი! — ისევ გაუკვირდა გოგიას.

— ე! — ისევ დააღო პირი ბახამ.

— რაო?

— შენ რაღაო?

— მე ვერ გადმოვალ, მამაშენი გადმოვიდესო, მამაჩემმა.

— მამაჩემმაცა, მამაშენი გადმოვიდესო.

ცოტა ხანს ადგილზე ქანაობდნენ და იღრიჭებოდნენ, მერე ნელ-ნელა დაიძრნენ თავთავიანთი სახლებისაკენ.

— ხომ ეტყვი მამაშენს?

— შენც ხომ ეტყვი?

— ვეტყვი, მაშ!

მამები კიდევ უფრო გაკვირვებულები დახვდნენ.

— არ იყავი, ბიჭო? — იკითხა გოგიას მამამ.

გოგიას გაეცინა:

— ბახა შემხვდა და... მამაჩემმაო, მე ვერ გადმოვალო, მამაშენი გადმოვიდესო.

ბახამაც, ასევე, სიცილით მოახსენა მამას ყველაფერი.

— ფუიო! — წამოიძახა გოგიას მამამ.

— თქვენ არსად არა ხართ გასაგზავნიო, — თქვა ბახას მამამ. მოიგდო დალიანდაგებული ქურთუკი მხრებზე, დაიხურა მრგვალი თუშური ქუდი და გამოვიდა გარეთ. ბახაც, რაღა თქმა უნდა, უკან დაედევნა. მოდიან, მოდიან და შუა გზაზე გოგიას და მამამისს შეხვდნენ.

— რატომ არ მოსდიოდი, ჰა? — ჰკითხა ბახას მამამ გოგიას მამას.

— შენ რატომ აღარ მოსდიოდი?

— ბიჭო, — თავი გვერდზე გადასწია ბახას მამამ, — რაღა შენი წყალწყალა ღვინით გავიჭყიპოთ, ჩემი კარგისა დავლიოთ, არა სჯობია?

— ხა-ხა-ხა! — იცინის გოგიას მამა, — ჩემი ღვინოა წყალწყალა? ჩემი? წამო, ძმაო, წყალწყალა გერჩივნოს შენს ჭარხლის წვნით გასქელებულსა.

— ოი! — თავს იქნევს მუქარით ბახას მამა.

— რა ოი! — წელში იმართება გოგიას მამა.

— მაშ, ბიჭო, შენი წყალწყალა სჯობია ჩემსასა? რატომ არ იცინი, ღმერთო! — ხელებს ცისკენ იწვდის ბახას მამა.

— გაიცინე, რა, მართლა გაიცინე, ღმერთო! — ყელს უწევს გოგიას მამაც ცას.

ღმერთის მაგიერ ბიჭები იცინიან და ერთმანეთს ეყუდებიან კუჭკუჭით.

— ხომ დაულევია შენი ღვინისა ბრიგადირს! — მთლად ახლოს მიდის გოგიას მამასთან ბახას მამა.

— დაულევია.

— ჩემიც ხომ დაულევია. აგე, აქ არ არის? მივიდეთ და ვკითხოთ. ვისზეც იმანა თქვას, იმისი სჯობდეს.

— სჯობდეს.

ხელი ხელს ჩაჰკრეს, ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს და ბრიგადირის სახლისაკენ გაალაჯეს. მიდიან, სულ ფშნატა-ფშნუტი გააქვს იმათი ჩექმების ქვეშ კენჭებს. ბიჭები ძლივს მისდევენ.

— ლადო!

— ჰაუ!

— ვლადიმერო!

— ჰო-ჰოუ!

— გამოიხედე ერთი გარეთ.

— მოვდივარ.

ბრიგადირი კომბოსტოს მწნილის ჭამით გამოდის აივანზე.

— რა იყო, რა მოხდა?

— რა მოხდა და, თქვი შენა.

— აი, რა...

— ვისი ღვინო სჯობია, ჩემი თუ ამისი წყალწყალა? — აღარ იცდის ბახას მამა.

— შენი თუ ვისი?

— ამისი, კაცო, ამისი წყალწყალა.

— არც შენი ვარგა და არც — მაგისი. ღვინო ჩემია კარგი. აი, ღვინო! — ბრიგადირმა თითები გაილოკა და მერე ცერი ზემოთ აპრიხა, — აბა, ამოდით, ნახეთ!

— მინახავს, რაც არის, — ამბობს გოგიას მამა.

— მეც მინახავს.

— როდისა! — თვალებს წკურავს ბრიგადირი.

— ამ წინაზე არ დავლიეთ, არაყს რომ ხდიდი თედუასთან?!

— იი, ისა, სამაჭრედ რომ მქონდა დაკრეფილი, იმისა იყო. ის რა სახსენებელია, ამოდით, აბა, ეხლა ნახეთ ნამდვილი დედაღვინო.

გოგიას მამა და ბახას მამა ერთმანეთს უყურებენ.

— ვნახოთ, ბიჭო?

— ვნახოთ, რა!

— ამოდით, ამოდით.

— აბა, მაშ, ადი.

— მიდი, შენ გამიძეხ.

გოგიას მამა და ბახას მამა აივანზე ავიდნენ. იქ დიდი შავი ძაღლი წოლილიყო. ბრიგადირმა წიხლი მოუქნია, ძაღლმა კიბეზე ჩამოირბინა და შორიახლოს გაჩერებული ბიჭებისაკენ გამოიქცა.

ბიჭებმა თავ-თავიანთი სახლებისაკენ მოკურცხლეს. დასხდნენ უკვე ჩაბნელებულ აივანზე — მობუზულები, ყურებზე პალტოს საყელოწამოწეულები და დაუწყეს მამებს ლოდინი. უცდიდნენ და ფიქრობდნენ: ეეხ, კარგები არიან მამები, ღონივრები, მხიარულები — არც ლექსის არცოდნაზე გაგიბრაზდებიან, არც ტალახიანი ფეხებით შინ შებოტებაზე მოიშლიან ნერვებს დედებივით, მაგრამ რაც მართალია, მართალია, ამათი ანაბარა, მამების ანაბარა რომ დასტოვო ქვეყნიერება, ალბათ, თვალსა და ხელს შუა დაეფუშებათ ყველაფერი, თანაც ისე, რომ ვერაფერს შეამჩნევენ და თუნდაც შეამჩნიონ, არც ამაზე შეწუხდებიან დიდად...

ამიტომ იყო, რომ მამების მოსასვლელ გზაზე უფრო ხშირად თივთიკის თეთრი ფუმფულაქუდიანი დედები ჩნდებოდნენ, ტკბილად, ლამაზად იღიმებოდნენ პომადით ოდნავ შეწითლებული ტუჩებით და ასევე, ღიმილით უჩინარდებოდნენ სიბნელეში...

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲪ ᲮᲝᲛ ᲨᲔᲜᲘᲗ ᲘᲗᲥᲕᲐ;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

სიყვარულის პოეტს 82 წელი შეუსრულდებოდა

ჩვენ ძმები ვიყავით, დიახ, ძმაკაცები. შენ ბავშვობიდან რჩეულად გიცნობდნენ. შენმა პოეზიამ მკითხველი სიყვარულით აღავსო.

ერთად მოვიარეთ მთელი ხევსურეთი, ფშავი და სვანეთი, მთელი საქართველო. შემდეგ, ბრწყინვალე პროზაც დაიმკვიდრე და „ორაზროვანს“ ჭრიდი სტრიქონებს.

მახსენდება შენი ლექსი:

„მაგრამ მოვიდა გაქრობის ჯერიც,
გაცივდა ჩემი მღვიმეს ნაცარი,
მაგრამ არ ვდარდობ და მაინც მჯერა,
რომ ეს ქვეყანა მე გაგაცანით“.

ვერ დამაჯერებ, რომ მოვიდა გაქრობის ჯერი, თუმცა მჯერა, რომ შენი ქვეყანა შენ გააცანი შენს მკითხველს!

ბრწყინვალე შემოქმედო და დიდო ქართველო, შენ დღეს 82 წლისა გახდებოდი. წახვედი და გჯეროდეს შენივე სტრიქონებისა:

„მე იქნებ ვჩქარობ და სიჩქარეში,
რაც დღეს მეკუთვნის, იმასაც ვკარგავ,
მაგრამ მე ვიცი, რომ თქვენს გარეშე,
ვერასდროს ვეღარ ვიქნები კარგად!“

შენი ᲯᲬᲐᲜᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ



ᲛᲝᲜᲦᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲐᲙᲘ

(ესკიზი)

კაცი არ დარჩა ამბის მომყოლი...
მზეზე ბრჭყვიალებს მდინარის ზურგი
და ჩემი სისხლით გავსებულ თუნგებს
მიაჟღრიალებს ქვებზე მონღოლი.
თუნგის ჟღრიალით დამფრთხალი ფარა
გადამწვარ ველზე მიდის კანკალით,
და შესევია მონღოლის ბანაკს
მტვერი, ყაყანი და ბუზანკალი.

● ● ●

შამილ, შენი მოკლე ხმალი
ამოეგდოთ ქარქაშიდან
და რიყეზე ბრჭყვიალებდა,
თავგაჩეჩქვილ გველივითა.
შამილ, შენი ოთხი ცოლი
ოთხ პატარა ბოხჩას კრავდა
და ოთხ მხარეს მიდიოდა,
უპატრონო ცხვარივითა.

● ● ●

მე თოვლში ვეძებ სისხლისფერ ვარდებს
და მიტოვებულ ნუშებს და ატმებს...
თოვლზე ეცემა პოეტის ლანდი
და ქალაქს კიდევ ერთ კივილს ართმევს
და ავსებს შემკრთალ სიცარიელეს
და ისევ თოვლს და მოლოდინს ერთვის,
მაგრამ ბოლომდე რჩება იერი
ბედნიერ ბავშვის და დაღლილ ღმერთის.

● ● ●

როდესაც ასე ახლოა გრემი,
მეც მინდა ვიყო უფრო მაღალი,
რომ დაინახონ ჩემში ან ჩემით
რაღაც ახალი, სულმთლად ახალი.
და თუმცა გრემი არის ბებერი,
არის დაღლილი და დანგრეული,
მე მაინც მამღვრევს ეს სექტემბერი,
როგორც საყვარელ ქალის სხეული.
მე მაინც კეთილ ფიქრებით მავსებს
სახეგაპობილ კედლის ალმური
და უკვე ვიცი, რად მიყვარს ასე
ვაზიც, ჩუქურთმაც და სალამურიც.
მე ყველაფერი მომწონს და მიყვარს,
მე ყველაფერი მგონია ჩემი,
როდესაც ასე ახლოა გრემი,
როდესაც ასე ახლოა გრემი!

● ● ●

გარეთ თოვს... გარეთ ვიღაც იცინის,
ვიღაც თავისთვის იცინის მარტო,
რადგან კვლავ იგრძნო თეთრი სიცივე,
კვლავ ცოცხალია და ასე ათოვს.
მე კი კვლავ შენთან დავრჩი ცოტა ხნით,
როგორც ვრჩებოდი ოდესღაც, სხვა დროს...
მაგრამ ეს ვითომ მყუდრო ოთახი
აღარც მიზიდავს და აღარც მართობს.
შემოდის კატა, როგორც ციცინო —
რაზე საუბრობთ, ან როგორ ხართო...
გარეთ თოვს, გარეთ ვიღაც იცინის,
ვიღაც თავისთვის იცინის მარტო.

● ● ●

წვიმს, მოწყენილი და სველი კვამლი
ცას ეტმასნება და სადღაც ერთვის.
ეს შემოდგომის დღეებიც წავლენ,
ხსოვნას შერჩება ათასში — ერთი.
აი, გაივლის სულ ცოტა ხანი,
მეც მოგონებად ვიქცევი შენთვის.
წვიმს. მოწყენილი და სველი კვამლი,
ცას ეტმასნება და სადღაც ერთვის.

● ● ●

მე მინდა შენს ლანდს ეს ლექსი ვუთხრა,
უბრალოდ ვუთხრა, როგორც სუფრაზე.
ყველას გვაქვს ჩვენი პატარა კუთხე,
სადაც ჩვენივე ვართ ჩვენი უფროსი.
ეცემა თოვლი — თეთრი ფრინველი,
ეცემა, მაგრამ რა იცის თოვლმა,
ან რას გაიგებს, რომ დღეს პირველად
არ შემიძლია მე შენი პოვნა.
ეს თოვლი მარტო თოვლი არ არის,
ეს ქარიც მარტო ქარი არ არის,
ისინი სადღაც შიგნით მალავენ
მას, რაც არ იყო დასამალავი.
მე თოვლში ვიგრძენ შენი სიცივე,
მე ქარში შენი თმებით დავები,
შენი დუმილით, შენი სიცილით,
შენი ფერმკრთალი მუხლისთავებით.
ეცემა თოვლი და ყველაფერი
თოვლში მიცურავს, ზღაპრად ქცეული.
ვერ გამიჩუმებ სურვილს ზღაპრებით,
მე მინდა შენი სული... სხეული.
და დღე, რომელიც უშენოდ მოვა,
მხოლოდ გარედან იქნება მშვიდი.
ეცემა თოვლი... რა იცის თოვლმა,
რა იცის ჩიტმა — მიფრინავს ჩიტი.
მე მიხარია, რომ არ იციან,
რომ მეც არ ვიცი, ხვალ სად ვიქნები.
და ისევ მიყვარს, დიდი სიცილი,
დიდი სინათლე, დიდი ჭიქები.
ეცემა თოვლი, როგორც ცხოვრება,
თოვლივით ჩუმი და შემპარავი.
მე კი ყოველთვის მემახსოვრება,
რაც ახლა მინდა, მაგრამ არ არის.
ეცემა თოვლი და დროს ბარდება
ლამაზი, მაგრამ უკვე ყოფილი,
როგორც შემკრთალი ჩვენი ლანდები
სადღაც სივრცეში გადაჭდობილი.

● ● ●

მიყვარხარ, როგორც გლეხს უყვარს მიწა,
როგორც დასიცხულ მიწას — ღრუბელი.
მაინც მიყვარხარ, მებრძვი თუ მიცავ,
ჩემი მხსნელი ხარ თუ დამღუპველი.
და წინ, კარივით, მეხსნება სივრცე,
თითქოს ბავშვისთვის წამალი მიმაქვს...
ეს გრძნობა ჩემში სინანულს იწვევს
უკვე გარდასულ დღეების მიმართ.
ასე იქცევა ნახატი ხატად,
ლერწამი — სტვირად და ორთქლი — წვიმად...
ეს გრძნობა ჩემში იმედებს ბადებს
ჯერ მოსასვლელი დღეების მიმართ.

● ● ●

გარეთ ისევ წვიმს და ჯერ ადრეა,
გარეთ ისევ წვიმს და სულ იწვიმებს
მე ვგრძნობ, რომ მცივა და მენატრები,
მაგრამ ვერ გხედავ როგორც სიცივეს.
გარეთ კი, წვიმით სველი აბრები
აშიშინებენ შერჩენილ სიცხეს.
მეც აღარ მინდა, რომ სხვას დაბრალდეს
ჩემი სიჩუმე და ხმაურს ვიწყებ.
გათავდა აღარ ჩამოგეხსნები,
არც მახსოვს, ვის რა ვუთხარი გუშინ
და ვაფათურებ სიცხიან ლექსებს
შენს თმებზე, მხრებზე, მუხლებზე-სულში.
ნარბენი კაცის გულივით ფეთქავს
საათიც, ქუჩაც, ფოთოლიც, წვეთიც...
შენ ხარ, აქამდე რაც უნდა მეთქვა,
შენ ხარ, ოთახში ჰაერზე მეტი!

● ● ●

აი, გავიდა ეს წელიწადიც
და ამჟამადაც დავრჩი უცვლელი:
კვლავ იმას ვიცავ, რასაც ვიცავდი,
კვლავ თავგზას მიბნევს სუფთა ფურცელი.
თუმცა ასეა, ასეა ყველა,
ვისაც ჯერ გული ხალისით უცემს.
მე მომემატა დღეს ერთი წელი
და ამდენივე მომაკლდა უცებ.
გარეთ კი ხმელი ფოთოლი ცვივა
და უფრო ადრე ბნელდება (ბნელა).
ასე მგონია, შენსავით ცივად,
შენსავით მკაცრად მიმიღებს ყველა.
გწყალობდეს ღმერთი, ვით დღემდე გწყალობს.
ზედმეტს და უხამსს არაფერს გკადრებ.
მე ახლა შენგან სიძულვილს ვსწავლობ,
როგორც სიყვარულს ვსწავლობდი ადრე.
ასეა, თუკი რაღაცას ელი,
თუ იმ რაღაცას იმედით უცქერ
მე მომემატა დღეს ერთი წელი
და იმდენივე მომაკლდა უცებ.

● ● ●

ვწევარ და ვუსმენ. ქარია გარეთ.
მე ბნელ ოთახში ვწევარ და ვუსმენ:
გრძელ თმებში ტოტებგაჩრილი ქარი
კედელზე როგორ აჭედებს ლურსმნებს.
სად გაქრა შენი ფერმკრთალი სახე,
სუნთქვა სიჩუმის და ფოთოლცვენის,
ან ის სიზმრები, ერთად რომ ვნახეთ,
აუხდენელი სიზმრები ჩვენი.
ახლა მჭირდები... შენ არც კი იცი,
შენ ვერც იფიქრებ, როგორ მჭირდები...
გაევსო სახლი მზით და ჩიტებით.
სად გაქრი... საით გაყევი ქუჩებს...
სად დაგავიწყდი... სად ვიყავ მაშინ...
ან იქნებ ვინმეს მოუნდა უცებ,
ჩემი ყვირილი გაიგოს ქარში.
საბრალო სული! დე, იყოს ასე!
მე არ მრცხვენია ვნებები ჩემი,
მე ყოველ ღამეს — შენი ხმით სავსეს —
ვხვდები ცახცახით და გულისცემით.
მაგრამ შენ სად ხარ... ქარია გარეთ,
ისევ ქარია და ისევ ვუსმენ:
გრძელ თმებში ტოტებგაჩრილი ქარი
კედლებზე როგორ აჭედებს ლურსმნებს.

● ● ●

სილაზე იწვა ქალი და კვალი,
ცოცხალი კვალი ქალიდან ზღვამდე.
ყველაფრის ნებას აძლევდნენ თვალებს
მეზღვაურები, რომლებიც სვამდნენ.
მზე ჩადიოდა, მრგვალი და სრული
და ბინდში კრთოდა თეთრი ქალაქი
გაბრუებული ქაფურის სუნით
და თევზის სუნით და ლაპარაკით.
მეზღვაურები ისხდნენ და სვამდნენ
შეჩვეულები ყოველგვარ ავდარს,
და სველი კვალი ქალიდან ზღვამდე,
ოცნებებს, სიზმრებს და ზღაპრებს ჰგავდა,
რომლებიც ნელა იწევდნენ მაღლა
და საბოლოოდ ქრებოდნენ ცაში,
ქრებოდნენ სხვა დროს და არა ახლა,
ახლა არავის არ სურდა ცაში.
ის იწვა, როგორც სინათლის ზოლი,
და ერთდროულად ყველა ჩემობდა.
და მიმავალი გემების ბოლიც
უბრუნდებოდა ქალაქს ზემოდან.
მზე ჩადიოდა, მრგვალი და სრული,
და ბინდში კრთოდა თეთრი ქალაქი
გაბრუებული ქაფურის სუნით
და თევზის სუნით და ლაპარაკით.

● ● ●

მზად ვარ, გისმინო და გემსახურო.
ქარში იშლება დეკემბრის თოვლი
და მღერის შენი მძიმე საყურე,
გაბრუებული დეკემბრის თოვლით.
(მე ალბათ დიდხანს მექნება ვალი,
მაგრამ ვიქნები სულ მხიარული.
ეს გაუმარჯოს შენს ეშმაკ თვალებს
და სარკეებში ნასწავლ სიარულს).
სარკმელში ისევ თოვლი ირევა
და ჰყვება თავის უბრალო ამბავს.
და სკამზე, როგორც ნანადირევი,
ჰკიდია შენი ლამაზი კაბა.

ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲘ

მე აქ დავეცი და აქვე დავრჩი,
აქ ვიქეცი მიწად და დღემდე გიცდი,
მზეში, წვიმაში, თოვლში და ქარში
ვიწვი, ვსველდები, ვთეთრდები... გიცდი.
სხვა რა ვქნა, როცა ხმალს ვეღარ ვიქნევ
მე — იმ საზარელ ქარიშხლის მსხვერპლი —
მაგრამ შენ მაინც შემინდო იქნებ,
რაკი მიწა ვარ და არა ფერფლი.

● ● ●

მინდორში ვდგავარ და ქორებს
ვუსტვენ,
მხოლოდ იმიტომ რომ დაგენახვო,
ზედაზნის ნისლო, ნაზო და სუსტო,
მდინარის თვალო, ტყეე და ვენახო.
მთაზე უბელო ცხენს მივაჭენებ,
რომ მოგაწონო თავი ბებერო.
და თუ არ ვიცი, თვითონ მაჩვენე,
როგორ შეგხედო და მოგეფერო.
მე იქნებ ვჩქარობ და სიჩქარეში,
რაც დღეს მეკუთვნის იმასაც ვკარგავ,
მაგრამ მე ვიცი, რომ თქვენს გარეშე
ვერასდროს ვეღარ ვიქნები კარგად.

● ● ●

ყელზე მეკიდა ბრჭყვიალა ეშვი,
მიკვირდა წვიმა, მიკვირდა თოვლი...
და რაც პირველად ვიგრძენი ჩემში,
ეს იყო ლტოლვა და შიში ლტოლვის.
მე ვიგრძენ ლტოლვა და მოვიგონე
ჩემი ღმერთი და ჩემი მითები,
და ორაზროვანს ვჭრიდი სტრიქონებს,
სამსხვერპლო ცეცხლზე დამწვარ თითებით.
მზეზე ვამბობდი: ეს არის ღმერთი.
ზღვაზე ვამბობდი: ეს არის ღმერთი.
ქარზე ვამბობდი: ეს არის ღმერთი.
და არ ვიცოდი, ვინ იყო ღმერთი...
მე ვგრძნობდი ლტოლვას და ამის გარდა
სხვა არაფერი ყოფილა ჩემში.
მე მივდიოდი საყვარელ ქალთან,
როგორც ნადირთა სარბევად ტყეში.
და მაკვირვებდა ჩემი სხეული,
უფრო — ხმა, კიდევ უფრო — თვალები.
მე არ ვიყავი ჯერ შეჩვეული
ქვეყანას... მთვარეს ვცნობდი წვალებით.
და გაწეწილი ჩემი თმა-წვერი
აფრთხობდა ტყეში ჩათვლემილ ჩიტებს,
მაგრამ მე მაინც ღმერთს მივაწერე,
რაც ვერ შევძელი, რაც ვეღარ ვზიდე.
და გადიოდნენ დღეები ისე,
ჩნდებოდა მტერიც და საფიცარიც...
და ერთხელ, როცა ღმერთს ვჭრიდი ქვაზე,
უეცრად ჩემი თავი ვიცანი.
უეცრად თითქოს შეება კარი
ჩემს ასე საწყალს და ბნელ გონებას
და ვთქვი: ჩემშია მზეც, ზღვაც და ქარიც,
ჩემშია მთელი ქვეყნის ქონება.
მე ვიხეთქავდი კლდეებზე მუხლებს,
მე ვაგორებდი ხევებში ლოდებს,
მე ვხარხარებდი, როდესაც უღრან
ტყეში მხეცები ჩემს ხმაზე ძრწოდნენ...
მაგრამ მოვიდა გაქრობის ჯერიც,
გაცივდა ჩემი მღვიმეს ნაცარიც,
მაგრამ არ ვდარდობ და მაინც მჯერა,
რომ ეს ქვეყანა მე გაგაცანით.

8 | № 12 (276) | 25- 31 მარტი 2015

ეროვნული იერსახე

ლიტერატურა. ზელოვნება. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

სკანდალური ექსკლუზივი

უსუფაშვილს შეთქმულებაში ამხელენ

უცხოელი ექსპერტები 7 ნოემბრის საქმეზე ბურჯანაძის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებენ? — რა სკანდალური მასალებით სკანდალურ „ოცნების“ დაინტერესდა გავლენიანი ჩინოვნიკი

21 მარტს, ანუ ზუსტად იმ დღეს, როცა „ნაცმოძრაობა“ „თავისუფლებაზე“ მიტინგისთვის ემზადებოდა, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საერთაშორისო მრჩეველთა ჯგუფმა მთავარ პროკურორს 7 ნოემბრის საქმეზე მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლის დევნის გაგრძელების რეკომენდაცია მისცა. უშიშროების თადარიგის ოფიცერი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე, რომელიც „ნაციონალებმა“ კონტრდაზვერვიდან, როგორც თვითონ ამბობს, უკანონოდ იმის გამო გაუშვეს, რომ ბევრი რამ იცოდა და რომელიც ფართო საზოგადოებას „ქართულმა სიტყვამ“ გააცნო, ამბობს, რომ ზემოხსენებული განცხადებით მისი ინფორმაცია დადასტურდა და გავლენიანი უცხოელი ექსპერტების რეკომენდაცია, საბოლოოდ, იქამდე მივა, რომ საგამოძიებო უწყებები იარაღის უკანონო ბიზნესით ოფიციალურად დაინტერესდებიან. სხვათა შორის, ამ დღეებში „ქართული სიტყვისთვის“ კულუარებიდან ცნობილი გახდა, რომ იარაღის შავ ბიზნესზე არსებული მასალებისა და მტკიცებულებების გაცნობა საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთმა გავლენიანმა პირმა უკვე მოითხოვა... შეგახსენებთ: რამდენიმე კვირის წინ, „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში, კონსტანტინე ფორჩხიძემ, პირად წყაროებზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა ჩვენს ძალოვანებს საქართველოს ტერიტორიაზე „იარაღის საქმესთან“ დაკავშირებით რამდენიმე მოწმის დაკითხვისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ნებართვით მიმართა. ერთი სიტყვით, სიტუაცია კულმინაციას უახლოვდება. როგორ დამთავრდება ყველაფერი? — „ქართული სიტყვა“ აგრძელებს სკანდალური ინტერვიუების ციკლს ქართველ სპეცსამსახურელ კონსტანტინე ფორჩხიძესთან.

— ბატონო კოტე, საერთაშორისო მრჩეველთა ჯგუფი საქართველოს მთავარ პროკურატურას რეკომენდაციას აძლევს, რომ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა გააგრძელოს, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა ქართველ ძალოვანებს იარაღის საქმეზე გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ნებართვა სთხოვა, დადასტურდა?

— რა თქმა უნდა, დადასტურდა და საუბარი მხოლოდ 7 ნოემბრის მოვლენების გამოძიებაზე აღარაა. სხვათა შორის, 7 ნოემბრის გამოძიება ჯერ კიდევ „ნაციონალების“ მმართველობის დროს, ევროსაბჭოს ყველა რეზოლუციაში იყო შეტანილი. მაგალითად, 2011 წელს, ევროსაბჭოს მომხსენებელმა კასტროიდ ისლამმა, როცა საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებულ ვადებულებებზე ლაპარაკობდა, ღიად განაცხადა, რომ ამ კონტექსტში, 7 ნოემბრის საქმის გამოძიება უნდა დაწყებულიყო...

— კი ბატონო, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, არსებობდეს დოკუმენტი, რომლითაც დადასტურდება, რომ მიტინგის სისხლიანი დარბევის ბრძანება უშუალოდ სააკაშვილმა გასცა...

— ბრალის დამტკიცება სასამართლოს პრეროგატივაა. საერთოდ, ბრალის დასამტკიცებლად მტკიცებულებებია საჭირო. რახან უცხოელი მრჩევლები აკეთებენ დასკვნას, რომ გამოძიება უნდა გაგრძელდეს, ესე იგი, მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობაც არსებობს. მიხეილ სააკაშვილის მიერ გაცემული დოკუმენტი, სადაც ნათქვამი იქნება, მომიტინგეები სასტიკად და არაადამიანურად დაარბიეთო, ცხადია, არ იარსებებს, მაგრამ ისიც მტკიცებულებაა, რომ ხალხი შეიარაღებული ძალებით დაარბიეს.

— 7 ნოემბერს მაშინდელმა ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალები კი არა, სპეცდანიშნულების რაზმი გამოიყვანა!

— როგორ გეკადრებათ! 2007 წელს, რუსთაველის გამზირზე, წინ და უკან, გენშტაბის მაშინდელი უფროსი ზაზა გოგავა დადიოდა. ასევე, მიტინგის დარბევაში სასჯელაღსრულების სპეციალური დანაყოფების მონაწილეობაცაა დაფიქსირებული. მოკლედ, 7 ნოემბრის გამოძიებაში აქცენტი, ჩემი ინფორმაციით, ჯარზე გაკეთდება, რადგან ჯარის გამოყვანა, უმაღლესი მთავარსარდლის მხრიდან, კონსტიტუციის დარღვევაა — სააკაშვილმა პირდაპირ კონსტიტუციის მე-100 მუხლი დაარღვია, რაც ასევე, სერიოზული ბრალდებაა. ამასთან, პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარისა და, საერთოდ, მთელი პარლამენტის პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს.

— რატომ?

— ჯარის გამოყვანის პროცედურა ასეთია: პრეზიდენტი პარლამენტს თანხმობას სთხოვს, საკანონმდებლო ორგანო კი, დასტურს ან აძლევს ან არა. ასეთი დოკუმენტი არ არსებობს. ასე რომ, მხოლოდ სააკაშვილის კი არა, სხვა მაშინდელი მაღალი პოლიტიკოსების პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება.

— ესე იგი, არ გამორიცხავთ, რომ უცხოელმა ექსპერტებმა მთავარ პროკურატურას ნინო ბურჯანაძის პასუხისმგებლობაც მოსთხოვონ?

— ნურავის ჰგონია, რომ 7 ნოემბრის საქმეზე ობიექტური გამოძიება მხოლოდ სააკაშვილის ბრალეულობას დასჯერდება. თუ ვთანხმდებით, რომ ეს სისტემური დანაშაული იყო, მაშინ ამ დანაშაულში მთელი სახელმწიფოებრივი აპარატი მონაწილეობდა.

საერთაშორისო ექსპერტების ზემოხსენებული რეკომენდაცია ირიბად 2008 წლის აგვისტოს ომსა და იარაღით უკანონო ვაჭრობასთანაა დაკავშირებული, რაზეც ერთი წელია, ვლაპარაკობ. სწორედ ამ კონტექსტშია აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მოთხოვნით განხორციელებული დაკითხვებიც, რაზეც ამას წინათ, ვისაუბრეთ... სხვათა შორის, ამ ექსპერტებიდან ერთ-ერთი, აშშ-ში ძალიან გავლენიანი ფიგურაა.

— პოლ კოფზე ამბობთ?

— დიახ. ის, ოპერატიული თვალსაზრისით, უსერიოზულესი და უძლიერესი პროფესიონალია, რომელიც მხოლოდ აშშ-ში კი არა, მთელ მსოფლიოში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

— თუ პოლ კოფი ასეთი გავლენიანია, აბა, მის რჩევებს თავად ამერიკელები რატომ არ ითვალისწინებენ? — ჩვენს პრეზიდენტყოფილს ოკეანისგაღმა სულ ფიანდაზს უგებენ...

— სააკაშვილის მიმართ ამერიკელებს დანაშაულის დაფარვის განზრახვა რომ ჰქონოდათ, თავის დროზე იარაღის უკანონო ბიზნესსა და, საერთოდ, იმ დანაშაულობებზე, რომლებიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ამერიკული ფირმების ურთიერთობას უკავშირდება, სისხლის სამართლის საქმეს არც აღძრავდნენ — ამერიკელები, უპირველესად, თავიანთი ფირმების მიერ ჩადენილ დანაშაულს სწავლობენ. მოკლედ, შეიძლება, აღმოჩნდეს, რომ მიხეილ სააკაშვილს იარაღის ბიზნესში სენატიდან ვიღაც „ტიპები“ მფარველობდნენ და დღესაც სწორედ ისინი მასპინძლობენ.

— სააკაშვილის ამერიკული „ტრიუმფი“ იმითაც ხომ არ უნდა აიხსნას, რომ „დემოკრატები“ წამსვლელები არიან და სულ არ ანაღვლებთ, მიშაზე საქართველოში რა კომპრომატები არსებობს?

— ვანო, თუკი გავაანალიზებთ, სააკაშვილს აშშ-ში კონტაქტი ვისთან აქვს, მივხვდებით, რომ უფრო მეტად „რესპუბლიკელებთან“ მეგობრობს, ვიდრე — „დემოკრატებთან“.

— ესე იგი, თუკი თეთრ სახლში „რესპუბლიკელები“ დაბრუნდებიან, „ნაციონალებს“ ამბიციები გაეზრდებათ და უფრო გონორზე იქნებიან, არა?

— არ მგონია, ასე მოხდეს, რადგან სააკაშვილს „რესპუბლიკელების“ ნეოკონსერვატორული, ანუ ე.წ. მაკკეინის კლანი მფარველობს. არსებობს ეჭვი, რომ ამ კლანიდან იარაღის უკანონო ბიზნესში ვიღაცები იყვნენ ჩართულნი. თუკი ეს ეჭვი დადასტურდა, მაშინ ბუნებრივია, ისინი სააკაშვილს ბოლომდე დაიცავენ, თუმცა ამჯერად სახელმწიფო სტრუქტურებზე კი არა, არასამთავრობო სექტორსა და იმ კერძო ფირმებზე ვლაპარაკობ, რომლებიც ფარულად „რესპულიკელების“ ნეოკონსერვატორული კლანის მაღალჩინოსნების მიერ იმართებიან. მოკლედ, სააკაშვილთან დღევანდელი ურთიერთობა აშშ-ის სახელმწიფოს კი არა, ცალკეული პოლიტიკოსების კერძო ინტერესია, თუმცა „ნაციონალები“ ისე კარგად მუშაობენ, რომ ყველაფერ ამას სახელმწიფოებრივ კონტექსტად წარმოაჩენენ.

ვანო, წინა ინტერვიუშიც გითხარით, რომ მიშა, როგორც პროექტი, უკრაინაში დიდხანს ვერ გაატანს. უკრაინაში ამერიკელებს არ სჭირდებათ.

— აბა, ვის სჭირდება?

— ვის და, — „რესპუბლიკელების“ ნეოკონსერვატორების ფრთას. ამ ფრთის წევრები, როგორც წესი, მილიტარისტულ ჯგუფებთან, ე.წ. ქორებთან არიან დაკავშირებულნი, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მთელი „რესპუბლიკური პარტია“ მოწადინებულია, სხვადასხვა, განსაკუთრებით, ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში ომი და დანაშაულებრივი სქემები გააღვივოს.

— ასეა თუ ისე, ბატონო კონსტანტინე, დღევანდელი საშინაო თუ საგარეო მონაცემებით, ვერ ვიტყვით, რომ „ნაცმოძრაობა“ რადარებიდან ქრება, არა?

— მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ თუ რებრედინგი არ განიცადა, „ნაცმოძრაობა“ რადარებიდან, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაქრება.

— როგორ გაქრება? თუნდაც ის 12 ათასი ადამიანი, რომელიც 21 მარტს „ნაცების“ მიტინგზე მივიდა, ანგარიშგასაწევი არაა?

— „ნაციონალებს“ აქციაზე თორმეტი კი არა, 50 ათასი ადამიანიც რომ მიეყვანათ, ეს საერთო ამომრჩევლის მცირე პროცენტია. ამით კი, არჩევნებზე ამინდის შექმნა, უბრალოდ, შეუძლებელია.

— არჩევნები რა შუაშია? აქ იმაზეა ლაპარაკი, რომ „ნაცმოძრობა“ პირველი პოლიტიკური ძალაა, რომელიც ხელისუფლებდიან წასვლის შემდეგ, დინოზავრივით არ გადაშენდა, თუმცა ამას „ოცნება“ არ აღიარებს და ამტკიცებს, 21 მარტს, მიტინგზე ხალხი ფულისა და შიშის გამო მივიდაო. ფული, გასაგებია — მხოლოდ ჯოჯოხეთს კი არა, „ნაცმიტინგსაც“ ანათებს, მაგრამ „ყოფილებს“ ხალხის შესაშინებლად რა ბერკეტი აქვთ?

— „ნაცმოძრაობას“ მყარი პარტიული დასაყრდენი ჰყავს — არ დაგვავიწყდეს, 5-6-კაციანი პარტია არასოდეს ყოფილა. ზოგმა „ნაცმოძრაობაში“ კარიერა აიწყო, ზოგიც სააკაშვილთან იდეოლოგიურადაა დაკავშირებული — ვინმეს მოსწონს თუ არა, ფაქტია: 9 წლის განმავლობაში, „ნაციონალებმა“ გარკვეული იდეოლოგია ჩამოაყალიბეს, თუმცა სხვა საკითხია, ეს იდეოლოგია კარგია თუ ცუდი და ამაზე შეგვიძლია, ვიკამათოთ.

— კოტე ბატონო, რაღა დაგიმალოთ და, კამათის მომხრე არასოდეს ვარ, რადგან მგონია, რომ ნებისმიერი კამათის ბოლო ხელჩართული ჩხუბია...

— კამათი ხელჩართულ ჩხუბში ჩვენთან გადადის, თორემ ცივილურ საზოგადოებაში კამათით ჭეშმარიტება იბადება.

— რომელ ცივილიზაციაზეა ლაპარაკი, როცა ვინმე ჭყოიძე პირველი თაობის კომკავშირელივით იქცევა და დაჟინებით აცხადებს, ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით რეფერენდუმი უნდა ჩატარდესო...

— არ ვიცი, ჭყოიძე ვინაა და რა იდეოლოგია აქვს, მაგრამ ესეც დემოკრატიული მოთხოვნაა, მაგრამ შე მამაცხონებულო, თუ რეფერენდუმის ჩატარება გინდა, 200 ათასი ხელმოწერა უნდა შეაგროვო და პარლამენტში შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით შეხვიდე.

— როგორც ეს ადამიანი ამბობს, რეფერენდუმის ინიციატივით აღმასრულებელ ხელისუფლებას მიმართა...

— ეს პოლიტიკური ტრიუკია და იმას ემსახურება, იქიდან ფული რომ წამოვა, გაანაღდონ.

— რა ფულზე ლაპარაკობთ, ან საიდან წამოვა?

— საიდანაც ფინანსდებიან.

— მაინც, საიდან?

— ალბათ, — რუსეთიდან. თუ ფული არ გაქვს, მხოლოდ პარტიას კი არა, არასამთავრობო ორგანიზაციასაც ვერ შეინახავ. ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს!

— სხვათა შორის, გოგი თოფაძემ თქვა, ამდენი არასამთავრობო რა საჭიროა, უნდა გადავხედოთო. ეს რაღა უბედურებაა?

— გოგი თოფაძეს ვინ ეკითხება, რამდენი

გაგრძელება მე- 9 გვ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

25 - 31 მარტი 2015

№ 12 (276)

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

სკანდალური ექსკლუზივი

არასამთავრობო იქნება?! ეს პირდაპირ დემოკრატიაზეა შეტევა! თუ არასამთავრობო ორგანიზაცია ქვეყნის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა, ანუ იწვევს დესტრუქციულ ქმედებებს, აღვივებს შუღლს და ამზადებს შეირაღებულ ამბოხს, არსებობს შესაბამისი სამსახურები, რომლებმაც ამ თემატიკაზე უნდა იმუშაონ.

– ბატონო კონსტანტინე, თქვენ, როგორც უსაფრთხოების ექსპერტი, როგორ ფიქრობთ, საქართველოში მოქმედ იმ არასამთავრობოთა საქმიანობაში, რომლებიც გრანტებს დასავლეთიდან იღებენ, დესტრუქციის ნიშნები იკვეთება?

– ეს ნიშნები გარედან არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება, პატარ-პატარა ნიშანი არსებობს, მაგრამ გარკვეულ ზღვარს არ სცდება. საერთოდ, იცით, საქმე რაშია? – ყველაფერს, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებსაც მონიტორინგი სჭირდება.

– მონიტორინგი ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს?

– არა, საზოგადოებამ.

– დასავლური ყაიდის „ენ-ჯე-ო“-ებს, სწორედ საზოგადოების სახელით, ცალკეული ე.წ. უფლებადამცველები და სახელდახელოდ შექმნილი მოძრაობები უპირისპირდებიან... ეს კარგია?

– თუკი დასავლურ დაფინანსებებში შავი სქემებია, მაშინ ეს სახელმწიფოს წინააღმდეგ იქნება მიმართული, მაგრამ თუკი დაფინანსება კანონიერად ხდება, პრეტენზია არავის უნდა ჰქონდეს. შენ რომ სახელმწიფო ხარ და დაზვერვის, კონტრდაზვერვისა თუ სხვა სამსახურებს ამუშავებ და გარკვეული ინფორმაცია გაქვს, იმის თავიც უნდა გქონდეს, რომ ამ ინფორმაციის ლეგალიზაცია მოახდინო და საზოგადოებას დაუმტკიცო, ესა თუ ის არასამთავრობო ორგანიზაცია ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევაო, მაგრამ ეს დამტკიცება სასამართლოში უნდა მოხდეს და არა ისე, რომ რომელიმე ძალოვანი უწყების ხელმძღვანელი გამოვიდეს და განაცხადოს, ესა და ეს არასამთავრობო დამნაშავეაო. ეს დემოკრატია არაა! ასეთი განცხადება, პირველ რიგში, სახელმწიფოს უსაფრთხოების სისტემას ვნებს!

– გეთანხმებით, დემოკრატია იმას ნიშნავს, რომ ადამიანს ყველაზე სულელური აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება-საშუალება არავინ წაართვას, მაგრამ გოგი თოფაძე რიგითი მოკვდავი კი არა, დეპუტატი და მმართველი კოალიციის პოლიტსაბჭოს წევრია. შესაბამისად, თუკი მის ანტინატოურ განწყობას პოლიტსაბჭო ემიჯნება, მინიმუმ, განცხადება უნდა გაეკეთებინა, მაქსიმუმ კი, თოფაძისთვის საყვედური გამოეცხადებინა, ან საჯაროდ გაეკიცხა. ვცდები?

– აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თოფაძის პათოსს არ იზიარებენ, მაგრამ განცხადება, გეთანხმებით „ოცნების“ პოლიტსაბჭოსაც უნდა გაეკეთებინა. თოფაძემ, როგორც კოალიციის წევრმა, წინასაარჩევნოდ ხელი მოაწერა, ასე ვთქვათ, დეკლარაციას, რომელიც პრაქტიკულად, „ოცნების“ 4-წლიანი პროგრამაა და როცა საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებაზე ბზარი ჩნდება, პოლიტსაბჭომ, დიახ, განმარტება უნდა გააკეთოს. თოფაძეს, როგორც ინდივიდს, შეიძლება, განსხვავებული შეხედულება ჰქონდეს, მაგრამ კოალიციაში გადაწყვეტილებები, როგორც განმარტავენ, კონსენსუსით მიიღება, თოფაძის პოზიცია კი იმის მაჩვენებელია, რომ იმ პოლიტიკურ გაერთიანებაში, რასაც „ქართული ოცნება“ ჰქვია, კონსენსუსი არ არსებობს!

– ხომ არ გეჩვენებათ, რომ ირაკლი ალასანიას მიერ რამდენიმე თვის წინ გაკეთებული განცხადება, რომელიც ქვეყნის საგარეო კურსის სავარაუდო ცვლილებას უკავშირდებოდა, თოფაძემ ახლა დაადასტურა?

– შეიძლება, ასეც ითქვას... ისე, თოფაძემ „ოცნებას“ სერიოზული უხერხულობა შიგნითვე შეუქმნა და აი, რატომ: „რესპუბლიკელები“ საგარეო ორიენტაციას არასოდეს შეიცვლიან. ამ პოლიტიკური ვექტორის ცვლილება თავად „ქართული ოცებისთვისაც“ დამანგრეველი იქნება, რადგან ჯერ ერთი, ქვეყანას ევროსაბჭოსთან აღებული ძველი ვალდებულებები აქვს, მეორეც, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა სწორედ „ოცნებას“ მოუწია. როგორც კი ხელისუფლება ყველაფერ ამაზე უარს იტყვის, ქვეყანა ჩამოიშლება! თუკი ვინმეს ჰგონია, რომ საგარეო ვექტორის შეცვლა, ანუ ევრაზიული კავშირისკენ წასვლა მარტივია და იმაშიც დარწმუნებულია, რომ ევროპა და, საერთოდ, დასავლეთი არაფერს გააკეთებს, ძალიან ცდება! ასეთ შემთხვევაში, დასავლეთი, მინიმუმ, დახმარებას შეგვიწყვეტს!

– მერე, რა?! ჭყოიძისნაირები თვლიან, რომ ქართულ ეკონომიკას რუსული ბაზარი ააყვავებს!

– რუსული ბაზარი საქართველოში იმდენ სავალუტო რესურსს ვერ „გააჩენს“, რომ ეკონომიკური ზრდის პარამეტრები „დავიჭიროთ“. ყველაფერი ეს კი, წყალს ოპიზიციის წისქვილზე დაასხამს, რომელიც გამოვა და იტყვის, აი, ხომ ხედავთ, ევრაზიულ კავშირზე ლაპარაკმა სადამდე მიგვიყვანა, ქვეყანაში შიმშილი დაიწყოო...

ვხედავთ, რომ დღეს რუსეთი, ოკუპაციასთან ერთად, საქართველოს ანექსიასაც ეწევა და ამას თიბილოვთან გაფორმებული ხელშეკრულებაც მოწმობს. ასევე, ვხედავთ, ევროპას რა პოზიციაც აქვს და მისი მესმის – რუსეთის გაღიზიანებას ერიდება. რუსებს ასეთი „პაგავორკა“ აქვთ: „პროტივ ლომა, ნეტ პრიომა, ესლი ნეტ დრუგოვა ლომა“, ესე იგი, თუკი ძალაყინის წინააღმდეგ სხვა ძალაყინი არ არსებობს, ამ ძალაყინს ვერ შეაჩერებო. მოკლედ, ამით იმის თქმა მინდა, რომ ევროპა სხვა ძალით უნდა ჩაანაცვლო და ეს ძალა დღეს აშშ-ია, ანუ უნდა შევეცადოთ, რომ ნატო-ს სტრატეგიული პარტნიორობიდან მეკავშირის სტატუსზე გადავიდეთ. საამისოდ, მთელი ჩვენი ხელისუფლება აშშ-ში უნდა იჯდეს და როგორც კი საქართველო ამ სტატუსს მიიღებს, იმ წუთიდან საქართველო-რუსეთს შორის მოლაპარაკება ნატო-ს პრიზმაში გადავა და ბევრი „ლუფტი“ გაჩნდება, რომელსაც ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენებთ, მაგრამ ხელისუფლება ამას არ აკეთებს, რადგან არ იცის. ბოლოს და ბოლოს, სტამბულის ხელშეკრულება უნდა წამოსწიოს, რომელიც ირღვევა და სარჩელი ევროსასამართლოსა და სხვა საერთაშორისო სტრუქტურებში შეიტანოს, მაგრამ არც ამას აკეთებს.

– ამასაც არცოდნით ხსნით?

– დიახ...

– რა ამის პასუხია და, „ოცნება“, როგორც ამბობს, ის ხელისუფლებაა, რომელიც ხალხს უსმენს და შეცდომებსაც აღიარებს. მოდით, ეს პოსტულატი დასავლეთ საქართველოს რამდენიმე რაიონში, „ნაცების“ 9-წლიან რეჟიმზე შექმნილი დოკუმენტური ფილმის ბავშვებისთვის ჩვენების მაგალითზე განვიხილოთ – მართალია, ოფიციალური უწყებები არ იწონებენ, მაგრამ „ოცნების“ ზოგიერთი მომხრის არგუმენტით, მომავალმა თაობამ ისტორია უნდა იცოდეს და, დიახაც, ფილმი ყველა მოზარდმა უნდა ნახოს...

– ამას წინათ, ტელევიზიით ვიღაც გამოვიდა და განაცხადა, მიხეილ სააკაშვილს, იუსტიციის მინისტრი რომ იყო, ბავშვები ლესია უკრაინკას ქუჩაზე მდებარე, „კა-გე-ბე“-ს ყოფილ შენობაში ექსკურსიაზე დაჰყავდა და იმ ადგილებს აჩვენებდა, სადაც 37 წელს ხალხს ხვრეტდნენო. შე მამაცხონებულო, თუ მიშა შეცდომას უშვებდა, შენც იგივე უნდა გაიმეორო? – ეს ძალიან უსუსური არგუმენტია.

ისე, კარგად ვიცი, ის „ტიპები“, ვინც ფილმი შექმნეს, ვინ არიან.

– რას გულისხმობთ?

– რასაც ვგულისხმობ, ვამბობ: კარგად ვიცი, რომელი პოლიტიკური ძალის ირგვლივაც არიან გაერთიანებულნი და მთელი ამ კომპოზიციის უკან ვინც დგას.

– ვინ დგას?

– არასაპარლამენტო ერთ-ერთი ოპოზიციური ძალა... იმას არ ვამბობ, რომ „ნაციონალები“ ანგელოზები იყვნენ, მაგრამ ნუთუ, არავის უჩნდება შეკითხვა, მოვლენების ეპიცენტრი ვიღაცას სამეგრელოში რატომ გადააქვს? – ოპერატიული თვალსაზრისით, დღეს ყველაზე საშიში რეგიონები სწორედ სამეგრელო, აჭარა და სამცხე-ჯავახეთია... გასაგებია, რომ ეს კადრები ტელევიზიით არაერთხელ გასულა, მაგრამ ყველაფერ ამის ბავშვებისთვის ჩვენება, ტიპური ძალმომრეობაა და ეს ძალიან სახიფათო თამაშია. საერთოდ, ახალგაზრდობა ძალიან ადვილი სამართავია და მომავალ თაობაზე „ქართული ოცნებაც“ ისევე ზემოქმედებს, როგორც თავის დროზე „ნაცმოძრაობა“ ზემოქმედებდა. იგივე სადღობელაშვილი და მისი ორგანიზაცია ავიღოთ, ასეთი ორგანიზებული პოლიტიკური დაპირისპირებები სწორედ „ნაცმოძრაობის“ ხელწერაა. ეს არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგალითად, დემოკრატიის განვითარებაზე ან, სულაც, ახალგაზრდების პოლიტიკურ ფიგურებად ჩამოყალიბებაზე რატომ არ მუშაობენ? ამ აგრესიული ფონით ხელისუფლება ნელ-ნელა „ნაცმოძრაობას“ ემსგავსება.

– ბატონო კოტე, იზიარებთ მოსაზრებას, რომ ყველაფერ ამის უკან სუს-ი დგას და, საერთოდაც, ქვეყანას სუს-ი მართავს?

– თუკი ამის უკან ნამდვილად სუს-ი დგას, მაშინ საქმე უფრო დიდ უბედურებასთან გვქონია! ამაში დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ თუკი ასეა, გამოდის, რომ პოლიტიკური პოლიცია, რომელიც „ნაცების“ დროს არსებობდა და რომელსაც კუდ-ი ერქვა, დღეს იგივე პოლიტიკური პოლიციაა, უბრალოდ, სუს-ი ჰქვია? სუს-ი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურია, მაგრამ ვინმემ იცის, მისი დებულება რა არის?

– თქვენ იცით?

– ვიცი, მაგრამ ყურადღებას არ გავამახვილებ, თუმცა ერთს მაინც ვიტყვი: შსს-ს სამსახურებში ფუნქციების აღრევა ხდება, ანუ თუკი სუს-ი სახელმწიფო უსაფრთხოებაზე ზრუნავს, გეკითხებით, კონტრდაზვერვა რაღას ემსახურება? პირდაპირ და გახსნილად გეტყვით: იმ ხალხის 90 პროცენტი, ვინც დღეს ამ უწყებებში მსახურობს, რომ ჰკითხოთ, კონტრდაზვერვა რას ნიშნავსო, დარწმუნებული ვარ, ვერ გიპასუხებს! კონტრდაზვერვა სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანიზაციული სტრუქტურაა, რომლის მთავარი ამოცანაც უცხო ქვეყნების მხრიდან წარმოებული ძირგამომთხრელი საქმიანობის დროულად გამოვლენა, აცილება და აღკვეთაა. მწარე სიმართლეს ვამბობ, მაგრამ თუკი სუს-ი პოლიტიკურ პარტიებზე მუშაობს, მაშინ გამოდის, რომ საქმე, მინიმუმ, კანონის დარღვევასთან გვაქვს, რადგან სპეცსამსახურების ორგანული კანონით, პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარება იკრძალება, თუმცა თუკი მყარი მტკიცებულება გაქვს, რომ ესა თუ ის არასამთავრობო თუ პოლიტიკური პარტია ქვეყნისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევა, მაშინ შეგიძლია, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები სასამართლოს სანქციითა და პროკურატურის ზედამხედველობით გაატარო. ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, სუს-ის, როგორც დანაყოფის არსებობა, საჭირო არაა, რადგან ეს ფუნქცია კონტრდაზვერვას აქვს.

– გასაგებია, მაგრამ სუს-ი ეგებ, ხელისუფლების უსაფრთხოებაზე ზრუნავს? ხელისუფლება და სახელმწიფო კი, დამეთანხმებით, აბსოლუტურად განსხვავებული ცნებებია...

– ეს უკვე კულუარული თემატიკაა.

– ბატონო კოტე, რამდენიმე დღის წინ, შსს-დან 9 თანამშრომელი იმ ბრალდებით გაუშვეს, რომ „ნაცმოძრაობას“ ინფორმაციებს აწვდიდა. საქმე რასთან გვაქვს?

– ძალიან მარტივ ჭეშმარიტებას ვიტყვი: სისტემაში 2004 წელს მოსული ხალხი გაიზარდა, ათი წელი ერთ პოლიტიკურ დავალებას ასრულებდა და, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება შეიცვალა, ისევ ძველ გზას აგრძელებს! საერთოდ, უბედურებაა, როცა შსს-დან ოპერატიული მასალა გამოდის და მოწინააღმდეგის ხელში ხვდება. იცით, ეს რას ნიშნავს?

– რას?

– რას და, – შენს ოპერატიულ სამსახურებს მოწინააღმდეგე მართავს. ასეთ დროს რომელ რეფორმებსა და სტრუქტურის გამართულ მუშაობაზეა ლაპარაკი? ყველაფერი ეს პოლიციის დისკრედიტაციაა და მეტი არაფერი! შს სამინისტრო და, მით უმეტეს, სპეცსამსახური მკაცრად განსაზღვრული იერარქიული სისტემაა და როცა რომელიმე რგოლიდან ინფორმაცია ჟონავს, პირველ რიგში, ამ რგოლის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხი დგება – მინიმუმ, სამსახურიდან უნდა გაუშვან. მაინტერესებს, ცინარიძე თუ ვიღაც რომ ჰყავთ, ისევ თანამდებობაზე რატომაა?

– იმიტომ, რომ ალბათ, ვინმეს ახლობელია...

– აი, სწორედ ამ ახლობლობამ დაღუპა „ნაცმოძრაობა“ და „ქართულ ოცნებასაც“ ახლობლობა ღუპავს! გინახავთ, რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურში ვინმე ნათესაური პრინციპით მიეყვანათ და დაესვათ? ხალხო, ასეთი რაღაცები საბჭოთა სისტემაში არ ხდებოდა და სად ვართ?! მაშინ ვიდრე ახალგაზრდა ადამიანს სამსახურში, მით უმეტეს, სპეცსამსახურში მიიღებდნენ, ორი წელი სწავლობდნენ, დღეს კი, თანამდებობაზე მხოლოდ იმ ნიშნით ნიშნავენ, რომ ახლობელი და ერთგულია.

ვანო, კიდევ ერთი თემა, რომელსაც მინდა, შევეხო, მაჟორიტარული სისტემის გაუქმებაა. თუკი ეს სისტემა მართლა გაუქმდება, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ „ნაცმოძრაობას“ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ხელ-ფეხს გაუხსნიან.

– უკაცრავად, მაჟორიტარული სისტემის გაუქმება „ნაცმოძრაობის“ „მეორედ მოსვლასთან“ რა კავშირშია?

– მარტივად აგიხსნით: მაჟორიტარები ყოველთვის ხელისუფლების დასაყრდენად ითვლებოდნენ. „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება არ მინდა და „ოცნებას“ სწორედ ამიტომაც ვაკრიტიკებ, თან პოლიტიკაში შემოსვლისთანავე, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ჯანსაღი კრიტიკა მჭირდებაო. შეიძლება, ჩემი კრიტიკა ვინმეს არ მოსწონს, მაგრამ მინდა, საპირისპირო არგუმენტი მოვისმინო. ჭეშმარიტება სწორედ ასე იბადება.

მოკლედ, განვიხილოთ ასეთი სცენარი: 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ოცნებამ“, ვთქვათ, 40 პროცენტი აიღო, დანარჩენი 60 პროცენტი კი, სხვადასხვა პარტიაზე გადანაწილდება, რაც იმას ნიშნავს, რომ „ოცნება“ უმრავლესობას დაკარგავს. იმ შემთხვევაში კი, თუ „ოცნება“ მომავალ არჩევნებშიც კოალიციით გამოვა, რა გარანტია არსებობს, რომ რომელიმე წევრი არ გამოეყოფა? – ასეთ დროს ზემოხსენებული 40 პროცენტის შესაბამისი მანდატებიც დაიკარგება. „ნაცმოძრაობა“ კი შეეცდება, თავისი 10-15 პროცენტი გაზარდოს, ანუ არაა გამორიცხული, რომ საარჩევნოდ „ნაცებთან“ პატარ-პატარა პარტიები დაწყვილდნენ. სამთავრობო პარტიის, ასე ვთქვათ, იმედი სწორედ მაჟორიტარული სისტემაა, რადგან დღევანდელი მონაცემებით, „ნაცმოძრაობის“ კანდიდატი თითქმის ვერც ერთ მაჟორიტარულ ოლქში ვერ გაიმარჯვებს.

– მაჟორიტარული სისტემის გაუქმება, როგორც ვიცი, დასავლეთის მოთხოვნაა...

– როგორ გეკადრებათ! ასეთი მოთხოვნა დასავლეთს არასოდეს ჰქონია! ეს ინიციატივა არასაპარლამენტო ოპოზიციისგან წამოვიდა. შეხედეთ, ამ არასაპარლამენტო ოპოზიციაში ვინ არიან – ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი, მამუკა კაციტაძე, რომელმაც სიები გადაგვიმოწმა და ყველა არჩევნებზე 3 მილიონ ხუთასი ათასი ამომრჩევლით დავდივართ, სინამდვილეში კი, 2 მილიონ ხუთასი ათასზე მეტი ამომრჩეველი არ გვყავს...

– სხვათა შორის, ნინო ბურჯანაძეც არასაპარლამენტო ოპოზიციაა...

– ვიცი და ამ შემთხვევაში, ყველას ერთი პოლიტიკური ინტერესი აქვს... ყველა თავის დროზე „ნაცმოძრაობასთან“ რაღაც ფორმით იყო დაკავშირებული. სხვათა შორის, ამ ინიციატივას მხარი პარლამენტის თავმჯდომარემაც დაუჭირა, თუმცა არ მგონია, რომ დავით უსუფაშვილს არ ესმოდეს, რომ მაჟორიტარული სისტემის გაუქმება „ქართული ოცნების“ 100-პროცენტიანი კრახია! თუ ეს საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, „ოცნება“ განწირულია. ისე, „ნაცმოძრაობა“ ამ ინიციატივით თვითონ ვერ გამოვიდოდა, ამიტომ, არასაპარლამენტო ოპოზიციას გაახმოვანებინა, რომელსაც ადრე თვითონ ძალიან კარგად მართავდა – ზოგიერთ პარტიას დაფინანსება არ ჰქონდა, მაგრამ მისი ლიდერი კარგი ჯიპით დადიოდა. ხალხი სულელი არაა, ყველამ ყველაფერი იცის და დღეს გულზე მჯიღს ნურავინ იცემს, „ნაცების“ ოპოზიციაში ვიყავითო.

ესაუბრა ვანო პავლიაშვილი

(თემის გაგრძელება იქნება)

„სწორედ ამ ახლობლობამ დაღუპა „ნაცმოძრაობა“ და „ქართულ ოცნებასაც“ ახლობლობა ღუპავს! გინახავთ, რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურში ვინმე ნათესაური პრინციპით მიეყვანათ და დაესვათ? ხალხო, ასეთი რაღაცები საბჭოთა სისტემაში არ ხდებოდა და სად ვართ?! მაშინ ვიდრე ახალგაზრდა ადამიანს სამსახურში, მით უმეტეს, სპეცსამსახურში მიიღებდნენ, ორი წელი სწავლობდნენ, დღეს კი, თანამდებობაზე მხოლოდ იმ ნიშნით ნიშნავენ, რომ ახლობელი და ერთგულია.“

№ 12 (276)
25-31 მარტი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!"

სპა

ქართველი მეფეების ავღანური ლაშქრობები

2014 წლის 28 დეკემბერს, ომი, რომელიც ავღანეთში 13 წელი გრძელდებოდა, ფორმალურად დასრულდა. ქაბულში, ,,აი-სა-ფი“-ს მისიის სათაო ოფისში გამართულ ცერემონიალზე, ,,აი-სა-ფი“-ს მწვანე და თეთრი დროშა დაუშვეს და ნატო-ს ახალი პროგრამის — „მტკიცე თანამშრომლობის მისიის“ დროშა აღმართეს. ამერიკელმა გენერალმა, ჯონ კემპბელმა, რომელიც ,,აი-სა-ფი“-ს მისიას ხელმძღვანელობდა, პატივი მიაგო მისიაში მონაწილე 3500-მდე ჯარისკაცს, რომელიც ავღანეთში ბრძოლის ველზე დაიღუპა. ასევე, მიესალმა ავღანელ სამხედროებს, რომლებმაც, მისი თქმით, დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ, ბრძოლა საკუთარ თავზე აიღონ... იმ დღეს დაადგინეს, რომ სამხედრო ოპერაციების ჩატარებას ავღანური თავდაცვითი ძალები ,,აი-სა-ფი“-ს მისიას საბრძოლო შეიარაღებული ძალების დახმარების გარეშე გააგრძელებენ. ნატო-ს ახალი პროგრამა — „მტკიცე თანამშრომლობის მისია“, რომელიც ავღანეთში 2015 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა, სასწავლო-საკონსულტაციო ხასიათისაა და მიზნად ავღანელი სამხედროების დახმარებას ისახავს. მისიაში საქართველოს ჩართვის შესახებ დოკუმენტს ხელი გასული წლის 15 დეკემბერს მოეწერა, დოკუმენტის რატიფიკაციას კი, პარლამენტმა მხარი 24 დეკემბერს დაუჭირა და საქართველომ ვალდებულება აიღო, რომ ახალ მისიაში მონაწილეობას ორი დანაყოფით, ბატალიონითა და ასეულით მიიღებს... ,,ქართული სიტყვა“ სამხედრო ისტორიკოსს, მამუკა გოგიტიძეს ესაუბრა.

— ბატონო მამუკა, საქართველოს საზღვრებიდან ასე შორს, ავღანეთში ქართველები პირველად როდის მოხვდნენ?

— ავღანეთის მიწაზე პირველად ქართველების ფეხის დადგმა ქართლის მეფის, გიორგი მე-11-ის ტრაგიკულ ცხოვრებას უკავშირდება. ვახტანგ მეხუთის ვაჟი, გიორგი მე-11 1651 წელს დაიბადა, შესანიშნავი განათლება მიიღო... მისი მეფობის წლები ორ ეტაპად იყოფა: 1676-1688 და 1703-1709 წლები. ამ პერიოდში სპარსეთთან ურთიერთობა განსაკუთრებულად გამწვავებული გახლდათ. გიორგი მეფე, ამავდროულად, დიპლომატიც იყო და ოსმალეთის იმპერიასთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, თავს კი, კათოლიკე მეფედ თვლიდა. ძლიერი მფარველის პოვნის მიზნით, რომის პაპსაც დაუკავშირდა, თუმცა პაპი ინოკენტი მე-11 მუსულმანური სახელმწიფოებისგან შევიწროვებული სახელმწიფოს მეფეს ლოცვებში მოიხსენიებდა და მისი დახმარება მხოლოდ ამით შემოიფარგლა. 1688 წელს, გიორგი მეფე სპარსეთის მაშინდელ შაჰ ჰუსეინს აუჯანყდა, მაგრამ დამარცხდა. ასევე, მარცხით დამთავრდა მეფის დიპლომატიური მოლაპარაკებები ოსმალეთის ხელისუფლებასთან. საბოლოოდ, შაჰ ჰუსეინმა გიორგი გადააყენა და ტახტზე რუსეთის სამეფო კარზე განსწავლული ერეკლე პირველი დასვა, თუმცა შაჰი მალევე მიხვდა, რომ არასწორად მოიქცა — გიორგი მე-11 დიდი მიზნის აღსრულებაში სჭირდებოდა, ეს მიზანი კი, იმ დროისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ავღანეთის დაპატრონება იყო, რაც ადვილი არ გახლდათ, რადგან ავღანელები მაშინაც დაუმორჩილებელნი იყვნენ. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში, ინგლისელები ამაოდ ცდილობდნენ მათ დამორჩილებას. ვერავინ და ვერაფერი უძლებს ავღანელთა მებრძოლ ხასიათს და კლიმატს. ძველი ავღანური გამოთქმა დღესაც აქტუალურია: ,,ჩვენს ქვეყანაში უცხოელები ფლობენ საათებს, მაგრამ დროს ჩვენ ვფლობთ!“ მოკლედ, შაჰმა გიორგი მე-11-ს, ტახტზე დაბრუნების სანაცვლოდ, ავღანელების დამორჩილება შესთავაზა. ამ სიტუაციაში, ისტორიკოსების შეხედულებით, გიორგი მეფე საბედისწერო შეცდომას უშვებს და თავისი ლაშქრით ავღანეთში მიდის. მალევე დაიმორჩილა ავღანელები. შაჰმაც პირობა შეასრულა და ტახტი დაუბრუნა, მაღალი სამხედრო თანამდებობა — ირანის სპასალარობა და ყანდაღარის ბეგლარბეგობაც უბოძა. ეს მაღალი ჯილდო ქართველმა მეფემ ავღანელთა წინამძღოლის შეპყრობისთვის მიიღო, თუმცა მალე შაჰმა მეფე გიორგის მიერ დატყვევებული მირ-ვეისი, გაურკვეველი მიზეზების გამო, გაათავისუფლა. ავღანელებმა ქართველთა მეფე, რაზმთან ერთად, შეიპყრეს და შუბებით განგმირეს. ეს პირველი დიდი მსხვერპლია, რომელიც ქართველებმა შორეულ ავღანეთში გაიღეს.

მეორედ, ქართველთა ავღანეთში ყოფნა 1739 წელს დაფიქსირდა, როცა სპარსეთის მეფე ნადირ შაჰის ჯარში უფლისწული, საქართველოს მომავალი მეფე, 19 წლის პატარა კახი იმყოფებოდა და შაჰს ავღანეთისა და ინდოეთის დალაშქვრაში ეხმარებოდა. ახლაც არა გვაქვს ინფორმაცია, ამ ბრძოლებში პატარა კახს რამდენი მეომარი ჰყავდა.

— 1980 წელს, საბჭოთა კავშირმა, სამშვიდობო მისიით, ,,ინტერნაციონალური ვალის“ მოსახდელად, ავღანეთში ჯარი შეიყვანა...

— დიახ, ამ ამბებიდან 240 წლის შემდეგ, საბჭოთა სინამდვილეში, 1979 წლიდან, ათი წლის განმავლობაში, საბჭოთა ჯარის შეზღუდული კონტიგენტი, ,,სამშვიდობო მისიით“, ავღანეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა... ქართველებმა აქაც დიდი მსხვერპლი გავიღეთ. სტატისტიკური მონაცემებით, ავღანეთში 26 000 ჯარისკაცი და 30 000-მდე ოფიცერი იბრძოდა. არსებული მონაცემებით, ,,სამშვიდობო მისიაში“ 5 000-მდე ქართველი მონაწილეობდა. აქედან 128 დაიღუპა, რვა უგზოუკვლოდ დაიკარგა. გარდა ამისა, 56 000 ჯარისკაცი დაიჭრა, ტრავმა მიიღო, ან ,,ავღანური სინდრომით“ დაავადდა, თუმცა ეს არასწორი ციფრებია. სინამდვილეში, ავღანეთში გაცილებით მეტი ქართველი დაზარალდა, საბჭოთა ხელისუფლება არასწორ მონაცემებს აქვეყნებდა და რეალობის დაფარვას გულმოდგინედ ცდილობდა.

— ამ ამბებიდან გავიდა რამდენიმე ათეული წელი და ავღანეთი ისევ ცხელი წერტილია... ,,აი-სა-ფი“-ს მისიაზე რას იტყვით?

— ,,აი-სა-ფი“ (საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალები) 2001 წლის 20 დეკემბერს, გაერო-ს უშიშროების საბჭოს №1386 რეზოლუციის საფუძველზე ჩამოყალიბდა. ეს ავღანეთის ტერიტორიაზე ნატო-ს ეგიდითა და მეთაურობით მოქმედი საერთაშორისო სამხედრო კონტიგენტია, რომლის მისიაც ავღანეთში სტაბილურობისა და გრძელვადიანი უსაფრთხოების დამყარებაა. ძალების საწყისი მისია ქაბულსა და მის გარშემო ტერიტორიაზე სტაბილურობის დამყარება გახლდათ, რათა ჰამიდ კარზაის დროებით მთავრობას ძალაუფლების ხელში აღება შეძლებოდა. დღესდღეობით, ,,აი-სა-ფი“ საერთაშორისო სამხედრო კოალიციაა, რომელშიც მსოფლიოს 50-მდე ქვეყანა და 110 000-მდე ჯარისკაცი მონაწილეობს. კოალიცია ავღანეთის მთელ ტერიტორიაზე აწარმოებს ბრძოლას თალიბანის, ალ-ქაიდასა და სხვა ექსტრემისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ.

— ,,აი-სა-ფი“-ს მისიაში საქართველო რა დოზით მონაწილეობს?

— საქართველოს შეიარაღებული ძალები სამშვიდობო მისიებში ბალკანეთში, სპარსეთის ყურესა და ავღანეთში აქტიურ მონაწილეობას 1999 წლიდან იღებს. ავღანეთში, საერთაშორისო მისიაში მონაწილეობის მისაღებად ქართული კონტიგენტი პირველად 2004 წელს გაიგზავნა. ოცეული მისიას გერმანული კონტიგენტის შემადგენლობაში ასრულებდა და მისი ამოცანა ავღანეთში საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო.

გჰორის პროვინციის ქალაქ ჩაგჩარანში, ლიტვის რესპუბლიკის პროვინციული რეკონსტრუქციის ჯგუფის შემადგენლობაში ქართველი ექიმი მისიას 2007 წლის ნოემბრიდან ასრულებდა, რომელიც როტაციის წესით, 6 თვეში ერთხელ იცვლება. 2009 წლის ნოემბრიდან 2012 წლის იანვრამდე, ქაბულში, რეგიონალური სარდლობის შტაბ-ბინაში მდებარე „ვორჰაუზ“-ის ბაზაზე ქართული სამშვიდობო ასეული მისიას ფრანგული კონტიგენტის შემადგენლობაში ასრულებდა. 2012 წლის იანვრიდან კი, ქვეითთა ასეული გაძლიერებულმა ქვეითთა ოცეულმა ჩაანაცვლა, რომელიც 2013 წლის მაისიდან ამერიკული კონტიგენტის დაქვემდებარებაში გადავიდა.

2010 წლის იანვარში, ქაბულში მდებარე რეგიონალური სარდლობის ცენტრში, თურქული კონტიგენტის შტაბბინაში, მისიის შესასრულებლად 2 სამეკავშირეო ოფიცერი გაიგზავნა. ყანდაღარის პროვინციაში კი, ქართველი სამხედრო ინსტრუქტორები სამშვიდობო მისიას ფრანგული კონტიგენტის შემადგენლობაში 2011 წლის აპრილიდან 2012 წლის აპრილამდე ასრულებდნენ. 2010 წლის აპრილიდან, ავღანეთის სამხრეთით მდებარე ჰელმანდის პროვინციაში, საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი გაიგზავნა, რომელიც აშშ-ის სამხედრო ძალების მხარდაჭერით, სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებდა. 2010 წლის ნოემბერში, 31-ე ბატალიონი მესამე ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონმა როტაციის წესით ჩაანაცვლა. 2011 წლის აპრილიდან კი, ჰელმანდის პროვინციაში სამშვიდობო მისიას 33-ე ბატალიონი ასრულებდა. 6 თვის შემდეგ, 2011 წლის ნოემბერში, მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე მსუბუქი ბატალიონის 749 სამხედრო მოსამსახურემ 33-ე ბატალიონი ეტაპობრივად ჩაანაცვლა.

2012 წლის აპრილში, როტაციის წესით, მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონი მე-2 ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონმა ჩაანაცვლა, რომელიც სამშვიდობო მისიის შესრულებას ჰელმანდის პროვინციაში კვლავ ამერიკული კონტიგენტის შემადგენლობაში აგრძელებდა. 2012 წლის ოქტომბერში, ავღანეთში დამატებით კიდევ ერთი

გაგრძელება მე-11 გვ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

25 - 31 მარტი 2015

№ 12 (276)

11

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სპა

მე-10 გვერდიდან

ბატალიონი გაიგზავნა. შესაბამისად, ავღანეთში ქართველი სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობამ 1 600-ს მიაღწია. მე-2 ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონი პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონმა ჩაანაცვლა. მე-12 ბატალიონთან ერთად, ავღანეთში მისიის შესასრულებლად უკვე მეორედ III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონიც გაემგზავრა. 6 თვის შემდეგ, მათი ჩანაცვლება III ქვეითი ბრიგადის 33-ე და IV ქვეითი ბრიგადის 42-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონების მიერ მოხდა. 33-ე და 42-ე ბატალიონები სრულად დაბრუნდნენ საქართველოში. ავღანეთში მისიის შესრულებას III ქვეითი ბრიგადის 31-ე და ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონები აგრძელებენ. 31-ე ბატალიონი ავღანეთში საერთაშორისო მისიაში მონაწილეობას მესამედ იღებს.

თითოეულმა ოცეულმა სამშვიდობო ოპერაციის მოსამზადებელი წვრთნები საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში, ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ ნატო-ს სტანდარტების სრული დაცვით გაიარა. სამშვიდობო მისიისთვის ქართველი სამხედროების ინტენსიურ მომზადებას ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ქვეითი ჯარების ინსტრუქტორთა ჯგუფი ხელმძღვანელობს. ქართული კონტიგენტი ამოცანაზე ორიენტირებულ სწავლებას გერმანიის ქალაქ ჰოჰენფელსში, ერთი თვის განმავლობაში გადის, სადაც ბატალიონის მომზადების დონის შეფასება ხდება. ქართველი სამხედროების ამოცანას ტერორიზმთან ბრძოლა, პროვინციის სამოქმედო არეალში მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით პატრულირება და მოძრავი საკონტროლო საგუშაგოების მოწყობა წარმოადგენს.

– მაინც, როგორია ავღანური ყოველდღიურობა, რა ხალხი ცხოვრობს ავღანეთში, როგორია მისი ცხოვრების წესი?

– ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაია. მათი რელიგია ისლამია, არიან სუნიტები, შიიტები, ბუდისტები. მოსახლეობის ენა არის პუშტუ და დარი, პუშტუ ავღანური ენაა, დარი – სპარსული ენის ავღანური დიალექტი. უზბეკურ და ტაჯიკურ ენებზეც ლაპარაკობენ. ქვეყნის კლიმატი ცხოვრების წესს და პირობებს განაპირობებს. შხამიანი ცხოველები: ობობა, რწყილი, კობრები, ხვლიკები განსაკუთრებით ზაფხულში აქტიურდებიან. ოქტომბერი ქვიშის ქარიშხლითაა განთქმული – ამ დროს თავი სადმე უნდა შეაფაროთ, თორემ ვერ გადარჩებით. ნოემბერი ღრუბლიანია, ზამთარში, დღისით, სიცხე, ღამით სიცივე შეგაწუხებთ. ავღანეთში 30-40 მილიონამდე ადგილობრივი მოსახლეა, მათ შორის – პაკისტანელი ლტოლვილები. სიცოცხლის ხანრძლივობა 40-45 წელია, იშვიათად შეხვდებით მოხუცებს, რომელთა ათვლის წერტილი ასეთია: ,,როცა რუსები შემოვიდნენ, მაშინ დავიბადე“. მოსახლეობა ერაყული, არაბული ტომებისა და ავღანური პაშტუნებისგან შედგება. ტომების ცხოვრებას უხუცესები მართავენ, მართვის საფეხურები ასეთია: შურა, ტომი, ქვეტომი, კლანი, ოჯახი.

შურა კრებაა, რომელსაც სოფლის უხუცესი, მაცხოვრებლები და სამშვიდობო მისიის წევრებიც ესწრებიან. მასზე სოფლის საჭირბოროტო საკითხებს განიხილავენ, ჯარისკაცები ადგილობრივებს დახმარებას სთავაზობენ. შურა ადგილობრივებისა და მისიის წევრების ურთიერთობის განმსაზღვრელია.

ადგილობრივები აზრებს, უმეტესად, პირდაპირ არ გამოხატავენ. მათთვის ყველა, ვინც ავღანეთის მიწაზე ფეხს ადგამს, მტერია. თალიბების მოქმედებების შესახებ უხუცესებმა ყველაფერი იციან, მაგრამ ინფორმაციას მხოლოდ უკიდურეს მდგომარეობაში ამჟღავნებენ.

– ავღანელების შემოსავლის წყარო რა არის?

– ავღანეთის ეკონომიკა მოშლილია, წაიღისეულს არ მოიპოვებენ, მეცხოველეობას მისდევენ, ძირთადად, ცხვრის მოშენებით არიან დაკავებულნი. ავღანეთი მსოფლიოში უდიდესი ნარკოტიკების მწარმოებელი ქვეყანაა. მდინარეების პირას, სადაც მორწყვის საშუალებაა, ავღანელები ოპიუმის ყანებს აშენებენ, აღებული მოსავალი თალიბებს მიზერულ ფასად მიაქვთ. ფულის ერთეულს „ავღანი“ ჰქვია. ავღანელები კუსტარულ მრეწველობასაც ეწევიან – სამკაულებს ამზადებენ. ქვეყანაში სულ ორი აეროპორტია, სამაგიეროდ, ბევრია აეროდრომი. ავღანეთის კავშირგაბმულობას ორი მობილური ოპერატორი უზრუნველყოფს: ,,როშანი“ და ,,ავეცეცე“. შვიდი ტელევიზიიდან ერთი სამთავრობოა, ექვსი – რეგიონალური. ელექტროენერგია ცოტა აქვთ და ძირითადად წყლის გენერატორებს იყენებენ. მოსახლეობის 28,7% წერა-კითხვის უცოდინარია. ახალგაზრდებს წერა-კითხვას მხოლოდ პაკისტანის მედრესეებში ასწავლიან და კამიკაძეებად ზრდიან. ავღანელთა დევიზია: ,,დაიცავი პაშტუნვალი!“ ეს სიტყვა ,,ღირსების ერს“ ნიშნავს, ერს, რომელსაც თავისი ცხოვრების წესი აქვს. ავღანეთში ქალი და კაცი განსხვავებული უფლებებით სარგებლობს: ქალი მეორეხარისხოვანი მოქალაქეა, ბურკათი (იგივე პარანჯა) დადის და სახეს არავის აჩვენებს. ავღანელებს ჰყავთ ფეხბურთელები, ნარდის მოთამაშეები, მოსწონთ საჰაერო გველები. 6 წლის ასაკიდან, ავღანელი ბიჭუნა უკვე მებრძოლია. სოფლებში ყოველი ფეხის ნაბიჯზე, გზაზე დაყრილ ნაგავში, ხის ნაჭრებში, ცელოფანის პარკებში, ცარიელ ბოთლებში შეიძლება, თვითნაკეთი ბომბი, ,,აიდის“ მრავალსახეობა, მგრძნობიარე, დისტანციურად მოქმედი მოწყობილობა იყოს ჩადებული, ზოგი მათგანი მიწაში ღრმადაა ჩაფლული და ფეხის დაბიჯებისთანავე ფეთქდება. ქაბულში, 6 საათის მერე, ყველა ჭიშკარი იკეტება და ქუჩაში გასვლა განსაკუთრებით საშიში უცხოელისთვისაა, თუმცა ადგილობრივები სტუმართმოყვარეობასაც იჩენენ.

– ქართველი სამხედროების ავღანეთში მისიის შესრულების შეფასება დადებითია?

– ქართველი სამხედროების მომზადების დონე და კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად მზადყოფნა საერთაშორისო ძალების წარმომადგენლებისგან ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებს. თითქმის ყველა მაღალი რანგის ამერიკელმა ოფიცერმა იცის ქართველთა საქმიანობაზე. ამერიკულ სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულები და სტუდენტები ავღანეთში მყოფ ქართველ სამხედროებს საახალწლო მილოცვაში ასე მიმართავდნენ: ,,თქვენ ხართ ხალხი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას ქმნის! დიდი მადლობა, რომ ემსახურებით საქართველოს!“ ქართველი დაჭრილი ჯარისკაცი აშშ-ის პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამაც მოინახულა.

– ბატონო მამუკა, ქართული საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილი თვლის, რომ ქართველების სამშვიდობო მისიაში მონაწილეობა არაა გამართლებული. ავღანეთის ომი სხვისია თუ ეს საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გარანტიაა?

– 4-მილიონიან საქართველოს ავღანეთში 1 600 სამხედრო ჰყავს, ჩვენი კონტიგენტის უდიდესი ნაწილი ჰელმანდის პროვინციაში იბრძვის. ეს პროვინცია მხოლოდ ავღანეთის კი არა, მსოფლიოს ყველაზე ცხელი წერტილია, შესაბამისად, იქაა საბრძოლო დანაკარგის ყველაზე დიდი საფრთხე. სამწუხაროდ, საქართველო ჯერ არავის გადაურჩენია რუსეთისგან, მაგრამ ჩვენი ვალია, დასავლელ მოკავშირეებს საერთაშორისო მშვიდობის დამყარებაში დახმარება გავუწიოთ და, ამავდროულად, წლების განმავლობაში ჩვენი ქვეყნისადმი გაწეული დახმარებისთვის მადლიერება გამოვხატოთ. დახმარება გამოიხატებოდა და გამოიხატება ყველა სფეროში: თავდაცვა, ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, განათლება და ა.შ. დიდი ფასი, მსხვერპლი გაიღო საქართველომ საერთაშორისო მისიებში, მაგრამ ჩვენი მონაწილეობა აუცილებელია. საქართველო ნატო-ს წევრი, ადრე თუ გვიან, გახდება, მისიებში მიღებული გამოცდილება კი, ჩვენს ჯარს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენ ბრძოლებში გამოადგება!

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

საზოგადოება

ყავა „JACOBS“-ში რადიოაქტიური ნივთიერებები აღმოაჩინეს

უცხოეთიდან უხარისხო და ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქტი შემოდის, რაც სიმსივნის წინაპირობაა. მაინც, რომელ პროდუქტს უნდა ვერიდოთ და რას უნდა მივაქციოთ ყურადღება? – „ქართულ სიტყვას“ უფლებადამცველი, „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გია ბურჯანაძე ესაუბრა:

– არავისთვის უცხო არაა, რომ საქართველოში ისეთი არაჯანსაღი პროდუქტი შემოდის, რომელიც ნორმალურ, ცივილურ ქვეყნებში გამოუსადეგარია. მაგალითად, ე.წ. გაყინული ქათამი გაჯერებულია 6 ქალური ჰორმონით, მათ შორის, პროგესტერონით, რომლის მიღებაც მამაკაცებისთვის საფრთხეს წარმოადგენს. თუ ასეთი სახის ქათამს ხშირად მიირთმევს, მამაკაცის ჰორმონი – ტესტოსტერონი იმ ზღვრამდე დაეცემა, რომ მისი აღდგენა შეუძლებელია.

– ბატონო გია, ამის თქმის საფუძველს რა გაძლევთ?

– მივიღეთ ინფორმაცია, რომ ტრანსპორტირებისას ერთ-ერთ მეწარმეს პრობლემა შეექმნა – დიდი ღელვის გამო, გაყინული ქათმის ბარკლები ზღვაში ჩაიყარა, თუმცა ამოიღეს და ასეთი პროდუქტით დატვირთული გემი ფოთის პორტში შემოვიდა, ბარკლები კი, სარეალიზაციო ბაზარზე გავიდა. 2 წლის წინ, ასევე, გვქონდა შემთხვევა, როცა ქათმის ბარკლებს, ვარგისიანობის ვადა 8 აგვისტოს ჰქონდა ამოწურული, სარეალიზაციო ქსელში კი, 12-13 აგვისტოს გაიტანეს. კანონმდებლობით, როცა ვადა ეწურება, პროდუქტი ან უკან უნდა დაბრუნდეს, ან განადგურდეს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეკითხვები გავუგზავნეთ, გვაინტერესებდა, თუ სად წავიდა ვადაგასული ბარკლები, მაგრამ მისგან პასუხი ვერ მივიღეთ.

– გაყინული ქათმების ვარგისიანობაზე ვინმემ კვლევა ჩაატარა?

– დავეყრდნოთ ონკოლოგებს, ექსპერტებს და იმ სხვა სპეციალისტებს, ვინც ამ სფეროში მუშაობენ და აღნიშნავენ, რომ ხშირად სიმსივნური წარმონაქმნი უხარისხო საკვები პროდუქტებისგან მომდინარეობს. მეტიც, სამედიცინო სფეროს ექსპერტებმა, ვინც საკვები პროდუქტების ვარგისიანობას იკვლევენ, დაადგინეს, რომ ფეხმძიმეებს მუცელი უმეტესად უხარისხო საკვები პროდუქტების მიღების გამო ეშლებათ.

მსოფლიო მასშტაბით ლაბორატორიული კვლევის ობიექტი გავხდით. ისეთი დიდი ერი არ ვართ, რომ ჩვენზე საექსპერიმენტო კვლევები აწარმოონ. სოფელი ყველას გვაქვს და ვიცით, რომ ქათმის გაზრდას დრო სჭირდება. ამიტომ, როცა ერთ თვეში ქათამი 5-6 კილოგრამს აღწევს და ინდაურზე დიდია, უნდა მივხვდეთ, თუ რაშია საქმე. ქათმის საკვებში ურევენ დანამატებს, რომლებიც ხელს სწრაფ ზრდას უწყობს. სამწუხაროდ, ვიცით, რომ პროდუქტი უხარისხოა, მაგრამ მაინც ვყიდულობთ, რადგან არ გვაქვს საშუალება, სოფლის ნატურალური პროდუქტი მივიღოთ.

– ბატონო გია, გამოდის, რომ სურსათის უვნებლობის სამსახური და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად არაფერს აკეთებენ?

– მათ მიმართ ძალიან დიდი პრეტენზიები მაქვს. 2-3 წლის წინ, როცა სურსათის უვნებლობის სამსახური ბიუჯეტიდან 200 000 ლარს იღებდა, სააკაშვილმა განაცხადა, სანიტარული სამსახურის არსებობა საჭირო არაა, ვინაიდან იქ კორუმპირებული სისტემა ჩამოყალიბდაო, ანუ თუკი რესტორნის სასადილოში ვირთხას ნახავ, იქ მეორედ არ შეხვიდეო – ამ მდგომარეობამდე სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ მიგვიყვანა.

ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, მოვითხოვეთ და სურსათის უვნებლობის სამსახურს ბიუჯეტი ნახევარი მილიონით გაეზარდა. მიუხედავად ამისა, მისი მუშაობა მაინც არ გაუმჯობესებულა. ეს ხალხი პრემიების გამოწერითაა დაკავებული და არ ფიქრობს, თუ როგორ უნდა გაამკაცროს შემოტანილ პროდუქტზე კონტროლი.

– სხვა იმპორტირებულ პროდუქტზე რას იტყვით?

– როგორც გაირკვა, იმპორტირებული ხორცის ფარში, დაახლოებით, 20-25% დაფშვნილი ძვალია. მომხმარებელი მოტყუებულია, როცა ჰგონია, ხორცის ფარშს ყიდულობს. დიახ, იმპორტირებული ხორცის ფარში ფალსიფიცირებულია, მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ხორც-პროდუქტების კომპანიები სწორედ ამ ფარშს იყენებენ. ამას წინათ, 10 დასახელების ბრენდულ ძეხვეულზე ტესტი ჩატარდა და საგანგაშო შედეგი მივიღეთ: ცხრამ ფერი შეიცვალა და გაშავდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პროდუქცია სახამებლით იყო გაჯერებული.

– ანალოგიური ტესტის ჩატარება სახლის პირობებშიც შეგვიძლია?

– დიახ, შეგვიძლია – უმარტივესი გასაკეთებელია: ხორცს იოდის რამდენიმე წვეთი აპკურეთ და თუ ფერი შეიცვალა, ხორცის ფარში, ე.ი. სახამებლითაა გაჯერებული.

ყავის ერთ-ერთ სახეობას ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა და აღმოჩნდა, რომ რადიოაქტიულ ნივთიერებებს – რუბიდიუმს, სტრემციუმს და კადრიუმს შეიცავს.

– რომელი სახეობის ყავაზე საუბრობთ?

– კვლევა ყავა „JACOBS“-ზე ჩატარდა. კვლევის შედეგები სოფლის მეურნეობის და სურსათის უვნებლობის სააგენტოს გადავუგზავნეთ. ამის შემდეგ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ იგივე ყავაზე კვლევა რომელიღაც შპს-ს ჩაატარებინა და მომივიდა პასუხი, ბატონო გიორგი, რადიაციული ნივთიერებები უნდა იყოს პროდუქტში, მაგრამ ნორმის ფარგლებშიო და ეს მაშინ, როცა „გე-პე-ი“-ს პროფესორები აღნიშნავენ, რომ ყავის გარკვეული დოზის მიღება ჯანმრთელობისთვის საშიშია.

– გავრცელებული ინფორმაციით, ბაგა-ბაღებშიც უხარისხო ხორცი შედის...

–დიახ, ბაგა-ბაღებში უვარგისი საკვები შედიოდა და პატარებს წლების განმავლობაში წამლავდნენ. კიდევ კარგი, შესაბამისმა სამსახურებმა მხარი აგვიბეს – ხსენებული დარღვევები შეისწავლეს და დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, უხარისხო პროდუქტი ქსელიდან ამოიღეს, თუმცა სურსათის უვნებლობისა და ბაღების მართვის სააგენტოს შეკითხვები გაუჩნდათ, ასევე, ზოგიერთი ბაღის დირექტორსაც.

რამდენიმე დღის წინ, სურსათის უვნებლობის სააგენტო, ჩვენს მასალებზე დაყრდნობით, 121-ე ბაგა-ბაღში შევიდა. საკვები პროდუქტებიდან აღებული ნიმუშები ლაბორატორიაში გადაიგზავნა და დადასტურდა, რომ ეს პროდუქტები ნამდვილად უხარისხო იყო.

– კერძოდ, რომელი სახეობის პროდუქტი იყო გაფუჭებული?

– ბაღში მატლიანი ხორცი შეჰქონდათ.

სხვათა შორის, 123-ე ბაღშიც ვიყავით, სადაც, კამერების გამოჩენაზე, დირექტორმა ერთი ამბავი ატეხა. მერე, ულტიმატუმი წამოგვიყენა, სამზარეულოში მხოლოდ ერთი ადამიანი შემოვიდესო. შევედი და პირობები არ მომეწონა. როგორც გავიგე, ეს ბაღიც უხარისხო ხორცით მარაგდებოდა.

– ყველაფერ ამაზე პასუხისმგებლობას ვის აკისრებთ?

– პასუხი, რა თქმა უნდა, მერიის შესაბამისმა სამსახურებმა და იმ მაღალჩინოსნებმა უნდა აგონ, რომლებმაც ამ ადამიანებს უფლება მისცეს, რომ კორუფციული სქემა ჩამოეყალიბებინათ. ისინი ჩვენს პატარებს სისხლს წურბელებივით წოვენ. ხალხო, გარწმუნებთ, საბავშვობაღებში ისეთი პროდუქტები შეაქვთ, რომელთაც თავიანთ შვილებს არ აჭმევენ, მაგრამ ეს დახურული სივრცე უკვე გავხსენით და ამიერიდან ნებისმიერ მშობელს შეუძლია, ბაღში მივიდეს და დაინტერესდეს, მის შვილს რას აჭმევენ.

ბოლო დროს ვამბობდი, რომ ბაგა-ბაღებში 7-ლარიანი ხორცი შედიოდა, სინამდვილეში კი, იმ ხორცის თვითღირებულება, რომელსაც რიგ ბაგა-ბაღებში ბავშვებს აჭმევენ, 3-დან 4 ლარამდეა. არადა, სახელმწიფოს კილოგრამი ხორცისთვის 14 ლარი და 80 თეთრი აქვს გამოყოფილი.

– ბატონო გია, თქვენი ინფორმაციით, ეს თანხა ვისთან მიდის?

– ეს თანხა რამდენიმე ადამიანის ჯიბეში მიდის. პირდაპირ გეტყვით: პრეტენზია მაქვს სურსათის უვნებლობისა და ბაღების მართვის სააგენტოებთან. მათი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა მხოლოდ სამსახურიდან დათხოვნით შემოიფარგლება. არადა, უნდა დაიჭირონ, რომ ასეთი რამ სხვებმა აღარ გაბედონ.

ესაუბრა ნათია ლეგანიძე

12 | № 12 (276) | 25- 31 მარტი 2015

ალიონი

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ზელოჰნეჯა. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

საქართველოდან დანახული ჰეიდარ ალიევი

ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გახსნა, 199 წელი

წელს, 10 მაისს, აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტისა და საზოგადო მოღვაწის, ჰეიდარ ალიევის დაბადებიდან 92 წელი სრულდება... ყველა, ვინც საქართველოსა და აზერბაიჯანის უახლეს ისტორიაში ერკვევა, ერთხმად აღიარებს, რომ ჰეიდარ ალიევმა, ედუარდ შევარდნაძესთან ერთად, საფუძველი მხოლოდ აზერბაიჯანისა და საქართველოს კი არა, მთელი ამიერკავკასიის თანამედროვეობას ჩაუყარა. ყოველ შემთხვევაში, ის ენერგეტიკული დერეფანი, რომელიც ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენითა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენითაა ცნობილი, სწორედ ალიევ-შევარდნაძის დამსახურებაა. მაინც, ვინ იყო და როგორია ქართველების თვალით დანახული ჰეიდარ ალიევი? – „ქართული სიტყვა“ იწყებს საპილოტო პროექტს, რომელსაც პირობითად „ცეცხლოვანი რაში“ დავარქვით (თუ რატომ „ცეცხლოვანი რაში“, ამას წინამდებარე დოკუმენტური ნოველიდან შეიტყობთ)... მაშ ასე, დღეიდან, ყოველ ოთხშაბათს, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ყველაზე მასშტაბურ ამბებს მოგიყვებით...

შუაღამე გადასულია... ქარების ქალაქი გვიანი სექტემბრის სურნელით ტკბება... კალენდარზე 1995 წელი წერია...

სახელმწიფო მეთაურის რეზიდენცია ისეა გაჭახჭახებული, იფიქრებ, წვეულებააო, მაგრამ იქ ნამდვილი ნერვების ომია... 15 რუს გენერალს მოთმინების ფიალა ევსება... მასპინძელი სიმშვიდეს ინარჩუნებს... წამი-წამს მიჰყვება, წუთი – წუთს... სახელმწიფო მეთაურის თანაშემწე ღელავს – ტარიელი დერეფანში ბოლთას სცემს, არ იცის, რა ქნას, კაბინეტში შეხედვასაც ვერ ბედავს...

– აქამდე რატომ ვერ მოვიფიქრე? – ანაზდეულად ტარიელს გონება უნათდება. წამიც და, სასტუმრო „აზრბაიჯანის“ მეცამეტე სართულზე ელსმენი რეკავს.

– ვინ უნდა იყოს? – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა 36 წლის მამაკაცმა და ყურმილში ჩასძახა, – დიახ, გისმენთ.

– გიორგი, შენ ხარ?

– დიახ, რომელი ხარ?

– ტარიელი ვარ...

– ხომ მშვიდობაა? – გულმა რეჩხი უყო ქართველს.

– არ ვიცი... 12 საათია, ჰეიდარ ალიევი და 15 რუსი გენერალი კაბინეტში არიან ჩაკეტილნი... სახელმწიფო მეთაური, პრაქტიკულად, დატყვევებულია, – ბორძიკ-ბორძიკით წარმოსთქვა თანამოსაუბრემ და ყურმილში გაბმული ზუმერი გაისმა.

ქართველი დიპლომატის გონებაში წარსული კინოკადრებივით გარბის...

1977 წელია.

ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა ტრადიციად აქციეს – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პირველი პირები ხან ერთ რესპუბლიკაში ხვდებიან, ხან – მეორეში და ერთმანეთს მუშაობის გამოცდილებას უზიარებენ.

ამჯერად შეკრება თბილისში იმართება... მზიან საქართველოს აზერბაიჯანისა და სომხეთის ცეკა-ს მდივნები – ჰეიდარ ალიევი და კარენ დემირჭიანი სტუმრობენ. ედუარ შევარდნაძეს კოლეგები თბილისის საავიაციო ქარხანაში მიჰყავს – ახალი თვითმფრინავის, „მიგ 21“-ის წარმოება უნდა დაათვალიერებინოს. მაღალი რანგის სტუმრებს მოწინავე მუშახელი, პარტაქტივთან ერთად, ქარხნის შესასვლელში ხვდება. დამხვდურთაგან ერთ-ერთი საავიაციო ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილეა. შევარდნაძე, ალიევი და დემირჭიანი ხელს გიორგი ჭანტურიასაც ართმევენ...

შეხვედრა სააქტო დარბაზში გრძელდება. ტრიბუნასთან აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელი მიდის. ალიევი ამბობს, რომ კავკასიის სამ რესპუბლიკას – საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს საბჭოთა კავშირისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და, მართლაც, ასეა: აზერბაიჯანი „შავი ოქროს“ სამშობლოა, საქართველო კი, ინდუსტრიის მშენებელი რესპუბლიკაა: თბილისში ვაგონშემკეთებელი, ელმავალ და ჩარხმშენებელი ქარხნები გუგუნებენ, რუსთავში მეტალურგიული კომბინატი სრული დატვირთვით მუშაობს, ჭიათურასა და ზესტაფონში ძვირფასი წიაღისეულის გადამუშავება ხდება; შავი ზღვისპირა ქალაქებში – ბათუმსა და ფოთში კი, საპორტო ინდუსტრიაა გაშლილი. ამასთან, ბათუმში ნავთობგადამამუშავებელი კომბინატიც ფუნქციონირებს. თუკი ყველაფერ ამას სატანკო წარმოებასაც დავამატებთ, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ გოგირდისწყლიანი თბილისი, ქარიან ბაქოსთან ერთად, წითელი იმპერიის საფუძველთა საფუძველია!

იმხანად ახალგაზრდა კომკავშირელმა, ცხადია, არ უწყის, თუ რას უმზადებს ბედისწერა. ბუნებრივია, არც იმას დაიჯერებდა, იმ წამს ვინმეს რომ ეთქვა, გავა წლები და, ალიევის თანამოაზრე გახდებიო...

წლები, მართლაც, გავა და... გიორგი ჭანტურიას ბედისწერა ბაქოში ჩაიყვანს, თუმცა ეს უკვე სხვა ამბავია, სხვა პოლიტიკური ანტურაჟით, რომელსაც ეპოქალური მოვლენა უსწრებს – სისხლსა და ცრემლზე ნაგები „ერთ მუშტად შეკრული“ წითელი იმპერია თვალსა და ხელშუა ჩამოიშლება. ყოფილი მოძმე რესპუბლიკები დამოუკიდებლობის ბურანში გაეხვევიან და აი, სწორედ ამ დროს, რუსულ იმპერიულ „დე ჟავუს“ ახალი სუნთქვა ეხსნება – ბალტიისპირეთში, საქართველოსა თუ აზერბაიჯანში მორიგი სისხლიანი დრამა თამაშდება... ყოფილი საბჭოთა ფუნქციონერები – ჰეიდარ ალიევი და ედუარდ შევარდნაძე, ერთმანეთის მიყოლებით, იქ ბრუნდებიან, საიდანაც კარიერა დაიწყეს – სამშობლოში...

როგორც ალიევს, ასევე, შევარდნაძეს ხალხი იმედით ხვდება...

ყარაბაღში სისხლიანი ომია და, ლუციფერმა უწყის, როდის დამთავრდება...

საქართველოში ეს-ესაა, სამოქალაქო ომი დამთავრდა და... აფხაზეთი აფეთქდა...

ორივე ქვეყანა პოლიტიკური აპოკალიპსის ზღვარზეა...

მოვლენები უფრო ფატალურად საქართველოში ვითარდება...

მოაზროვნე საზოგადოება ხვდება, რომ გადარჩენის, უფრო კონკრეტულად, კრემლის კლანჭებისგან დახსნის ერთადერთი გზა დასავლეთია, მაგრამ როგორ, რითი უნდა მიიქციოს ერთი მუჭა არშემდგარმა სახელმწიფომ ბებერი ევროპის ყურადღება?

თბილისში, ბარათაშვილის ხიდთან, დიპლომატიური კლუბი იწყებს ფუნქციონირებას, რომელსაც მოგვიანებით, „ხომლს“ არქმევენ... ვაჟა ლორთქიფანიძე, აწ გარდაცვლილი გოგი ცომაია, თედო ჯაფარიძე და გიორგი ჭანტურია ერთმანეთს ყოველდღე თუ არა, დღეგამოშვებით მაინც ხვდებიან... მსჯელობენ... კამათობენ... გეგმებს აწყობენ...

ჭეშმარიტება კამათში იბადება! – ეს აქსიომა ამ შემთხვევაშიც ამართლებს და ოთხეული თანხმდება, რომ საქართველომ, თავისი გეოპოლიტიკიდან გამომდინარე, აღმოსავლეთისა და დასავლეთისთვის დერეფნის ფუნქცია უნდა შეასრულოს. დანამდვილებით არავინ იცის, ეს დერეფანი სარკინიგზო იქნება თუ საზღვაო, მაგრამ გოგი ცომაია, რომელსაც ტრანსპორტში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს – ერთხანობას ტრანსპორტის მინისტრის მოადგილეც იყო, ამბობს, რომ საქართველოს მომავალი სწორედ სატრანსპორტო მაგისტრალია.

ეს ის დროა, როცა ოკეანისგაღმელები ამიერკავკასიის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს ჯერ არ ამჟღავნებენ. ეს კი არადა, თბილისში სულ ერთი უცხოელია – ჯონ ვიტკინსონი, რომელთანაც ურთიერთობა ოთარ შამათავასა და ლაშა თაბუკაშვილს აქვთ...

მაშ, ასე: იდეა არსებობს, რომელიც რეალობად უნდა იქცეს, მაგრამ როგორ?

მთავარია, მიზანი არსებობდეს, თორემ გზა ყოველთვის გამოჩნდება. ეს გზა კი, რაღა თქმა უნდა, ედუარდ შევარდნაძეა – საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, ადამიანი, რომელმაც „ცივი ომის“ დრო მსოფლიო ღიმილით მოაჯადოვა და თავისი გურული დიპლომატიით დიპლომატიის პატრიარქები – ამერიკელებიც მოხიბლა.

– ყველაფერი ბატონ ედუარდს უნდა ვუთხრათ, – ასკვნის ოთხეული.

სახელმწიფო მეთაურთან შეხვედრა პრობლემას არ წარმოადგენს – ბოლოს და ბოლოს, გია ჭანტურია მისი მრჩეველია, ვაჟა ლორთქიფანიძე კი, – აპარატის უფროსი.

შემომგლისფერდა...

„იმელის“ შენობაში ოთხი ლანდი შედის...

ედუარდ ამბროსის ძე მოსულებს თვალით ანიშნებს, არაფერი თქვათო და აივანზე გასასვლელ კარს აღებს.

აივანი პატარაა, იმდენად პატარა, რომ ხუთი კი არა, ორი ადამიანიც ძლივს დაეტევა, მაგრამ ნათქვამია, საბანი ისე დაიფარე, როგორც გაგწვდებაო. ჰოდა, „საიდუმლო სერობის“ მონაწილენიც „საბანს იწვდენენ“. სხვა უფლებაც არ აქვთ – ყველამ იცის, რომ ჩრდილოეთელი „კეთილისმსურველნი“ ყველას და ყველაფერს უთვალთვალებენ, უსმენენ, ლუპის ქვეშ ატარებენ... ამიტომ, ოთხეული ზემოხენებულ გეგმას შევარდნაძეს სწორედ აივანზე აცნობს.

– გია, – ხანმოკლე პაუზას ამბროსის ძე არღვევს.

– დიახ, ბატონო ედუარდ.

– ვიცი, აზერბაიჯანში მეგობრები გყავს...

– რა თქმა უნდა, – გია ჭანტურია, თანხმობის ნიშნად, თავს უქნევს, თან უკვირს, ნეტავ, საიდან გაახსენდა, რომ ბაქოში ვსწავლობდიო.

იმხანად, როცა ახალგაზრდა, პერსპექტიული და იმედისმომცემი ახალგაზრდა, გიორგი ჭანტურია პარტიამ ბაქოს უმაღლეს პარტსკოლაში გააგზავნა, რესპუბლიკის მეთაურის სტატუსი აღარც ედუარდ შევარდნაძეს ჰქონდა და აღარც – ჰეიდარ ალიევს. ორივე ცენტრში, ესე იგი, კრემლში მოღვაწეობდა, თან მაღალ თანამდებობაზე: შევარდნაძე საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ, ალიევი – საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

მერე, წლები რომ გავა, საბჭოთა კარიერაზე უარს ორივე ნებით იტყვის – ჰეიდარი თანამდებობას 1987 წელს დატოვებს, ედუარდიც გადადგება, ოღონდ რამდენიმე წლის შემდეგ, ე.წ. მოსკოვის გეკა-ჩეპეს ბუნტის დროს.

– დიქტატურა მოდის! – იტყვის მამათელი პედაგოგის ვაჟი და კომუნისტებით გაძეძგილ დარბაზს დატოვებს.

ჰეიდარიც პროტესტანტია – გორბაჩოვის ხუშტურებს ორი წელი ითმენს. ბოლოს, „რევერანსები“ ყელში ამოუვა და თანამდებობაზე უარს სწორედ ყარაბაღის ომის დაწყების გამო იტყვის...

ისე, ორი კავკასიელის ბიოგრაფია ერთმანეთს რაღაცით ჰგავს:

ედუარდ შევარდნაძე საქართველოს დასავლეთ პროვინციაში, გურიის სოფელ მამათში, პედაგოგის ოჯახში დაიბადა... საფერშლოზე სწავლობდა და პარტიული წინსვლა, ალბათ, აზრადაც არ მოსვლია...

ჰეიდარ ალიევიც პერიფერიიდანაა – მართალია, ნახიჭევანი წითელი აზერბაიჯანის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრია, მაგრამ მაინც პერიფერიად ითვლება. მშობლები ტიპური საბჭოთა მოქალაქეები არიან: დედა დიასახლისია, მამა – მოსამსახურე. მეოთხე შვილს ჰეიდარს არქმევენ...

მომავალი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე კარგი მოწაფეა. სკოლის დამთავრების შემდეგ, საბუთები ბაქოს უნივერსიტეტში, არქიტექტურის ფაკულტეტზე შეაქვს. არავის სჯერა, რომ ნახიჭევანელი ბიჭი სტუდენტი გახდება, მაგრამ ჰეიდარი, აშკარად, იღბლიანია – მისაღებ გამოცდებს წარმატებით აბარებს...

ნახიჭევანიდან ბაქო შორსაა – ქარების ქალაქში მხოლოდ ავტობუსი დადის. მგზავრობა ხანგრძლივი და დამქანცველია. ამიტომ, უმჯობესია, მატარებლით ისარგებლოს, მაგრამ ავტონომიური რესპუბლიკიდან დედაქალაქამდე ლიანდაგები არაა. „პოეზდს“ თბილისამდე უნდა გაჰყვეს. იქ, რამდენიმე საათი, ვაგზალზე იყურყუტოს და მერე, ბაქოს მატარებელში გადაჯდეს. უდავოდ, მომქანცველი მარშრუტია, მაგრამ მომავალი ლიდერი სწავლასაა მოწყურებული. არ იღლება – ნახიჭევანიდან თბილისამდე, თბილისიდან ბაქომდე გადაჭიმულ კილომეტრებს კვირაში ორჯერ, ყოველ პარასკევსა და კვირას „კეცავს“...

მატარებელში მხიარულებაა – ქართველები პურ-მარილს შლიან და დრო ისე გადის, ვერც გაიგებ. ახალგაზრდა ჰეიდარი ქართული სუფრის მადლს ეზიარება და მერე, დრო რომ გავა, გია ჭანტურიას ეტყვის:

– ქართულ სადღეგრძელოს არაფერი შეედრება!

ალიევი საქართველოს დედაქალაქში მეგობრებსაც იჩენს – თბილისის ვაგზლის „გრუშჩიკებმა“ იციან, რომ ეს წარმოსადეგი, სიმპათიური ახალგაზრდა აზერბაიჯანელი ჰეიდარია, რომელიც ბაქოში, არქიტექტურულზე სწავლობს... აზერბაიჯანის მომავალი პირველი პირი, რამდენიმესაათიან თბილისურ ტაიმ-აუტს უქმად არ კარგავს – ფიროსმანის ქუჩას, პლეხანოვსა და, საერთოდ, ვაგზლის მიმდება-

გაგრძელება მე-13 გვ.

ᲪᲔᲪᲮᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲐᲨᲘ

ᲛᲔ-12 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

რე ტერიტორიას ძირისძირობამდე სწავლობს. საქართველოს დედაქალაქში ნათესავები ჰყავს – შეუძლია, შეუაროს, მოინახულოს, დაისვენოს, მაგრამ რა დროს დასვენებაა – თბილისის ლანდშაფტი და არქიტექტურა ხომ თვით ღმერთების შექმნილია! ჰოდა, ჰეიდარიც „ღვთის ნახელავით“ ტკბება...

– ქართველებს ულამაზესი ქალები გყავთ, – ეტყვის წლების შემდეგ ჰეიდარ ალიევი თავის ქართველ თანამოაზრეს, აზერბაიჯანში საქართველოს ელჩს, გიორგი ჭანტურიას, რომელსაც სთხოვდა, რომ სხვადასხვა ქვეყნის ნავთობკომპანიებთან გამართულ ყველა მნიშვნელოვან მოლაპარაკებას დასწრებოდა. კავკასიური პოლიტიკის ერთ-ერთი პატრიარქი ქართველ შეგირდს არც იმას დაუმალავს, რომ ქართული პოეზია ღმერთების ენითაა დაწერილი.

– „მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი, გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი“ – უთხრა ერთხელ გია ჭანტურიას აზერბაიჯანის ლიდერმა. ქართველი დიპლომატი დაიბნა და ვიდრე რამეს ჰკითხავდა, თანამოსაუბრემ დააკვალიანა, – გიორგი, აი, ბარათაშვილი პირველად სტუდენტობის დროს წავიკითხე, სხვათა შორის, პასტერნაკსაც მაშინ გავეცანი...

– საქართველო ამ კაცისთვის ნამდვილი ბედისწერაა! – გაიფიქრებს გია ჭანტურია მას შემდეგ, რაც ჰეიდარ ალიევი განჯაში, სადაც ნიკოლოზ ბარათაშვილი მოღვაწეობდა, ქართველი რომანტიკოსის სახლ-მუზეუმს აღადგენს და გახსნის.

ჰეიდარ ალიევი მხოლოდ ბარათაშვილს კი არა, საქართველოს ისტორიასაც კარგად იცნობს და, რასაკვირველია, 1918 წლის მაისის მოვლენებიც იცის: 26 მაისს, მეფისნაცვლის სასახლეში (დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი) საქართველოს პირველი რესპუბლიკა ოფიციალურად ფორმდება. ორიოდ დღის შემდეგ კი, 28 მაისს, იმავე დარბაზში დამოუკიდებლობას აზერბაიჯანის პოლიტელიტაც აცხადებს. ასე იბრუნებს ისტორიული აზერბაიჯანი თვითმყოფადობას, რომელიც ორ საუკუნეზე მეტია, რუსი იმპერიალისტების საჯიჯგნ-სათრევია. დამოუკიდებელი აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრად საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი თოფჩიბაშევი ინიშნება...

ხანდახან, როცა მარტოა, ჰეიდარ ალიევი გონებაში ისტორიის ფოლიანტებს ფურცლავს... მირზა ფათალ ახუნდოვის პოეზია ახსენდება... მირზა თბილისშია დასაფლავებული – მის საფლავზე არაერთხელ ყოფილა. გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორი, უზეირ ჰაჯიბეკოვიც საქართველომ დააფრთიანა – გორში სწავლობდა, მერე, ზაქარია ფალიაშვილისა და სხვა გენიოსი ქართველების წრეში მოხვდა...

...ხვალ თუ ზეგ ჰეიდარ ალიევის დაბადების დღეა – 75 წელი უსრულდება. ქართული სახელმწიფოს მეთაური, ედუარდ შევარდნაძე და აზერბაიჯანში საქართველოს ელჩი, გიორგი ჭანტურია თანხმდებიან, რომ მეგობარსა და საქართველოს დიდ გულშემატკივარს სიურპრიზი გაუკეთონ... ამას წინათ, დიპლომატმა მოქანდაკე გია ჯაფარიძესთან ორიგინალური ქანდაკება ნახა: შუაზე გაგლეჯილი მინიდან ცეცხლოვანი რაში ამოდის – ეს კომპოზიცია რაღაცით ალიევს, მის ხასიათსა და ცხოვრებას ჰგავს... ჭანტურია შევარდნაძეს სთავაზობს, რომ ჰეიდარს იუბილე სწორედ ამ „ცეცხლოვანი რაშით“ მიულოცონ. შევარდნაძეს იდეა მოსწონს...

ყველაფერი გასაიდუმლოებულია – ქანდაკების დამზადება-დამონტაჟების შესახებ მხოლოდ რამდენიმემ უწყის. 10 მაისს კი, ჰეიდარ ალიევი იგებს, რომ მეგობრებმა „ცეცხლოვანი რაში“ აჩუქეს. სხვათა შორის, ქარების ქალაქში ეს ცხენის პირველი ქანდაკებაა...

– გია, – ედუარდ შევარდნაძე „იმელის“ აივნიდან მთაწმინდას გაჰყურებს, – ვფიქრობ, აზერბაიჯანში ფოთის პორტის ხელმძღვანელ, ვალერი გეგიძესთან ერთად უნდა წახვიდე და სატრანსპორტო დერეფნის საკითხი გააააქტიურო.

ასე და ამგვარად: ორი ქართველი ემისარი – გია ჭანტურია და ვალერი გეგიძე გეზს ქარების ქალაქისკენ იღებენ... თბილისის აეროპორტი, პრაქტიკულად, არ მუშაობს. დესპანები იძულებულნი არიან, მეზობლებს ავტომანქანით ესტუმრონ. საწვავს ვალერი გეგიძე შოულობს.

ვიზიტი გასაიდუმლოებულია...

– ბაქოში ნატიკი გვიმასპინძლებს, ალიევი, – მტკიცედ ამბობს გია ჭანტურია, – ერთმანეთს დიდი ხანია, ვიცნობთ, კარგი პიროვნებაა, ვმეგობრობთ... სხვა ბაქოელ ძმებსაც მოვინახულებ.

– მაინც, ვის? – ინტერესდება გეგიძე.

– ელდარ აზიზოვს.

– მაგასაც მოსკოვიდან იცნობ?

– არა. თბილისის და ბაქოს კომკავშირის ქალაქკომის მდივნები ერთ პერიოდში ვიყავით, – ამბობს ჭანტურია და ბაქომდე ხმას აღარ იღებს.

რწმუნებათა სიგელების გადაცემა, 1995 წელი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დაგეგმვა, 1996 წელი

ელდარ აზიზოვი მონატრებულ მეგობარს გულღიად ხვდება და ჰპირდება, რომ ილხამს შეახვედრებს. ილხამი ჰეიდარ ალიევის ვაჟია, აზერბაიჯანის საინვესტიციო კომპანიას ხელმძღვანელობს. უფროსი ალიევი კი, ნახიჭევანის ავტონომიური ოლქის მეჯლისის თავმჯდომარე და, ავტომატურად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილე, ანუ ვიცე-სპიკერია.

ბაქოს „ინტურისტში“ საქმიანი შეხვედრა ოთხი საათი გრძელდება. ქართველები მასპინძლებს არწმუნებენ, რომ საქართველო-აზერბაიჯანი მსოფლიოსთვის დერეფანი უნდა გახდეს. მოგვიანებით, მოლაპარაკებაში აზერბაიჯანის ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენლებიც ერთვებიან. გია ჭანტურია ამ სფეროში დილეტანტია, აი, ვალერი გეგიძეს კი, ვერაფერს გამოაპარებთ.

– ტვირთების საქმე როგორაა? – ინტერესდება ვალერი და მასპინძლებს სრულიად შოკისმომგვრელ იდეას სთავაზობს, – წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ შუააზიის ქვეყნები რუსეთს ჩამოვაშოროთ და ფოთს მივაბათ?

მასპინძლები დუმან.

დუმილი, როგორც წესი, თანხმობის ნიშანია.

მაშასადამე, აზერბაიჯანელი მეგობრებისთვის ქართველების იდეა მისაღებია.

საქართველო უფლის წილხვედრი ქვეყანაა. აზერბაიჯანი კი, უძველესი ალბანეთია. უფლის საყვარელი მოციქული ბართლომე სწორედ იქ აწამეს, სადაც ახლა ბაქოა გაშენებული...

თავისუფლების ხიბლი სწორედ წამებაშია!

საქართველო და აზერბაიჯანი თავისუფლებისკენ ილტვიან!

ჰოდა, ამ გზაზე წამება რა სახსენებელია?!

ამ ქვეყნებს იესო და მუჰამედი მფარველობენ...

ქართველებისა და აზერბაიჯანელების მეგობრობა ზეცაშია ნაკურთხი!

ეს ჰეიდარ ალიევმაც იცის და... 90-იანი წლების მიწურულს, ბაქოში, სამთავრობო რეზიდენციაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს უმასპინძლებს. აზერბაიჯანელი ხალხის ლიდერი და ქართველთა სულიერი მოძღვარი დიდხანს, ძალიან დიდხანს საუბრობენ, მეგობრდებიან... მერე, როცა სატრანსპორტო დერეფანთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ხოლმე, ჰეიდარი გია ჭანტურიას უხმობს და ეუბნება:

– გიორგი, თქვენი პატრიარქი ბრძენია... შეგიძლია, ჰკითხო, ამ და ამ საკითხზე რას ფიქრობს?!

– რა თქმა უნდა, ვკითხავ! გამოცდილმა და მრავლისმნახველმა მოღვაწემ, ჰეიდარ ალიევმა გია ჭანტურიას 1996 წლის იანვარშიც უხმო, უფრო სწორად, დაურეკა და ჰკითხა:

– შეგიძლია, თბილისში ჩახვიდე და ედუარდ ამბროსის ძეს მხარდაჭერა სთხოვო?

– რა თქმა უნდა, – მკვირცხლად მიუგო ქართველმა დიპლომატმა და წამიერი პაუზის შემდეგ, დასძინა, – ხომ მშვიდობაა, ბატონო პრეზიდენტო?

– თუ შეიძლება, ამას მშვიდობა ერქვას, მაშინ მშვიდობაა: ხორბლის ორი დღის მარაგიღა გვაქვს. თუ საქართველო არ მოგვაშველებს, შიმშილი გარდაუვალია!

ქარების ქალაქში ბარდნის...

საქართველოშიც თოვს...

ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკა – საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი ოკეანისგაღმიდან, ჰუმანიტარული დახმარების სახით, ხორბალს იღებს. ტვირთი ფოთის პორტში გემებით შემოდის და რკინიგზით ნაწილდება. საქართველოში „მხედრიონი“ და სხვა ბანდფორმირებები თარეშობენ... არავინ დაგიდევს, ხორბალი ვისია – ქართველების, აზერბაიჯანელებისა თუ სომხების კუთვნილს ერთნაირად იპარავენ...

რამდენიმე საათის შემდეგ, მოვლენების ეპიცენტრი თბილისის აეროპორტია: ედუარდ შევარდნაძე უცხოეთში მიფრინავს. ბედად, ბაქო-თბილისის რეისი დროზე ეშვება... გია ჭანტურია ედუარდ შევარდნაძეს აეროპორტშივე ხვდება. დიპლომატი, რომელმაც გერმანიის გაერთიანება შეძლო, ყურადღებით უსმენს...

ამბობს: – ყველაფერი გასაგებია. აუცილებლად უნდა დავეხმაროთ!

გია ჭანტურია, აზერბაიჯანელ სტუმრებთან ერთად, სამტრედიაში მიდის, მთელი ღამე მუხლებამდე თოვლს კვალავენ და... 11 ვაგონ ხორბალს აგროვებენ. ეშელონი გეზს ბაქოსკენ იღებს.

– თვითმფრინავით გავემგზავროთ, – სთავაზობს ჭანტურია სტუმრებს.

– ჯობია, ხორბალს გავყვეთ, – პასუხობენ...

– კი ბატონო...

ყველაფერი „ჰეფი ენდით“ დამთავრდება – აზერბაიჯანი შიმშილს გადაურჩება და... დიპლომატიურ შეხვედრებზე ჰეიდარ ალიევი ხუმრობს ხოლმე:

– მართალია, დიპლომატები თვითმფრინავებით მგზავრობენ, მაგრამ როცა საქმე მეგობრობას ეხება, თავს ხორბლით დატვირთულ ვაგონებშიც კომფორტულად გრძნობენ!

ასეთ დროს გია ჭანტურიას სიამაყის განცდა ეუფლება... ამაყია, ამაყი, რადგან ბედისწერამ მე-20 საუკუნის ორ უდიდეს დიპლომატსა და პოლიტიკოსთან – ედუარდ შევარდაძესა და ჰეიდარ ალიევთან მეგობრობა არგუნა!

– ისინი ერთმანეთის დასაყრდენები იყვნენ, – ამ სიტყვებს გია ჭანტურია მაშინ იტყვის, როცა ალიევი და შევარდნაძე ცოცხლები აღარ იქნებიან, თუმცა გარდაცვალებამდე დიდი დროა, ჯერ ჰეიდარ ალიევმა საქართველო გაყინვას უნდა გადაარჩინოს, ედუარდ შევარდნაძემ კი, ძველი მეგობარი 15 რუსი გენერლის ტყვეობიდან უნდა იხსნას...

ამ დრამატულ ამბებამდე კი, ჰეიდარ ალიევი ცდილობს, აზერბაიჯანში სამოქალაქო ომი არ დაუშვას: როგორც ვიცე-სპიკერი პრეზიდენტ აბულფაზ ელჩიბეისთან მოლაპარაკებას მართავს...

პოლკოვნიკი სერეთ ჰუსეინოვი სულსწრაფია – განჯიდან ტანკებით იძვრება და ბაქოს ალყაში აქცევს.

აზერბაიჯანში კლასიკური სახელმწიფო გადატრიალება თამაშდება...

ელჩიბეი ემიგრაციაში მიდის.

ხალხი დარწმუნებულია, რომ შექმნილი სიტუაციიდან ქვეყანას ერთადერთი ადამიანი გამოიყვანს. ეს ადამიანი ჰეიდარ ალიევია – აზერბაიჯანის სახელმწიფო უშიშროებისა და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების ყოფილი პირველი მდივანი, სკკპ ცეკა-ს პოლიტბიუროს ყოფილი წევრი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე...

ასე და ამგვარად: ხალხი უკეთეს მომავალს ირჩევს – 1993 წელს, ჰეიდარ ალიევი, პირველი ვადით, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ხდება. ამ დროს ის 70 წლისაა. მოსახლეობა პრეზიდენტის მანდატს 1998 წელს მეორედაც ანდობს...

და საბედისწერო 1996 წელიც დგება...

სექტემბრის მიწურული...

პრეზიდენტის რეზიდენცია...

15 რუსი გენერალი ჰეიდარ ალიევს საკუთარ კაბინეტში ატყვევებს...

მადლობა ღმერთს, ალიევის თანაშემწე ტარიელმა მოიფიქრა და გია ჭანტურიას დაურეკა. კიდევ კარგი, არც ჭანტურია დაიბნა და კომუტატორის ოპერატორს ლამის შეეხვეწა, სასწრაფოდ, თბილისთან დამაკავშირეო...

– „ვე-ჩე“-ზე გია რეკავს, ჭანტურია, – ახსენებენ სახელმწიფოს მეთაურს.

ედუარდ შევარდნაძეს ალღო არასოდეს ღალატობს – ახლაც ხვდება, რომ ელჩი კარგს არაფერს ეტყვის და ყურმილს იღებს...

ᲕᲐᲜᲝ ᲞᲐᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

№ 12 (276)
25-31 მარტი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ხალხი სამართალს ითხოვს!

„რომ მომკლან, ხალხო, იცოდეთ, სისხლისმსმელი რეჟიმი უნდა დავამხოთო!“

„ქართული სიტყვა“ წინა ნომერში დაწყებულ თემას განაგრძობს და ელიზბარაშვილების ოჯახის წინააღმდეგ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ შემუშავებულ იმ მზაკვრულ გეგმას გაგაცნობთ, რომელიც, როგორც „შენელებული მოქმედების ნაღმი“ დღემდე მოქმედებს. ამ გეგმის განხორციელებას, როგორც ადვოკატი ელზა ჯმუხაძე ამბობს, თავისი დანაშაულებრივი ქმედებით, უფრო სწორად, უმოქმედობით, ხელს თბილისის პროკურატურაც უწყობს. „ყველაფერ ამის შედეგი კი ისაა, საქართველოში ფსიქიატრია, როგორც დარგი, განადგურდა!“ — აცხადებს „ქართულ სიტყვასთან“ ადვოკატი ელზა ჯმუხაძე.

ვინ არის „ტეკილა“, რა დამსახურებისთვის დანიშნეს თბილისის პროკურორის მოადგილედ და რატომ გაანადგურეს „ნაციონალებმა“ ქართული ფსიქიატრია

— ელზა, ამტკიცებთ, რომ ერთ კონკრეტულ ოჯახთან ბრძოლით საქართველოში ფსიქიატრია, როგორც დარგი განადგურდა. ელიზბარაშვილების წინააღმდეგ ე.წ. შენელებული მოქმედების ნაღმი კი დღესაც მოქმედებს. არადა, როგორც ვიცი, თამაზ ელიზბარაშვილის საქმე დასრულდა — მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დადგა და წართმეული 6 მილიონი ლარიც დაიბრუნა...

— თუ ნებას მომცემთ, თხრობას შორიდან დავიწყებ: თამაზ ელიზბარაშვილს ბავშვობიდან ვიცნობ და კარგად ვიცი, რომ მისი „პრობლემა“ ყველა დროსა და სივრცეში მისი შეუპოვარი ხასიათია. თამაზს, როცა ხედავს, რომ რაღაც ისე არაა, როგორც უნდა იყოს, საკუთარი ტყავის გადასარჩენად, გაჩუმება არ შეუძლია... თავისი ცნობილი ბიზნესი, 90-იან წლებში დაიწყო და ის ეტაპები გამოიარა, როცა ყველაფერი „ცხრაგრამიანისთვის“ შუბლის შეშვერით წყდებოდა. საკუთარი თვალით მინახავს, თუ როგორ მიადგა მის ოფისს კბილებამდე შეიარაღებული ადამიანებით გაძეძგილი რამდენიმე მანქანა. ამ „ვიზიტის“ მიზანი, ბუნებრივია, ბიზნესის „დარეკეტება“ იყო, მაგრამ მაშინ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა.

— ცოტა უცნაურია, როცა ოფისს კბილებამდე შეიარაღებული ხალხი მიადგება და ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის. გამოდის, რომ ელიზბარაშვილი „დარეკეტებაზე“ დასთანხმდა, არა?

— არა... ელიზბარაშვილების ოფისი სწორედ იმ ეზოში მდებარეობს, სადაც ბიზნესის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ცხოვრობდნენ და ახლაც ცხოვრობენ თამაზ ელიზბარაშვილის მამისა და მისი ხუთი ბიძის, ანუ ექვსი ძმა ელიზბარაშვილის დიდი ოჯახები... როცა კბილებამდე შეიარაღებული მოძალადეები ალაყაფს მიადგნენ, უცებ დაინახეს, უბანმა ალყაში მოიქცია. ამიტომ, მაშინვე მანქანებში ჩასხდნენ და უკანმოუხედავად მოძუძგეს...

— იმის თქმა გინდათ, რომ ხალხი მზად იყო, ელიზბარაშვილების ბიზნესის დასაცავად თავი გაეწირა?

— ხალხი მზად იყო, დაეცვა საკუთარი კეთილდღეობა, რადგან ელიზბარაშვილი, როგორც ადამიანი და როგორც ბიზნესმენი, მის თვალწინ დაიბადა. საქმიანობა ნულიდან დაიწყო და, პრაქტიკულად, მთელი უბანი დაასაქმა. მახსოვს, ბავშვობაში, „ვერა-რეჩკას“ სანაპიროზე რომ ვთამაშობდით, თამაზი ხშირად ოცნებობდა, აქ შენობას დავდგამ, დიდ საქმეს დავიწყებ, იმას იქ დავასაქმებ, ამას — აქო... მაშინ ეს ყველას თამაში გვეგონა, მაგრამ მოვიდა დრო და, ეს თამაში რეალობად იქცა: თამაზმა მხოლოდ ძალიან ბევრი ადამიანი კი არ დაასაქმა, არამედ, მიმდებარე ტერიტორიაც კეთილმოაწყო, სასაფლაოზე გადასასვლელი საცალფეხოს ნაცვლად, კომფორტული ხიდი ააშენა. მაშინ, როცა მთელი ქალაქი ჩაბნელებული იყო, თამაზის წყალობით, უბანს გაზის და დენის პრობლემა არ ჰქონდა. მაშინ, როცა ხელფასი, პენსია არ რიგდებოდა და არც სოციალური პროგრამები არსებობდა, თამაზი მიცვალებულებს ასაფლავებდა, ავადმყოფებს პატრონობდა, ხალხს ქორწილს უხდიდა. ახალ წელს, თოვლის პაპასავით დახუნძლული, ყველა ოჯახში პირადად მიდიოდა და საახალწლო ნობათი მიჰქონდა... მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ თამაზს ბიზნესი, მართლაც, შვილივით ჰყავს ნაზარდი და მის გადასარჩენად ბევრჯერ თავიც გაწირა. როცა ბიზნესმენი ასე უპატრონოდ, ღვთისანაბარა მოდიხარ და ამ გაძაღლებულ წუთისოფელს მოჰყვები, ბუნებრივია, გიჩნდება ამბიცია, რომ ანგარიშგასაწევი ადამიანი ხარ და თავში წამორტყმასაც არ იმსახურებ, მაგრამ ამას ჩვენში ხელისუფლებები, სამწუხაროდ, ძნელად აცნობიერებენ.

— რას გულისხმობთ?

— თამაზ ელიზბარაშვილი, რომელიც 90-იანებში ბიზნესის გასათეთრებლად და საბიუჯეტო შემოსავლების გასაზრდელად იბრძოდა, სწორედ იმ დროს, როცა წლის საუკეთესო ბიზნესმენად გამოაცხადეს, დაიჭირეს. „მეტეხი-პალასში“, დაჯილდოების ცერემონიალზე, ელიზბარაშვილმა ციხიდან საოცარი წერილი გამოგზავნა. წარმოიდგინეთ, პრესისთვის ამაზე დიდი სკანდალი რა უნდა იყოს, მაგრამ იმდროინდელმა მედიამ ეს ფაქტი მიიყურისძირა, რადგან „რკინის კაცს“, კახა თარგამაძეს ასე სურდა. ამის შემდეგ, რევოლუციამდელ ხელისუფლებაში ახალგაზრდები მოვიდნენ, რომელთაც სამართლებრივი რეფორმა წამოიწყეს. ამ მოვლენების ავანგარდში მიშა სააკაშვილი იყო. სწორედ რეფორმირებულმა სასამართლომ გაამართლა მძიმე მუხლით ბრალდებული თამაზ ელიზბარაშვილი და მანაც ირწმუნა, რომ ქვეყანაში ახალი, ჯანსაღი პოლიტიკური ძალა მოდიოდა. სწორედ ამიტომ ელიზბარაშვილი „ვარდების რევოლუციის“ მომხრეთა შორის იდგა, მაგრამ ფესვები გაიმყარა თუ არა, მიხეილ სააკაშვილი, თავისი ხელის ბიჭებით, მოსახლეობას დაერია. მთელი ის პერიოდი ერთი ანდაზა მახსენდებოდა: „ობოლო, ვის მოკლავ და, — ჩემს გამზრდელსაო“. მოკლედ, ბევრი დრო გავიდა თუ ცოტა, „ნაცები“ ელიზბარაშვილსაც „მიადგნენ“ და სრულიად კანონიერი გზით ნაყიდი ორი ახალთახალი და ძვირადღირებული ავტომანქანა ჩამოართვეს. ამაზე თამაზი არ გაჩუმდა და არც გაჩუმდებოდა, რადგან ხედავდა, რომ მისთვის უკანონოდ ჩამორთმეული მანქანებით ხელისუფლების მაღალჩინოსნები და მათი „ნაშები“ „დატლაშუნებდნენ“. იომა და ელიზბარაშვილმა შექმნა პრეცედენტი — ერთი მანქანა დაიბრუნა, მეორე კი, დღემდე ერთ-ერთი რეგიონის პოლიციის ეზოში ლპება. მანქანების ჩამორთმევა ცალკე საუბრის თემაა — მომავალში იმ სქემას გაგიშიფრავთ, რომლითაც საზღვარგარეთ მოპარული მანქანები ქვეყანაში დაუბრკოლებლად შემოდიოდა, მერე, ამ მანქანას რომელიმე პატიოსანი ადამიანი შეიძენდა, ბოლოს კი, აღმოჩნდებოდა, რომ მანქანა ძებნილია... ძნელი წარმოსადგენია, მიშას დროს ამხელა საერთაშორისო აფიორა ისე დატრიალებულიყო, საქმის კურსსა და წილში ხელისუფლება არ ყოფილიყო, რომელიც ლამის თმის ღერებსაც გვითვლიდა.

როცა მანქანების დასაბრუნებლად ბრძოლა დაიწყო, მაშინვე ვუთხარი, თამაზ, ეს მანქანების თემა ტესტია, ხელისუფლებას უსამართლობას შეარჩენ თუ არა, მაგრამ იცოდე, პატიმარი შვილი გყავს, ამათგან ყველაფერი მოსალოდნელია და ცოტა სიფრთხილე გმართებს-მეთქი. ისე აგიხდათ ყველაფერი საუკეთესო, როგორც ელიზბარაშვილს ჩემი სიტყვები აუხდა: მართალია, მანქანა დაუბრუნეს, მაგრამ გურამ ელიზბარაშვილი ციხეში არაერთგზის გახდა წამების მსხვერპლი, მაგრამ ამას „ნაციონალები“ ისე აკეთებდნენ, რომ პირდაპირ ვერავინ მოედავებოდა და ვერც ბრალს დასდებდა, მძევლად აყვანილ პატიმარს იმიტომ აწამებთ, რომ მამამისზე გაქვთ „აკრეფილიო“, თუმცა ამის მიხვედრას დიდი მისნობა არ სჭირდებოდა. ამასობაში, ნამდვილი საოცრება მოხდა, რაც, თუ ელიზბარაშვილს პირადად არ იცნობ, გაგიკვირდება.

— რა მოხდა?

— რა და, — იმის ნაცვლად, რომ შეშინებულიყო და გაჩუმებულიყო, ელიზბარაშვილი, პირიქით, გააქტიურდა და მხოლოდ პირად პრობლემას კი არ აპროტესტებდა, არამედ, ყველა ოპოზიციური მიტინგის წინა რიგებში იდგა. უამრავი ნაცნობი ჰყავს და ერთ მშვენიერ დღესაც, არ მახსოვს, სოდ-ისა თუ კუდ-ის ერთ-ერთმა ჩინოსანმა თამაზს შემოუთვალა, თუ არ გაჩერდები, დაგიჭერენო.

— გაჩუმდა?

— არა. ამიტომაც, 2010 წლის 5 ივლისს დაიჭირეს როგორც თამაზი, ასევე, მისი რძალი (შვილის მეუღლე), ადვოკატი სალომე ივანიშვილი, მძახალი ზურაბ ივანიშვილი და შვილის ნათლია თეიმურაზ მაჭავარიანი. ამავე დღეს დააკავეს ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე მერაბ ქორჩილავა და ექსპერტი ფსიქიატრები — გიორგი ნანეიშვილი, თემურ სილაგაძე, თამარ გოჩიტაშვილი და ზურაბ ბერია. ამდენი ადამიანი სხვადასხვა ადგილიდან, პრაქტიკულად, გაიტაცეს და ზოგის ოჯახმა დაკარგულზე ოფიციალური ძებნაც კი გამოაცხადა. მე პირადად, ელიზბარაშვილის ოჯახის წევრებთან ერთად, მთელი დღე ყველგან ამაოდ ვეძებდი, მაგრამ ვიდრე პროკურატურამ „თავისი ადვოკატების“ თანხლებით, ყველას სასურველი „აღიარებითი ჩვენებები“ არ დააწერინა და წამებული გურამ ელიზბარაშვილის საქმე ოჯახს სტრასბურგიდან არ გამოათხოვინა, პატიმრები ვერ ვიპოვეთ.

— ეს ამბავი რითი დამთავრდა?

— რითი და, — ყველა ბრალდებულისთვის გირაოს შეფარდებითა და საქმის განხილვის „გონივრული ვადით“ გადადებით. ამ „გონივრულმა ვადამ“ კი, ორ წელზე მეტ ხანს გასტანა. საინტერესოა, რომ აბსოლუტურად ყველა ბრალდებულს გირაოდ 5-5 ათასი ლარი შეუფარდეს და ეს იმ დროს, როდესაც თამაზ ელიზბარაშვილისგან ათი მილიონი მოითხოვეს და ბოლოს, დიდი ვაჭრობის შედეგად, 6 მილიონს დასჯერდნენ, თუმცა მოგვიანებით განვითარებულმა მოვლენებმა დამარწმუნეს, რომ ელიზბარაშვილისგან მეტის ამოღება იყო დაგეგმილი.

— მეტი რა გზით უნდა ამოეღოთ?

— როგორც გითხარით, ყველა ბრალდებულს გირაო შეუფარდეს და საქმის განხილვა „გონივრული ვადით“ გადადეს, მაგრამ მანამდე ეს საქმე ორად გაყვეს, ანუ ცალკე განიხილებოდა თამაზ ელიზბარაშვილის, მისი ოჯახის წევრების და მინისტრის ყოფილი მოადგილის, მერაბ ქორჩილავას საქმე, ექსპერტების საქმე კი, სხვა, ცალკე წარმოებად გამოიყო. ეს საქმე ადეიშვილის ლეკვებმა ხელოვნურად იმიტომ დაანაწევრეს, რომ „დიდ მიშასა და დიდ ზურაბს“ სულ სხვა მიზანი ამოძრავებდათ. სწორედ ესაა „შენელებული მოქმედების ნაღმი,“ რომელიც ელიზბარაშვილის საწინააღმდეგოდ აამოქმედეს, როცა მისთვის ციხის სკანდალური კადრების სპეციალურად, ხელისუფლების საწინააღმდეგო, პოლიტიკური მიზნით გადაღების დაფინანსების დაბრალებას შეეცადნენ.

— მახსოვს, 2012 წლის სექტემბერში, საქართველოს მაშინდელმა მთავარმა პროკურორმა, მურთაზ ზოდელავამ დამნაშავეთა შორის ელიზბარაშვილიც ახსენა და, თუ არ ვცდები, „ციხის კადრების“ გამოც დაიჭირეს, არა?

— ვერ დაიჭირეს: ელიზბარაშვილს ღმერთმა, თავისმა სიმართლემ და გონიერებამ უშველა: როცა პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს, ელიზბარაშვილი, გვიან ღამით, კამერის წინ დაჯდა და საქართველოს მოსახლეობისადმი მიმართვა ჩაწერა, სადაც პირდაპირ აცხადებდა: „მე, 6 მილიონი გირაოს ფასად გათავისუფლებული, უდანაშაულო ბრალდებული ვარ, ახლა ხელისუფლება ცდილობს, ახალი დანაშაული დამაბრალოს, რაც ნიშნავს, რომ ამ 6 მილიონსაც დავკარგავ და

გაგრძელება მე-15 გვ.



ᲮᲘᲠᲘᲮᲘᲡ ᲛᲔᲡᲘᲯᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

25 - 31 ᲛᲐᲠᲢᲘ 2015

№ 12 (276)

15

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲧᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ᲮᲐᲚᲮᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ!

ᲛᲔ-13 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

სამუდამოდ ციხეში დავრჩები; ვიცი, რაც მომელის. მზად ვარ, წამებასაც გავუძლო და არარსებული დანაშაული არ დავიბრალო, მაგრამ რომ მომკლან, ხალხო, იცოდეთ, სისხლისმსმელი რეჟიმი უნდა დავამხოთო!“

– ამ მიმართვამ შედეგი გამოიღო?

– დაკითხვაზე შესვლამდე, ელიზბარაშვილმა მიმართვა მიკროჩიპზე ჩაწერა და ერთერთ იმ ,,ნასედკა“ ახალგაზრდას მისცა, რომელიც იმ დღეებში სულ უკან დაჰყვებოდა, ეს შენს უფროსებს გადაეციო. მთავარ პროკურატურაში დაკითხვა 18 საათი გრძელდებოდა. ამ დროს ქუჩაში ციხის სკანდალური კადრების ხილვით აღშფოთებული ხალხი მძვინვარებდა. ამიტომ ,,უფროსებმა“ იფიქრეს, ელიზბარაშვილი რომ დავიჭიროთ, მის ვიდეო-მიმართვას უეჭველად ტელევიზიები გაავრცელებენ, რაც არ გვაწყობსო. ამიტომ, მოწმის სტატუსით დაკითხვის შემდეგ, გამოუშვეს, არადა, წინა დღეს მთავარი პროკურორისთვის რომ გეკითხათ, ელიზბარაშვილის ბრალეულობა დამტკიცებული იყო!

– ელზა, ლადო ბედუკაძესაც იცავდით და ამიტომ გეკითხებით: ციხის კადრები ნამდვილია?

– ნამდვილია და შემიძლია, ამაყად განვაცხადო: მხოლოდ ბედუკაძეს კი არა, ბორის ფარულავასაც ვიცავდი, რომელიც ,,ბასტის“ მეტსახელითაა ცნობილი. ამ ადამიანებმა საკუთარი სიცოცხლისა და ოჯახების უსაფრთხოების უდიდესი რისკის ფასად გაბედეს და ამხილეს დიდი ორგანიზებული, სისტემური დანაშაული. ბორის ფარულავას „ნაციონალებმა“ ფეხის ათივე თითზე ფრჩხილები დააძრეს. მისგან ერთადერთ რამეს მოითხოვდნენ: ტყუილი უნდა ეთქვა, რომ მას და ბედუკაძეს კადრების გადაღებას თითქოს თამაზ თამაზაშვილი ავალებდა, ფულს კი, თამაზ ელიზბარაშვილი უხდიდა.

– ფარულავამ ამ ჩვენებას ხელი მოაწერა?

– არა! ის იმდენად უგონო მდგომარეობაში იყო, მერე ვერც იხსენებდა, ვის, სად და რამდენ ხანს ჰყავდა ჩაკეტილი. მოხუცმა მშობლებმაც კი არ იცოდნენ, სად ეძებნათ ერთადერთი შვილი. ბორის ფარულავა წამებით სიკვდილს იმიტომ გადაურჩა, რომ 2012 წლის 1-ლ ოქტომბერს ხელისუფლება შეიცვალა. ბედუკაძემაც და ფარულავამაც, რომლებიც ხედავდნენ გლდანის ჯოჯოხეთს, გაბედეს და ეს ჯოჯოხეთი სააშკარაოზე გამოიტანეს მათგან განსხვავებით, ვინც ყველაფერ ამას ხედავდნენ, დუმდნენ და ამ დუმილის სანაცვლოდ, დღეს ისევ იმ ადგილას მუშაობენ! ბედუკაძემ და ფარულავამ თავისუფლება ამ გმირული საქციელის გამო დაიმსახურეს! ვინც დღეს ბედუკაძესა და ფარულავას ზიზღით იხსენიებს, ისევ „ნაციონალებს“ მისტირის, ან მათ ბინძურ დავალებას ასრულებს. ამ ადამიანებს იმიტომ ვერ იტანენ, რომ „ნაციონალებს“ დედა იმ ნამდვილმა კადრებმა უტირეს!

– ელზა, მოდით, ისევ ელიზბარაშვილს დავუბრუნდეთ. რამდენჯერმე ახსენეთ, ,,შენ-ელებული მოქმედების ნაღმი“ დღესაც თამაზ ელიზბარაშვილის საზიანოდაა მომართული-ო. რა იგულისხმეთ?

– როგორც კი ახალი ხელისუფლება მოვიდა, ერთ-ერთი პირველი საქმე, რომლის განხილვაც განახლდა, სწორედ თამაზ ელიზბარაშვილის იყო: ეს საქმე ქალაქის პროკურატურამ ,,შეკერა“ და, წესით, პროცესზე ბრალმდებლად ისევ ქალაქის პროკურატურა უნდა გამოსულიყო, მაგრამ საქმე მთავარმა პროკურატურამ გადაიბარა. მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ ადეიშვილი უკვე გაქცეული იყო, გამომსვლელი პროკურორები მაინც ცდილობდნენ, ელიზბარაშვილისა და მისი ოჯახის წევრების ბრალეულობა დაემტკიცებინათ. საკვირველიც სწორედ ეს იყო.

– რატომ იყო საკვირველი, რომ პროკურატურა ძველ პოზიციაზე დარჩენილიყო?

– იმიტომ, რომ საქმე აშკარად თეთრი ძაფით იყო ნაკერი, მაგრამ ახალ რეალობაში ძველი პრივილეგიებით დატოვებულ პროკურორებს არ ჰყოფნიდათ ჭკუა, გამიჯვნოდნენ რეჟიმის შემოქმედი ზურაბ ადეიშვილის ,,დიად საქმეებს“: რომ დაინახა, ელიზბარაშვილი თავის მართლებას აპირებდა, პროკურატურა საქმის გაჭიანურებას ათასი მიზეზით ცდილობდა. ერთხელ, ისეთი სასაცილო შუამდგომლობა წამოაყენა, მოსამართლეც კი გაოგნებული დარჩა.

– რა მოითხოვა?

– რა და, – ჩემი საქმიდან აცილება!

– რა მიზეზით?

– ამ საქმეში ბრალდებულ ოთხივე პირს პირველივე დღეებიდან ვიცავდი და ერთხელ, პროცესზე ვთქვი, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, რა ზეწოლაც ხორციელდებოდა ელიზბარაშვილზე და დანარჩენ ბრალდებულებზეც, რათა ელიზბარაშვილისგან კოლოსალური თანხა გამოეძალათ და არარსებული ბრალიც ყველას ელიარებინა-მეთქი. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორი, ზინიკო ქობალია წამოფრინდა და შუამდგომლობა დააყენა, ელიზბარაშვილი უწამებიათ, ეს მის ადვოკატსაც უნახავს, სიმართლე რომ გავარკვიოთ, ადვოკატი უნდა დავკითხოთ, ამიტომ, ელზა ჯმუხაძე ადვოკატი ველარ იქნებაო!

– სასამართლომ რა გადაწყვიტა?

– შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა და მეც, რა თქმა უნდა, ამ საქმეს ბოლომდე გავყევი. დიდი ბრძოლისა და დავიდარაბის შემდეგ, პროცესი სრული და კოლოსალური მოგებით დავასრულეთ. პირველი ინსტანციის მოსამართლის, ეკა არეშიძის განაჩენი ,,ელიზბარაშვილისა და სხვათა საქმეზე“ ნამდვილად იმის დასტურია, რომ ე.წ. კუბლაშვილის სასამართლოშიც მუშაობდნენ პროფესიონალი მოსამართლეები, რომლებმაც ახალ რეალობას ალღო დროულად აუღეს! სხვათა შორის, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მთავარმა პროკურატურამ, კონკრეტულად, გიორგი ბადაშვილმა ძალიან კარგად გააცნობიერა, თუ რატომ და რა გზებით დევნიდნენ „ნაციონალები“ თამაზ ელიზბარაშვილს, ამიტომ ეს ადამიანი ზურაბ ადეიშვილის მოადგილის, დავით ჩხატარაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულადაც ცნეს და მთავარმა პროკურატურამ ელიზბარაშვილების საქმეზე არც პირველი ინსტანციის გამამართლებელი განაჩენი გაასაჩივრა, ანუ მთავარმა ბრალმდებელმა უწყებამ, პრაქტიკულად, აღიარა, რომ თამაზ ელიზბარაშვილს და მისი ოჯახის წევრებს ბრალი უსაფუძვლოდ ჰქონდათ წარდგენილი.

– დავით ჩხატარაშვილი ელიზბარაშვილთან რაღა შუაშია?

– სწორედ დავით ჩხატარაშვილი იყო ზურაბ ადეიშვილის ,,ხუღალტერი“ – ზეპირად იცოდა, ვის რა ჰქონდა და ვინ რისი გადამხდელი იყო, ანუ ვინ როგორ უნდა ჰყოლოდათ ,,ყურებით დაჭერილი“. საბოლოოდ, გამოძიებით დადგინდა, რომ სწორედ ზურაბ ადეიშვილმა და დავით ჩხატარაშვილმა დაგეგმეს ციხის კადრების საგანგებოდ გადაღება, ამის სანაცვლოდ ფულის აღება და ამ ფულის გადახდა უნდა დაებრალებინათ ბედუკაძისთვის, თამაზაშვილისა და ელიზბარაშვილისთვის.

– ეს იყო ,,შენელებული მოქმედების ნაღმი“?

– დიახ და ამ ნაღმის ნაწილები დღესაც მოქმედია ელიზბარაშვილის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოყოფილი ექსპერტების მიმართ სისხლის სამართლის საქმეში, ასევე, მინისტრის მოადგილე მერაბ ქორჩილავას საქმეში. აგიხსნით, ამას რატომაც ვამბობ: თამაზ ელიზბარაშვილსა და მისი ოჯახის წევრებს ბრალად ედებოდათ, რომ მათ, დიდი ფულის სანაცვლოდ, გააყალბებინეს ექსპერტებს სასამართლო-სამედიცინო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, ასევე, ქრთამი მისცეს ჯანდაცვის მინისტრის იმდროინდელ მოადგილე მერაბ ქორჩილავას, რათა მას, თავისი უფლებამოსილების გამოყენებით, დაეცვა ყალბი დასკვნაც და ექსპერტებიც. ,,შენელებული მოქმედების ნაღმი“, რომლის სამიზნეც ელიზბარაშვილია, ამ საქმეში ჯერ კიდევ მაშინ ჩაიდო, როდესაც მერაბ ქორჩილავა რეჟიმმა აიძულა, ეღიარებინა ბრალი და მასთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა: ეს ის დროა, ხალხი ,,ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბების გათხრას“ რომ აღიარებს და მერაბ ქორჩილავაც, რომელსაც გლდანის ციხეში მნიშვნელოვნად შეერყა ჯანმრთელობა, ვერ იქნებოდა გამონაკლისი.

მოკლედ, ,,ნაციონალებს“ 2011 წელს უკვე ხელთ ჰქონდათ გამამტყუნებელი განაჩენი მერაბ ქორჩილავას მიმართ, სადაც წერია, რომ ,,თამაზ ელიზბარაშვილმა ქრთამი გადაიხადა.“ 2011 წელს თამაზ ელიზბარაშვილსაც უკვე გადახდილი აქვს გირაოში ექვსი მილიონი ლარი და გარეთაა, თუმცა პატარა წაბორძიკება და ურჩობაც საკმარისია, რათა ეს ფულიც დაიკარგოს და, თავი, ოჯახის წევრებიანად, კვლავ ციხეში ამოყოს. წეღან გითხარით, თუ როგორ გადაურჩა ურჩი ელიზბარაშვილი 2012 წლის სექტემბერში ახალ გამოგონილ და მძიმე ბრალდებას. ამის შემდეგ, ექსპერტიზასთან დაკავშირებული საქმის ყველა ბრალდების ყველა ეპიზოდშიც გამართლდა. დღეს განაჩენით პრეიუდიციულად (უდავოდ) არის დადგენილი, რომ ელიზბარაშვილსა და მისი ოჯახის წევრებს ქორჩილავასთვის ქრთამი არ მიუციათ. ეს განაჩენი მერაბ ქორჩილავასთვის ახალი გარემოებაა, რაც უფლებას აძლევს, სააპელაციო სასამართლოს მიმართოს და მის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის გამამართლებელი განაჩენით შეცვლა მოითხოვოს: თუ ელიზბარაშვილს ქრთამი არ მიუცია, ეს პირდაპირ ნიშნავს, რომ ქორჩილავას ქრთამი არ აუღია, ანუ უდანაშაულოა.

– საბოლოოდ, რა ქნა მერაბ ქორჩილავამ?

– 2014 წლის აგვისტოში, მე და მერაბ ქორჩილავამ სააპელაციო სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით მივმართეთ, რასაც მტკიცებულებად განაჩენი – ,,ელიზბარაშვილისა და სხვათა მიმართ“ დავურთეთ. ამავდროულად, ჩემს კოლეგებთან ერთად, ჩავერთე ოთხი ექსპერტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვაში და იქაც წარვადგინე ზემოაღნიშნული განაჩენი, როგორც ჩემს ხელთ კანონიერად არსებული ახალი მტკიცებულება, მაგრამ ხდება ნამდვილი საოცრება: ბრალდების მხარე (ქალაქის პროკურატურა) ტყავიდან ძვრება და ცოცხალი თავით არ უნდა იმის აღიარება, რომ ექპერტების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველი აღარ არსებობს, ასევე, მერაბ ქორჩილავას მიმართაც უნდა დადგეს გამამართლებელი განაჩენი. ახალი მტკიცებულების წარდგენიდან სამი თვე იფიქრეს, იფიქრეს და, ბოლოს, იცით, რა სიბრძნე გადმოაფრქვიეს?

– რა?

– ,,ელიზბარაშვილის და სხვათა მიმართ“ გამამართლებელ განაჩენს ქორჩილავას და ექსპერტების საქმესთან კავშირი არ აქვსო! წარმოიდგინეთ, ექსპერტებისა და ქორჩილავას მიმართ ბრალდებაში პირდაპირ წერია, ამ ხალხმა ფული ელიზბარაშვილებისგან აიღოო, განაჩენით დადგენილია, რომ ელიზბარაშვილებს სასამართლო-სამედიცინო ფსიქიატრიული დასკვნის სანაცვლოდ ფული არავისთის გადაუხდიათ, მაგრამ დღეს ამის გაგება და აღიარება ქალაქის პროკურატურას არ უნდა!

– თბილისის პროკურატურაში ისეთი გონებაშეზღუდულები სხედან, რომ ასეთი მარტივი ჭეშმარიტების გაცნობიერება უჭირთ?

– რეალურად, მშვენივრად ხედავენ და იციან, რომ ექსპერტებიც უდანაშაულონი არიან და მერაბ ქორჩილავაც, მაგრამ პროკურატურაში მაღალ თანამდებობაზე ისინი არიან მოკალათებულნი, ვინც ეს საქმე ზურაბ ადეიშვილის, მისი მარჯვენა ხელის, დავით ჩხატარაშვილის და ქალაქის იმდროინდელი პროკურორის, დავით იაშვილის დავალებით შეუთხზეს თამაზ ელიზბარაშვილს. ,,საკუთარ კუდს“ კი, ასე ადვილად არ მოიჭრიან!

– „მოკალათებულებში“ ვის გულისხმობთ?

– მაგალითად, ,,თამაზ ელიზბარაშვილის და სხვათა მიმართ“, ასევე, მერაბ ქორჩილავას მიმართ და, ბოლოს, ექსპერტების მიმართ სისხლის სამართლის საქმეების ყოველ მეორე გვერდზე ნახავთ დავით კუტალაძის (მეტსახელად ,,ტეკილა“) ხელმოწერას, რომელიც დღეს, ჩემთვის უცნობი დამსახურების წყალობით, ქალაქის პროკურორის ერთ-ერთი მოადგილეა და პირადად კურირებს სწორედ ექსპერტების, ანუ იმ საქმეს, რომელშიც თავის დროზე თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება ჩაიდინა – ამდენ ადამიანს არარსებული ბრალი უკანონოდ წარუდგინა. ახლა, ოღონდ საკუთარი ტყავი გადაირჩინოს და, ტეკილა-კუტალაძე ხელს ყოველგვარ სისულელეზე მოაწერს – პროცესზე გამოგზავნის პროკურორებს, რომლებიც იმის მტკიცებაში დაიხოცავენ თავებს, მართალია, ელიზბარაშვილი გამართლდა, მაგრამ ექსპერტებმა და ქორჩილავამ ფული სულ სხვა, ,,მარსიანელი ელიზბარაშვილისგან“ აიღესო.

– ელზა, წეღან ხომ თქვით, მთავარმა პროკურატურამ ელიზბარაშვილების გამამართლებელი განაჩენი აღარ გაასაჩივრა და ამით აღიარა, რომ ამ ოჯახს რეჟიმი უსამართლოდ დევნიდაო?

– საქმეც ეგაა! დღეს ასეთი სიტუაციაა შექმნილი: ან ქალაქის პროკურორმა მიხეილ შაყულაშვილმა არ იცის, მისი მოადგილე დავით კუტალაძე საკუთარი ტყავის გადასარჩენად რა უკანონოებსაც ჩადიოდა და ჩადის, ან მიხეილ შაყულაშვილმაც ყველაფერი იცის და მდუმარებს, ანუ ხელქვეითის დანაშაულს ფარავს და, საბოლოოდ, ყველაფერ ამის შესახებ საქმის კურსში არ არის საქართველოს მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი... არის კიდევ ერთი ვარიანტი: ქალაქის პროკურორისთვის არაფერს ნიშნავს ფაქტი, რომ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ელიზბარაშვილების საქმეზე ,,ხელები ასწია“ – პირველი ინსტანციის გამამართლებელი განაჩენი არც კი გაასაჩივრა, ანუ ამ განაჩენს დაეთანხმა. გამოდის, რომ ქალაქის პროკურორი, მიხეილ შაყულაშვილი, ტეკილა-კუტალაძიანად, თავისას ,,უბერავს,“ რაც პროკურატურის შესახებ საქართველოს კანონის უხეში დარღვევაა თუ არა, თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებაა.

– ჩამოთვლილთაგან სწორი უფრო რომელი ვერსია მიგაჩნიათ?

– არც ერთი, რადგან 2014 წლის 1-ლ დეკემბერს სათანადო წერილობითი განცხადებები მაქვს შეტანილი, როგორც გიორგი ბადაშვილის, ასევე, მიხეილ შაყულაშვილის სახელზე და ყველაფერი, რაც ზემოთ გითხარით, ორივესთვის გასაგებად მაქვს განმარტებული, მაგრამ შედეგი ისეთია, როგორიც არის! გამოდის, რომ განცხადებებს ან არავინ კითხულობს, ან მოელიან, რომ იქნებ, ექსპერტების საქმეზე მოსამართლემ დააყენოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ელიზბარაშვილების საქმეზე იქნება ,,ახალი გარემოება“, ანუ შეიქმნება სამართლებრივი საფუძველი, რომ თამაზ ელიზბარაშვილისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ საქმე, საუარესოდ შებრუნების მიზნით, ხელახლა გადაისინჯოს. მანამ წყალი არ დალიოს პროკურატურამ, ვიდრე ამას ეღირსება, მაგრამ ხომ ცდილობს?! „ნაციონალების“ რევანშის გამძაფრებული სურვილის ფონზე, ამას რა შეიძლება ეწოდოს, თუ არა ,,შენელებული მოქმედების ნაღმი“, რომელიც დაუყოვნებლივ ამოქმედდება, თუ ,,ფარა შემობრუნდება და კოჭლი თხა წინ მოექცევა“.

– მოკლედ, გამოდის, რომ ელიზბარაშვილს პროკურატურა ისევ ერჩის, ქორჩილავა და ექსპერტები კი,,პრიკუპში“ არიან მოყოლილები, არა?

– ქორჩილავა ნამდვილად ,,პრიკუპშია“ მოყოლილი, მაგრამ ექსპერტ-ფსიქიატრებთან პროკურატურის ბრძოლას კიდევ უფრო ღრმა ფესვები აქვს.

– კერძოდ?

– ელიზბარაშვილისგან ფულის აღების ცრუ ბრალდების გამო, ქვეყნის ოთხი უძლიერესი ფსიქიატრი – გიორგი ნანეიშვილი, ზურაბ ბერია, თემურ სილაგაძე და თამარ გოჩიტაშვილი ხუთი წელია, თავის მართლების მდგომარეობაში არიან. პროკურატურა ცდილობს, ეს პროცესი კიდევ გახანგრძლივდეს. ამ სპეციალისტების პროფესიონალიზმი დღემდე აღიარებულია საზღვარგარეთ, რადგან მუდმივად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, მაგრამ საქართველოში ამ მაღალი დონის სპეციალისტებს, როგორც ბრალდებულ პირებს, გაუქმებული აქვთ სერტიფიკატები. მოკლედ, ავსა და მტრის კარს, მაგრამ საქართველოში ადამიანის შეურაცხადად ცნობა და მისი კვალიფიციური მკურნალობა რომ გახდეს საჭირო, ფსიქიატრიაში ოთხი წამყვანი სპეციალისტი პარალიზებული და უფლებაჩამორთმეულია.

– მაინც, რა ,,ღრმა ფესვები“ აქვს ფსიქიატრებსა და პროკურატურას შორის ბრძოლას?

– ეს ბრძოლა ფსიქიატრებს, რეალურად, მიხეილ სააკაშვილმა გამოუცხადა თავისი მონა პროკურატურის ხელით. ეს ამბავი კი, ასე დაიწყო: რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთმა ქართულმა გაზეთმა გამოაქვეყნა წერილი, რომლის თანახმადაც, მსოფლიოს რამდენიმე წამყვანმა ფსიქიატრიულმა კლინიკამ შეისწავლა საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის (სააკაშვილის) ქცევები, სიტყვა-პასუხი, იმპულსები, მიმიკები და დაასკვნა, რომ ეს ადამიანი ,,ნორმაში არ ზის“. ჟურნალისტებმა ქართველ ფსიქიატრებს ზოგადი შეკითხვა დაუსვეს, არიან თუ არა მსოფლიოში ცნობილი კონკრეტული ფსიქიატრიული კლინიკები კომპეტენტურნი. ამ შეკითხვაზე, ქართველმა ფსიქიატრებმა, რა თქმა უნდა, უპასუხეს, რომ ჩამოთვლილი კლინიკებიდან ყველა ზედმიწევნით კომპეტენტურია, ანუ გამოვიდა, რომ მიშა ნამდვილად გადარეულია და ეს დაადასტურეს ქართველმა ფსიქიატრებმაც! ახლა ხომ გასაგებია, რატომაც განადგურდა სააკაშვილის ზეობის დროს საქართველოში ფსიქიატრია, როგორც დარგი, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, რატომ აგრძელებს ამ ,,ტრადიციას“ ახალი ხელისუფლება, ნუთუ, გიჟები ახლაც ბლომად არიან?!

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲙᲐᲮᲐᲫᲔ

ეროვნული ენა

ეროვნული

ლიტერატურა. ენელიჭნეული. პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

„ლია, თამარ, მირანდა, შუქია, სალი, ნინო, სოფო, გოჩა, ტატა... ბევრნი ხართ და მიხარიხართ!“

21 მარტს მსოფლიო დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს აღნიშნავდა. 21 მარტს საქართველოში დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე იზეიმეს – კი არ აღნიშნეს, არამედ, იზეიმეს! ადამიანის ბედნიერებას თუ აქვს საზომი, მაშინ შემიძლია ვთქვა, რომ 21 მარტისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ყველა ორგანიზატორი, ნებისმიერი ღონისძიების ნებისმიერი მონაწილე, ამ ღონისძიებების ადრესატები, დარწმუნებული ვარ, უზომოდ ბედნიერები ვართ!

ვარშავიდან ვადევნებდი თვალყურს 21 მარტისთვის მზადებას, რომელიც გოგოებმა იანვარში დაიწყეს. შეძლებისდაგვარად, სოციალური ქსელის მეშვეობით, მეც, რა თქმა უნდა, მათთან ვიყავი. შედეგმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა:

მთლიანად საქართველო გაფერადდა, გათბა, სიყვარულით გაივსო და ამ სიყვარულს ერთმანეთს უნაწილებდნენ სრულიად უცხო ადამიანები.

ეს იყო გულწრფელად გაცემული სიყვარული, ზუსტად ისეთი და ისე, როგორსაც დაუნის სინდრომით დაბადებული ადამიანები ატარებენ და გასცემენ.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პირველად და იმედი მაქვს, არა – უკანასკნელად, მრავალწლიანი სტიგმის მსხვერპლი, სოციუმისგან გარიყული ერთი „პატარა“ ადამიანების ჯგუფის ხმა მთელ საქართველოს მისწვდა, მისწვდა და ეს ხმა თაობებს გაჰყვება, რადგან დედაზე ადრე შვილი გარბოდა ფერადი წინდით სურათის გადასაღებად, მამა შვილმა წაიყვანა ფერადი წინდის საყიდლად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან პატარებმა დახატეს, გააფერადეს, გულზე დაიბნიეს და სიყვარულით გაჯერებულ ბარათებად გამოგზავნეს ჭრელი წინდები.

მთავრობა, როგორც არასდროს, ერთსულოვანი იყო, სოლიდარობას უცხადებდა და გულში იხუტებდა მათ, ვისაც გუშინ, შეიძლება, ვერც კი ამჩნევდა. საქართველოს პრეზიდენტმა ბავშვებს უმასპინძლა, ნამდვილი სიყვარული და სიხარული, უანგარო გრძნობა დაინახა და თავადაც გალაღდა, პატარა ბავშვად იქცა, დახატა, გაერთო...

და ეს იყო, დარწმუნებული ვარ, ყველაზე გულწრფელი და ყველაზე ლამაზი დღე მისი პრეზიდენტობის ისტორიაში.

წელს 21 მარტი საქართველოში არა მხოლოდ დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, არამედ, სიყვარულის, სითბოს, ხალასი გრძნობებისა და მოფერების დღედ იქცა და ამისათვის მინდა, მადლობა ვუთხრა კავშირს – „ჩვენი ბავშვები“, რომელმაც უზარმაზარი შრომა ჩადო, რომ ეს დღე ზეიმად ექცია საქართველოს მოსახლეობისათვის.

ასევე, მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც „ჩვენი ბავშვები“-ს გვერდზე დადგა, ვინც უამრავი ღამე გაათენა, ვინც დაღლისაგან ფეხზე ვერ იდგა და ერთი წამითაც არ შეიმჩნია დაღლა.

ლია, თამარ, მირანდა, შუქია, სალი, ნინო, სოფო, გოჩა, ტატა... ბევრნი ხართ და მიხარიხართ!

მადლობა მინდა ვუთხრა გიგოს, სალომეს, გვანცას, ლექსოს, აკლის, თეოს, ნინიკოს, დათუნას, ლილეს, მათეს, რუსოს...

თქვენ ეს დღე გაალამაზეთ, გააფერადეთ, სიყვარულითა და სითბოთი გაავსეთ...

მადლობა თქვენ, რომ ერთი დიდი, ძლიერი და სიყვარულით სავსე ოჯახი ხართ და ბედნიერი ვარ, რომ მე და ჩემი შვილები ამ ოჯახის წევრები ვართ.

მინდა, მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც თუნდაც ერთი წუთი ამ დღეზე იფიქრა, ვინც მონაწილეობა მიიღო 21 მარტის დღესასწაულში.

21 მარტს მსოფლიო დაუნის სინდრომის მსოფლიო დღეს აღნიშნავდა. 21 მარტს საქართველოში დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე იზეიმეს!

ინგა ლოლაძე, სპეციალურად „ქართული სიტყვისთვის“ ვარშავიდან

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

1 3 5

ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ

- ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐ
- ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ
- ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ
- ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ
- ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲐ
- ᲐᲒᲠᲝᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘᲐ
- ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ
- ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ
- ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲗᲘ ᲛᲝᲓᲣᲚᲔᲑᲘ

- ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ
- ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ
- ᲡᲐᲑᲣᲦᲐᲚᲢᲠᲝ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ
- ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ
- ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲚᲘᲝᲠᲐᲪᲘᲐ
- ᲡᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ
- ᲡᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲣᲠᲡᲐᲗᲝ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲖᲔ *ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ, ᲐᲘᲠᲩᲘᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲐ 60 ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ (minor ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲐᲜ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲨᲘ)*

ᲡᲐᲛᲐ�გᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ

- ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ
- ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ
- ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ
- ᲡᲐᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ
- ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲣᲕᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ
- ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐ

მოდულის არჩევითი კურსები – 60 ECTS კრედიტი, ან დამატებითი სპეციალობები (*minor*) – 60 ECTS კრედიტი.

შეთავაზებული დამატებითი პროგრამებიდან სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს აგრარული მიმართულები:

- **ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲐ** – Food Technology - **0104**
- **ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ** – Production and primary processing of raw animal products – **0103)**
- **ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲘᲡ** *minor*

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘ 2250 ᲚᲐᲠᲘ

ᲛᲘᲡ.: ᲔᲒ. ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ №55; mail: tbuniver.edu@gmail.com;
ᲢᲔᲚ.: 296-01-04; 296-01-90; 296-90-33
www.tbuniver.edu.ge; acebook: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ (ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ)

№ 12 (276)
25-31 მარტი 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ბანდერასი პროფესიას იცვლის

54 წლის ჰოლივუდელი ანტონიო ბანდერასი პროფესიას იცვლის. ყოველ შემთხვევაში, ესპანელი ვარსკვლავი მალე ლონდონის ხელოვნებისა და დიზაინის წმინდა მარტინის სახელობის კოლეჯის სტუდენტი გახდება.

„დიზაინის შესწავლას ვაპირებ. დიდი ხანია, ეს იდეა მაქვს. სწავლა ჩემს ძირითად საქმიანობაში ხელს არ შემიშლის და გადაღებებს, ბუნებრივია, გავაგრძელებ“, — ამბობს ანტონიო, რომელიც, ასაკის მიუხედავად, ქალების სათაყვანებელ მამაკაცად ითვლება.



ჯასტინ ბიბერს მეზობლის შეფურთხებისთვის ასამართლებენ

მსოფლიო თინეიჯერების კერპი, კანადელი მუსიკოსი ჯასტინ ბიბერი კვლავ სკანდალშია — მეზობელი, რომელსაც შეაფურთხა, სასამართლოში უჩივის და, მორალური შეურაცხყოფისთვის, **25** ათას დოლარს სთხოვს.

„ინციდენტი ერთი წლის წინ მოხდა — ჯასტინმა, მეგობრებთან ერთად, ჩემს სახლს კვერცხები დაუშინა. ყველაფერ ამის მტკიცებულება არსებობს — ინციდენტი ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს“, — აცხადებს მომღერლის ყოფილი მეზობელი, რომელიც, ასევე, ამტკიცებს, რომ ჯასტინ ბიბერი მას და მის ცოლს აშანტაჟებდა.

გარდა ამისა, მომჩივანი ამბობს, რომ ბიბერის სახლიდან ხმაური ისმოდა, რის გამოც მან და მისმა ოჯახმა დიდი ემოციური სტრესი მიიღო.

„ბიბერმა პასუხი ამის გამოც უნდა აგოს!“ — მოითხოვს ახალგაზრდა მომღერლის მეზობელყოფილი.

ავსტრალიაში არნოლდ შვარცნეგერი დააკავეს

ავსტრალიის ქალაქ მელბურნში ინციდენტი მოხდა — ერთ დროს ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი, **67** წლის არნოლდ შვარცნეგერი, რომელიც წლების განმავლობაში, კალიფორნიის გუბერნატორი იყო, პოლიციამ ველოსიპედით სეირნობისას დააკავა.

ალბათ, იკითხავთ, რა დააშავაო. ისეთი არაფერი, უბრალოდ, თავზე შლემი არ ეხურა. ავტრალიაში კი, ველოსიპედის უშლემოდ მართვა დანაშაულია. ჰოდა, სამართალდამცავებმა არნოლდი აიძულეს, რომ შლემი ეყიდა. როგორც კი მსახიობმა ეს მოთხოვნა შეასრულა, მაშინვე გაათავისუფლეს.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

25 - 31 მარტი 2015 | № 12 (276)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

კიმ კარდაშიანი ველარ ფეხმძიმდება

სომხური წარმოშობის ამერიკელმა ტელეწამყვანმა, სკანდალისტმა კიმ კარდაშიანმა თავისი რეალითი-შოუს ახალი სეზონი ორიგინალურად გახსნა — გადაცემის ე.წ. ტრეილერში სრულიად გაშიშვლდა.

„თუ მეორედ მალე დავორსულდები, ჩემი სხეული კვლავ კარდინალურად შეიცვლება, სწორედ ამიტომაც გადავწყვიტე, ჩემი თავი სამუდამოდ ამ ფორმით აღმებეჭდა“, — განაცხადა კიმმა და იქვე, მორიგი სკანდალური განცხადება გააკეთა, ჩემს ქმართან სექსი დღეში 15-ჯერ მაქვსო.

„თუკი დაფეხმძიმება გინდა, დაფიქრდი, რადგან ბევრი ხარისხიანს არ ნიშნავს“, — ურჩია პირადმა ექიმმა კარდაშიანს, თუმცა ისეთი პირი უჩანს, რომ ტელევარსკვლავი დასტაქრის რჩევას არად ჩააგდებს.

„8 თვის განმავლობაში, ყველა პროცედურა, რაც დაფეხმძიმებისთვისაა საჭირო, გავიარე, მაგრამ მაინც არ დავფეხმძიმდი. ამიტომ, ამიერიდან იმას გავაკეთებ, რაც მინდა. იმედია, ახლა მაინც დავფეხმძიმდები“, — ამბობს კიმი.

2030 წელს 100 მილიონი ადამიანი განადგურდება

მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ რამდენიმე ათწლეულში მსოფლიო ოკეანე ყველა ქალაქს ჩაძირავს და სამყაროზე მედუზები გაბატონდებიან, რასაც, მინიმუმ, 100 მილიონი ადამიანის სიკვდილი მოჰყვება

2100 წლისთვის, მსოფლიო ოკეანის წყლის დონე ერთ მეტრზე მეტს მიაღწევს, — აცხადებენ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მთავრობათაშორისი ჯგუფის ექსპერტები. მათივე თქმით, ყველაფერ ამის მიზეზი ადამიანის დამღუპველი საქმიანობა გახდება.

„სიტუაცია რომ შეიცვალოს, აუცილებელია, სასწრაფოდ შემცირდეს მოპოვებული საწვავის დაწვის შედეგად დარჩენილი პროდუქტების ატმოსფეროში გავრცელების მოცულობა“, — ამბობენ კლიმატოლოგები.

ამასთან, ვრცელდება გერმანელი სპეციალისტების მოსაზრება, რომ ჩრდილოყინულოვანი ოკეანის ფსკერი, პრაქტიკულად, ნარჩენების სასაფლაოა — იქაურობა პლასტიკური და სხვა სახის ნაგვითაა სავსე, რაც ეკოსფეროს განადგურების წინაპირობაა.

„ყოველივე ამის გამო, 2030 წელს 100 მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპება“, — აცხადებენ სპეციალისტები.

„ისლამური სახელმწიფოს“ 12 წლის ჯალათი

კარგა ხანია, ინტერნეტში ვიდეო „ტრიალებს,“ რომელშიც ნათლად ჩანს, რომ მძევლებს, „ისლამური სახელმწიფოს“ ჯიჰადისტებთან ერთად, ბავშვიც სასტიკად უსწორდება. როგორც ფრანგული მედია იუწყება, ეს ბიჭი 12 წლის რაიენია, რომელიც 2014 წლის მარტამდე ტულუზაში სწავლობდა. 12 წლის ჯალათი ყოფილმა თანაკლასელებმა ამოიცნეს.

რაიენი, რომლის ნათესავებიც საფრანგეთში ცხოვრობენ, ფრანგული მედიის მონაცემებით, „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დედამ დააკავშირა. დედამისი 29 წლისაა და ლეილა ჰქვია. ის სირიაში, შვილებთან ერთად, შარშან ჩავიდა.

რაიენის მამა და ბიძაც „ისლამური სახელმწიფოს“ წევრები არიან.

ცნობისთვის: 10 მარტს „ისლამურმა სახელმწიფომ“ 19 წლის არაბის სიკვდილით დასჯის ვიდეო გაავრცელა. ჯიჰადისტებმა არაბს ბრალი ისრაელის ჯაშუშობაში დასდეს.

19 წლის სეიდ ისმაილ მუსალამი ზემოხსენებულ ვიდეოში აცხადებს, რომ ისრაელის სადაზვერვო სამსახურის წარმომადგენელია და დავალება ჰქონდა, „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებს შეერთებოდა და მათზე ინფორმაცია მოეპოვებინა, თუმცა დახვრეტილის ოჯახი ამ ვერსიას კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ სეიდ ისმაილ მუსალამი 2014 წელს თურქეთში ტურისტული მოგზაურობით წავიდა და მას შემდეგ აღარ გამოჩენილა...

ჯანსულის სიცილნათელები

21 მარტი

გულო, უარყავ ღალატი,
სულო, ნურასდროს დაცხრები,
ქალების დღეა 8 მარტი,
ოცდაერთია „ნაცების“.
„ნაცო“, ირბინე ქუჩაში,
სანამ არ დაიქანცები
და თუ ბოლომდე ჩაიფსი,
გამოიცვალე საცვლები.

უკულტურო

საქართველოდან დაითესე? –
ჰოდა, ნუ მოხვალ,
არ ხარ ველური,
შენ, უბრალოდ, უკულტურო ხარ.

ფუტურისტი

შენ რომ დარბიხარ,
ქაოსია თუ ტურიზმია?
შენთვის მთავარი,
ერთადერთი, ფუტურიზმია.

ხან იქ, ხან აქ

ჩვენ დაგვებედა, ალბათ, აკვნიდან,
მტრის სიყვარული გვაჟრჟოლებს
ტანში,
ჩვენ გამოვძვერით რუსის ტანკიდან,
ახლა მივძვრებით თურქეთის ტანკში.

ქართველებო!

მეცხრე ციდან ისმის ხმა:
„შეწყდეს სია მონების,
თქვენ ყველაფრის ღირსი ხართ,
გარდა – სიამოვნების!“

მიშა და ირაკლი

ძმის მტრობას რას გვასწავლიან,
კვლავ დაიბადა ბერია,
ნახევრად ალასანია
ალასანიას მტერია!

ქართველი კიევში

მოსდიოდა ლეზვი მეტად,
ვერ შეეშვა ამ ჩვევებს,
უკრაინის პრეზიდენტად
ახლა ნაღდად ირჩევენ.
უარს ამბობს, ვაი-ვიშით
ისევ ლეზვით ერთობა.
აბა, რა ქნას, აშშ-ში
უნდა პრეზიდენტობა.

გლამურული ამბები

ლაიზა მინელი ექიმების ზედამხედველობის ქვეშაა

რამდენიმე დღის წინ, სახელგანთქმული მსახიობი და მომღერალი, ლაიზა მინელი, რომელსაც წლებია, მიდრეკილება ალკოჰოლსა და მედიკამენტებისკენ აქვს, კალიფორნიის შტატში მდებარე მალიბუს კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც სარეაბილიტაციო კურსს გაივლის.

მალიბუს კლინიკაში ლაიზა ადრეც მკურნალობდა.

აღსანიშნავია, რომ მსახიობი და მომღერალი მკურნალობის კურსს საკუთარი სურვილით გადის.

არსებული ინფორმაციით, ლაიზა ე.წ. დამოკიდებული მას შემდეგ გახდა, რაც 1969 წელს, დედის, ჯუდი გარლანდის გარდაცვალების შემდეგ, ექიმებმა დამამშვიდებელი პრეპარატი „ვალიუმ“-ი დაუნიშნეს.

იმ დღიდან მინელის „ვალიუმ“-ის გარეშე სიცოცხლე ვეღარ წარმოედგინა.

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით